www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 4 თებერვალი, 2009 წელი. №23 (2061) | ფასი 50 თეთრი

## პირველი ირანული თანამგზავრი კოსმოსში

A7



## კლასიკა და... პოლიტიკური მესიჯები



A11

## "ბაგები სითი ჯგუფმა" ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო



A4

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# საქართველოსთან ომი

## პირველი ნაწილი



*ქართული რეგულარული ჯარი ვაჟკაცურად და მოხერხებულად იბრძოდა და ცხინვალიდან პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბრძანების შესაბამისად გავიდა.*

*რუსმა სამხედრო და პოლიტიკურმა ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა ჟურნალ "კონტინენტში" გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის ანალიზს მიეძღვნა. ექსპერტი ვრცლად მიმოიხილავს რუსეთის მზადებას საქართველოსთან ომისთვის და იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს წინააღმდეგ ახალი აგრესია გამორიცხული არ არის. გთავაზობთ ციტატებს ფელგენგაუერის სტატიიდან.*

### რუსული ძალებისა და სეპარატისტთა მზადება

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების დარიგების შემდეგ ორივე ლატაკი, თვითგამოცხადებული რესპუბლიკა საბოლოოდ გაუკაცრიელდა - დაიწყო მასობრივი მიგრაცია რუსეთსა და თურქეთში უკეთესი ცხოვრების ძიებაში.

ოსებსა და აფხაზებს საკმაო რაოდენობით ძველი საბჭოთა არტილერია და ჯავშანტექნიკა დარჩათ, თუმცა ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე ცხადი იყო, რომ მათ მხოლოდ დამხმარე ამოცანების შესრულება შეუძლიათ, რეალურად ბრძოლა კი ჩვენს სამხედროებს მოუწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითგამოცხადებული რესპუბლიკები ძალიან სწრაფად ნაცარტუტად იქცევიან.

ამ რეალობიდან გამომდინარე, რუსეთის ხელისუფლება 2008 წლის აგვისტომდე გაცილებით ადრე შეუდგა საქართველოში სრულმასშტაბიანი შეჭრის დაგეგმვას და ამისთვის მომზადებას. ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების შემდეგ განახლდა საქართველოს ფარული საჰაერო დაბომბვები. 2006 წლიდან მოყოლებული რუსული შეიარაღებული ძალები საქართველოს საზღვრებზე ყოველ ზაფხულს ატარებდნენ წვრთნებს კავკაზსკი რუბეჟ , სადაც მომავალ შეჭრას ამუშავებდნენ. ყოველ ჯერზე იზრდებოდა წვრთნების ხანგრძლივობა და მასშტაბები. ამ წვრთნებს ოფიციალურად ანტიტერორისტული ეწოდებოდა, თუმცა მათ აშკარად გამოკვეთილი საერთო-საჯარისო ხასიათი ჰქონდა. თანაც, მონაწილე ძალები, წვრთნების საბაბით, საქართველოს საზღვრებთან ზაფხულში თვენახევარი-ორი თვის განმავლობაში რჩებოდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მინისტრობის კანდიდატები დეპუტატებს "ნდობის ვოტუმს" სთხოვენ

*საპარლამენტო კომიტეტებსა და ფრაქციებში მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი განიხილება. ეს ისეთი პროცედურაა, რომლის დროსაც მოულოდნელობები და სიურპრიზები, როგორც წესი, არ ხდება ხოლმე - საპარლამენტო უმრავლესობა მინისტრთა კაბინეტის კურსს მთლიანად იზიარებს და პერსონალურ შემადგენლობასაც უპირობოდ უჭერს მხარს, ოპოზიცია კი მთავრობის დაკომპლექტებაში მონაწილეობაზე და შესაბამისი პასუხისმგებლობის აღებაზე უარს ამბობს. ასეა ამჯერადაც. ინტრიგას მოკლებული პოლიტიკური დაპირისპირება საკანონმდებლო ორგანოში კიდევ ორ დღეს გაგრძელდება, პარასკევს კი ნიკა გილაურის კაბინეტისთვის ნდობის ვოტუმის მინიჭების საკითხს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ეყრება კენჭი.*

**გიორგი ასანიშვილი**

გუშინ დეპუტატების სამსჯავროზე , ნიკა გილაურის გარდა, მთავრობის თითქმის მთელი შემადგენლობა გამოცხადდა. მათი უმეტესობა ძველ პოსტებზე რჩება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## საკვანძო თანამდებობები შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში

### დაკომპლექტება გრძელდება

**ხათუნა გაბიევი**

*შეერთებულ შტატებში ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ მაღალ თანამდებობებზე დანიშვნის ოფიციალური ცერემონიები ჯერ კიდევ გრძელდება. სახელმწიფო მდივნის პოსტზე ჰილარი კლინტონის დანიშვნის გარდა, გამოიკვეთა უცხოეთში გასაგზავნი ერთ-ერთი ელჩის ვინაობაც.*

ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის ფიცის დადების ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ქვეყნის კონსტიტუციის ერთგულებაზე, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო მტრებისგან დაცვაზე ფიცის დადებას ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი ყოფილ პრეზიდენტთან და სახელმწიფო მდივნის მეუღლესთან ერთად დაესწრო. ბიბლიაზე ფიცის წარმოთქმის შემდეგ ჰილარი კლინტონმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ქვეყნის ისტორიისთვის ურთულეს პერიოდში გამოცხადებული ნდობისთვის, ხოლო კონგრესმენებსა და სენატორებს სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე უმოკლეს ვადაში დამტკიცებისთვის.

გაგრძელება A8 გვერდზე

## თემურ იაკობაშვილი ევროკავშირის წარმომადგენელს შეხვდა

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი ევროკავშირის წარმომადგენელ პიერ მორელის შეხვდა. საუბრის დასრულების შემდეგ, პიერ მორელიმ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, საუბარი ჟენევის მოლაპარაკებებს ეხებოდა და შეხვედრა ძალზე პროდუქტიული იყო.

"ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაიმართოს პლენარული შეხვედრა, რომლის ჩაშლასაც უკვე ტრადიციულად ცდილობს რუსული მხარე. ასევე ჩვენ დავადასტურეთ, რომ ქართული მხარე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა იმ ვალდებულებას, რომელსაც იღებს თავის თავზე," - განაცხადა შეხვედრის შემდეგ თემურ იაკობაშვილმა.

მისი თქმით, პიერ მორელის ესაუბრა იმ საკითხებზე, რომლებიც ჟენევის მოლაპარაკებებზე იქნება განხილული, ასევე საქართველოს ხედვებზე ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით.

"ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია იქ დარჩენილი მოსახლეობის უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, იქ საერთაშორისო ორგანიზაციების შეშვება და დევნილების უსაფრთხო დაბრუნების დაწყება. ოღონდ ეს დაბრუნება უნდა იყოს ისეთი, რომ ამ ადამიანებს შეეძლოთ ნორმალურ პირობებში ცხოვრება," - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში.

მისივე განცხადებით, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ევროკავშირს უყურადღებოდ არ დარჩა რუსეთის განცხადებები ოჩამჩირესა და ბომბორას აეროპორტებში, სამხედრო ბაზების სახით, სამხედრო ინფრასტრუქტურული ელემენტების განთავსების შესახებ.

"ევროკავშირის ე.წ ტროიკამ ოფიციალური დემარშით უპასუხა რუსეთს ამ მილიტარისტული გეგმების გამო, - დასძინა იაკობაშვილმა.

**24 საათი**

## საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების აქცია პარლამენტთან

3 თებერვალს პარლამენტის შენობასთან საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანების აქცია გაიმართა. ორგანიზატორთა განცხადებით, მასში საქართველოში მოქმედი ყველა პროფესიული გაერთიანება მონაწილეობდა.

პროფესიული კავშირების გაერთიანებას ოთხი ძირითადი მოთხოვნა აქვს: უმუშევართათვის შემწეობის დაწესება, სამსახურიდან დათხოვნილთათვის ფულადი კომპენსაციის გაზრდა, დეკრეტული შვებულების ანაზღაურების გაზრდა და ჯანმრთელობის დაზღვევა ყველა დასაქმებულისთვის. ამასთან, აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის "დ" პუნქტს, რომელიც შრომითი ხელშეკრულების მოშლას ეხება.

პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებით, ეკონომიკური კრიზისის შედეგად უმუშევართა რიცხვმა საქართველოში 300 ათასს მიაღწია, 2009 წლის ბიუჯეტში კი სახელმწიფო სტრუქტურების ადმინისტრაციული ხარჯი და ხელფასები 250 მლნ ლარითაა გაზრდილი. იგი მოითხოვს, რომ შემცირდეს სახელმწიფო სტრუქტურების ბიუჯეტი და სანაცვლოდ, ეს თანხები მოხმარდეს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს. პროფკავშირების ინიციატივით, გროვდება ხელმოწერები, რათა პარლამენტმა განიხილოს მათ მიერ შეთავაზებული ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში. თუ მათი მოთხოვნები არ შესრულდება, პროფესიული კავშირების გაერთიანება კვლავ გააგრძელებს მსგავსი სახის აქციებს.

**24 საათი**

## ქართულ-აფხაზური ალბომი

უახლოეს მომავალში ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისადმი მიძღვნილი ქართულ-აფხაზური ალბომი გამოვა. როგორც წიგნის ავტორმა პაატა ქურდოვანიძემ განაცხადა, წიგნში მოთხრობილია მე-19-ე საუკნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეების ურთიერთობის შესახებ. ალბომში აღწერილი ურთიერთობები უნიკალური ფოტო მასალითაა დადასტურებული. წიგნში გამოყენებულია როგორც სახელმწიფო არქივის მასალები, ასევე ქართულ და აფხაზურ ოჯახებში შემორჩენილი, საზოგადოებისთვის ცნობილი და არაცნობილი საარქივო მასალები, - ამბობს პაატა ქურდოვანიძე. ქართულ აფხაზური ალბომის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიების პარალელურად, მასში, ქართულ-აფხაზური ოჯახების შთამომავალთა ხსოვნას შემორჩენილი, არაერთი საოჯახო გადმოცემაა აღწერილი, რომელიც ორი ხალხის ახლო ურთიერთობის ამსახველ საინტერესო და ყურადსაღებ ფაქტებს შეიცავს.

**24 საათი**

## ესპანეთის საელჩო გაიხსნება

თებერვლის ბოლოს საქართველოში ესპანეთის საელჩო გაიხსნება. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია. ამ ეტაპზე ტექნიკური დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს. საქართვლოში საელჩოს გახსნა ესპანელი ელჩის კანდიდატის ავადმყოფობამ შეაფერხა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# მინისტრობის კანდიდატები დეპუტატებს "ნდობის ვოტუმს" სთხოვენ

პირველი გვერდიდან

ახალ თანამდებობებზეც, ძირითადად, პარლამენტარებისთვის კარგად ნაცნობი სახეები ჭარბობენ: როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრის პორტფელს ნიკა გილაური უმიზნებს , მის ძველ ადგილს (ფინანსთა მინისტრისას) მისივე მოადგილე კახა ბაინდურაშვილი დაიკავებს. პოლიტიკური სპექტრისთვის უცხო ფიგურა არც რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის მომავალი მინისტრი დავით ტყეშელაშვილია. ერთადერთი ახალი პერსონა კაბინეტში დიმიტრი შაშკინია. თუ აქამდე ის უფრო პოლიტიკურ კულუარებში ტრიალებდა, ამიერიდან ავანსცენაზე გამოჩნდება - არასამთავრობო ორგანიზაცია აირაი -ს ხელმძღვანელს რამდენიმე დღეში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად დაამტკიცებენ.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებმა მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას ნდობა გამოუცხადეს. იგივე მოხდა ევროპასთან ინტეგრაციის, საგარეო ურთიერთობათა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზეც. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები კმაყოფილნი დარჩნენ იმით, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტზე წარდგენილი დიმიტრი შაშკინი მათ ამ უწყების ფეხზე დაყენებას დაჰპირდა და განაცხადა, რომ ამის გაკეთებას საზოგადოებრივი სექტორის, პოლიტიკური წრეების მხარდაჭერით და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით გეგმავს.

თავის უწყებაში სერიოზულ ცვლილებებს განათლების მინისტრი ნიკა გვარამიაც აპირებს. მისი თქმით, განათლების სფეროში სახელმძღვანელოების პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას და ამის მოსაგვარებლად აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება.

კერძოდ, გვარამიას ინფორმაციით, იგეგმება, რომ სკოლებში წარდგენილ თითოეულ სახელმძღვანელოს ანოტაცია დაერთოს. ის შედგენილი იქნება ექსპერტების მიერ, ასევე კონკურენტი ავტორების მონაწილეობით და მასში აისახება წიგნის ყველა პოზიტივი, ნეგატივი, მეთოდი, ფასი და ა.შ.

ამასთან, განათლების მინისტრი პირობას იძლევა, რომ 2012 წლისთვის პედაგოგის საშუალო ხელფასი 500 ლარამდე იქნება...

გუშინდელი საკომიტეტო მოსმენები, როგორც ნავარაუდევი იყო, საკმაოდ მშვიდ ვითარებაში წარიმართა. გამონაკლისი გახდა მხოლოდ ქართული დასის ლიდერ ჯონდი ბაღათურიას აქტიურობა. მან პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი მინისტრთა კაბინეტი მკვეთრად გააკრიტიკა და საპარლამენტო უმცირესობას მოუწოდა, 6 თებერვალს მონაწილეობა არ მიიღოს მთავრობის განახლებული შემადგენლობის დამტკიცების პროცედურაში და ამით უმრავლესობა სხდომათა დარბაზში მარტო დატოვოს, რათა ხელისუფლებას არ მიეცეს დემოკრატიობანას თამაშის შესაძლებლობა.

**"სააკაშვილმა წარმოადგინა მთავრობა, რომელმაც მოაწყო აგვისტოს მოვლენები, ქვეყანა დაშლის და გაღატაკების წინაშე დააყენა. ეს არის სამარცხვინო მთავრობა,"** - საკმაოდ ემოციური იყო გუშინ ჯონდი ბაღათურია.

ოპოზიციონერი დეპუტატის ასეთი ტონი სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლებისთვის კატეგორიულად მიუღებელია. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი ჯონდი ბაღათურიას ინიციტივის და გაცხარების მიზეზს ვერ ხედავს.

**"საპარლამენტო კულტურა გულისხმობს თუნდაც ცხარე დებატებს, შემდეგ კი კენჭისყრაში მონაწილეობას და თუ წინააღმდეგი ხარ - ხმას წინააღმდეგ მისცემ. ვერ ვხვდები, რა არის ბატონი ჯონდის გაცხარების მიზეზი: მთავრობის ძირითადი პრიორიტეტები - მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგების შემცირება საქართველოსთვის, სამუშაო ადგილებზე ზრუნვა, საგარეო უსაფრთხოების გამოწვევებზე ადეკვატური პასუხები - ხომ დროის მოთხოვნის ადეკვატურია?"** - აცხადებს გაბაშვილი.

მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე დღეს უკვე საპარლამენტო ფრაქციების სხდომებზეც იმსჯელებენ.

# რუსეთის მიზანი საქართველოში ნაცრისფერი ზონის შექმნაა

რუსეთი საქართველოს სეპარატისტულ რეგიონების წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას სთხოვს.

რუსული მხარის ეს სურვილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე გლუშკომ ევროკავშირის "სამეულის" ელჩებთან შეხვედრაზე გაახმოვანა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული შეხვედრისას გლუშკო ასევე შეეხო "საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის საზღვართან სამხედრო ძალის გაზრდას და ამ ფაქტით შეშფოთება გამოთქვა".

**"აგვისტოს მოვლენების შემდეგ, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის, ასევე საქართველოსა და აფხაზეთის საზღვართან მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა, არამედ პირიქით - ადგილი აქვს მდგომარეობის გაუარესების ტენდენციას. საქართველოს სამხედრო ძალები კი თავის ბრძოლისუნარიანობის აღდგენას განაგრძობენ. სამხრეთ ოსეთის საზღვართან სამხედრო ძალა იზრდება და პროვოკაციათა რიცხვი არ მცირდება,"** - აღნიშნა გლუშკომ. გარდა ამისა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, **"რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების დაცვისკენ მიმართული ღონისძიებები სრულად შეესაბამება რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების დმიტრი მედვედევისა და ნიკოლა სარკოზის მიერ მიღწეული შეთანხმების პირობებს."**

ქართული მხარე რუსეთის მოთხოვნას ეხმიანება და ოფიციალურ მოსკოვს 12 აგვისტოს შეთანხმების დარღვევაში კიდევ ერთხელ ადანაშაულებს. **"სარკოზი-სააკაშვილი-მედვედევის დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებები ქართულმა მხარემ პირნათლად შეასრულა და თუკი ვინმემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დაარღვია, ეს რუსეთია. იმ სახელმწიფოს მხრიდან კი, რომელიც უამრავ ქვეყანაში შეჭრილა, ასეთი განცხადებები მიუღებელია,"** - აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველოს საგარეო უწყების პირველი პირის განცხადებით: **"საქართველო ამ ნაბიჯს არავითარ შემთხვევაში პირველი არ გადადგამს. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენ არ ვაპირებთ, ლეგიტიმაცია მივანიჭოთ მარიონეტულ რეჟიმებს, რომლებიც საოკუპაციო ჯარებმა შექმნეს. მეორე მიზეზი კი არის ის, რომ საქართველომ 12 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით აიღო ვალდებულება, რომ იგი ძალას არ გამოიყენებს და ამ ვალდებულებას იგი პირნათლად ასრულებს."**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე მკაფიოდ აღნიშნავს, რომ საქართველომ ამ დოკუმენტს ევროპელ დამკვირვებელთა მისიასთან ერთად მოაწერა ხელი და ცალმხრივად შეზღუდა თავისი გადაადგილება.

**"რუსეთის ფედერაციას ურჩევნია, აბსურდული მოთხოვნების წამოყენების ნაცვლად, ჩვენი ტერიტორიის დეოკუპაცია მოახდინოს - გაიყვანოს უკანასკნელი ოკუპანტი და შეწყვიტოს სამხედრო ბაზების მშენებლობა,"** - აცხადებს გრიგოლ ვაშაძე და დასძენს, რომ საქართველო რუსეთთან "იდეოლოგიურ შეჯიბრში აღმოჩნდა ჩართული."

**"რუსეთის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე ერთგვარი ნაცრისფერი ზონის შექმნა, სადაც იქნება დესტაბილიზაცია და კორუფცია, რეგიონები სრულიად მოწყვეტილნი იქნებიან ცენტრიდან და ამ ზონაში ყველა კონფლიქტში რუსეთი ჩართული იქნება, როგორც არბიტრი,"** - დასძენს გრიგოლ ვაშაძე.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან ოთხი წელი შესრულდა

გუშინ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებიდან ოთხი წელი შესრულდა. ზურაბ ჟვანია 2005 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზად ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მოწამვლა დასახელდა.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გუშინ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც გაიხსენეს. ბიუროს სხდომაზე ჟვანიას ხსოვნას დეპუტატებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

**"ზურაბ ჟვანია იყო ადამიანი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს პარლამენტის და პარლამენტარიზმის განვითარების საქმეში,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების თარიღს კონსერვატიულმა პარტიამ ბრიფინგი მიუძღ ნა. მათ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით სპეციალური საზოგადოებრივი კომისიის შექმნა მოითხოვეს, რომელიც ობიექტურად გამოიძიებს პრემიერის გარდაცვალების საქმეს. კონსერვატიული პარტიის წევრის ბეჟან გუნავას განცხადებით, კომისიაში უნდა შევიდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, რომლებსაც საქართველოს მოსახლეობა ენდობა.

ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები პრემიერის გარდაცვალების ფაქტის გამოსაძიებლად საზოგადოებრივი კომისიის შექმნის შესახებ არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნას არ იზიარებენ. ზურაბ ჟვანიას ძმის გოგა ჟვანიას განცხადებით, საზოგადოებრივი კომისიის შექმნა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტის გამოძიებას ნაკლებად წაადგება. **"ჩემი ძმის გარდაცვალების რეალური მიზეზების დადგენას წაადგება მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ობიექტური გამოძიება და არა საზოგადოებრივი კომისია,"** - განაცხადა გოგა ჟვანიამ.

**საკუთარი ინფორმაცია**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# საქართველოსთან ომი

## პირველი ნაწილი

პირველი გვერდიდან

### 2008 - დაძაბულობის ზრდა და შემოჭრისთვის მზადების დასრულება

2008 წლის აპრილში ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე, რომელშიც პუტინი პირადად მონაწილეობდა, აშკარა გახდა, რომ საქართველოსა და უკრაინის ალიანსთან მიერთება გარდაუვალია - მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ჯერჯერობით გადაიდო. რუსეთის სამოქალაქო და სამხედრო მაღალჩინოსნები დასავლეთს, ასევე თბილისსა და კიევს, პატიოსნად აფრთხილებდნენ იმის შესახებ, რომ ნატო-ში იმ ქვეყნების შეთრევის , მცდელობა, რომლებსაც მოსკოვი თავის ტრადიციულ მამულად მიიჩნევს, კრიზისს გამოიწვევდა.

ამის შემდეგ მოვლენები სულ უფრო სწრაფად ვითარდებოდა.

2008 წლის 16 აპრილს პუტინმა მთავრობას დაავალა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთისათვის საგნობრივი დახმარების ზომების შემუშავება, რაც იურიდიულად უარყოფდა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს. ეს თბილისში და არაღიარებულ რესპუბლიკებში აღიქვეს როგორც პირველი ნაბიჯი არაღიარებულ რესპუბლიკების ოფიციალური ცნობის მიმართულებით. მას შემდეგ რუსულმა გამანადგურებელმა აფხაზეთის თავზე ქართული შეუიარაღებელი უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდო.

2008 წლის მაისში მკვეთრად დაიძაბა სიტუაცია კოდორის ხეობის გარშემო. რუსეთის ხელისუფლებამ საქართველო აგრესიისთვის მზადებაში დაადანაშაულა, საპასუხო დარტყმით დაემუქრა და აფხაზეთში დამატებითი ძალების შეყვანა დაიწყო.

ზემო კოდორი მაღალმთიანი ხეობაა, ყველა მხრიდან მთის ქედებით გარშემორტყმული. მტკიცება, რომ აქ აფხაზეთის წინააალმდეგ სამხედრო ოპერაციისთვის პლაცდარმი მზადდებოდა, სრული უაზრობა იყო. ზემო კოდორში მთელი ქართული არმიაც რომ შეკრებილიყო, იქიდან სოხუმზე შეტევა ფიზიკურად შეუძლებელია. ჩვენი საგარეო უწყების ბრალდება მხოლოდ ერთს ნიშნავდა - მომავალი ომისთვის საინფორმაციო მზადების ოპერაცია დაიწყო.

3 მაისს აფხაზეთში მშვიდობისმყოფელთა საფარქვეშ შევიდნენ სადესანტო ნაწილები მძიმე შემტევი შეიარაღებით. 31 მაისს აფხაზეთში რუსეთის სარკინიგზო ჯარების ქვედანაყოფები და სპეცტექნიკა შეიყვანეს. ოფიციალური განცხადებების თანახმად, ეს აფხაზეთისთვის ჰუმანიტარული დახმარების სახით განხორციელდა და მიზნად ინფრასტრუქტურის აღდგენას ისახავდა.

მაგრამ, სამეურნეო ამოცანების შესახებ განცხადებები არასერიოზული იყო. ჩვენი სამხედროები დღემდე, ნებისმიერი სამხედრო ქმედებების დროს, ძალების გადაადგილებისთვის, ძირითადად, რკინიგზას იყენებენ. აფხაზეთში ლიანდაგის რემონტის გარეშე მძიმე ტექნიკის შემოტანისა და დაზიანებული ტექნიკის გატანის ორგანიზება შეუძლებელი იყო. ჯარებმა რკინიგზის და ხიდების აღდგენა 1 აგისტოსთვის დაასრულეს, საქართველოში შეჭრამდე ერთი კვირით ადრე.

2008 წლის ივლისში ჩრდილოეთ კავკასიაში მორიგი ანტიტერორისტული წვრთნა კავკაზსკი რუბეჟ - 2008 დაიწყო. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ წვრთნებში 8 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს. თუმცა, მაშინაც რუსი გენერლები აცხადებდნენ, რომ ჯარების რაოდენობა ოფიციალურად გამოცხადებულზე მეტია. მანევრებში სწორედ ის ძალები მონაწილეობდნენ, რომლებიც აგვისტოში შეტევის ავანგარდში აღმოჩნდნენ.

რადგან საქართველოსა და რუსეთს კავკასიის ქედი ყოფს, შეჭრა მხოლოდ ზაფხულში იყო შესაძლებელი ორი იზოლირებული მიმართულებით - ვიწრო როკის გვირაბით სამხრეთ ოსეთში და ზღვისპირა გზით აფხაზეთში, შემდგომი შეტევით ქვეყნის სიღრმეში მდებარე საკვანძო სტრატეგიული მიზნების მიმართულებით. ტაქტიკური და სტრატეგიული მანევრის ესოდენ სერიოზული შეზღუდულობა ზედმიწევნით დაბალანსებულ და დამუშავებულ გეგმას მოითხოვდა.

წვრთნების საბაბით მოწინავე შემტევი ძალები ივლისში საქართველოს საზღვრებთან განლაგდნენ, ზოგიერთი ქვედანაყოფი კი, მოვლენების მონაწილეთა ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში წინასწარ შევიდა. შავი ზღვის ფლოტის გემები მომზადებულნი იყვნენ ზღვაში საბრძოლო დავალებაზე დაუყოვნებლივ გასასვლელად - საქართველოს სანაპიროს ბლოკადის მიზნით. ფლოტის საზღვაო ქვეითები ყირიმიდან კავკასიაში გადაისროლეს და წინასწარ, ტექნიკასთან ერთად, სადესანტო ხომალდებზე მოათავსეს. საბჭოთა სკოლის გამოცდილი მხცოვანი მფრინავ-ინსტრუქტორები, რომლებიც დღეს ქვეყანაში მხოლოდ ათეულობით დარჩნენ, საბრძოლოდ ვარგის ტექნიკასთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიაში მიავლინეს.

ამასთან, სრულმასშტაბიანი შეტევისთვის მზადება, რომელშიც 40 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა, საოცრად მალულად ჩატარდა: ჩვენს სამხედროებს და სპეცსამსახურებს უნდა მივულოცოთ საფარქვეშ განხორციელებული ოპერაციის წარმატება.

### პროვოკაციებიდან ომამდე. შემხვედრი ბრძოლა ცხინვალთან

საომარი მოქმედებების თეატრის თავისებურებები არ იძლეოდა საზღვარზე იმ რაოდენობის ძალების კონცენტრირების საშუალებას, რაც წარმატებით შეჭრისთვის არის აუცილებელი. შემუშავდა და საკმაოდ ზუსტად სრულდებოდა ძალებისა და საშუალებების თანმიმდევრული შეყვანის გრაფიკი სამხრეთ ოსეთში, სადაც ბრძოლები მიდიოდა და აფხაზეთში, სადაც არანაირი ბრძოლები არ ყოფილა. საჯარისო შენაერთები აგვისტოსთვის უმაღლეს საბრძოლო მზადყოფნაში იქნენ მოყვანილნი. უნდა ვიფიქროთ, რომ შეტევა განხორციელდებოდა იმის მიუხედავად, შეუტევდნენ ქართველები ცხინვალს თუ არა. 11 აგვისტოს დილისთვის საქართველოს ტერიტორიაზე 30 ათასამდე რუსი ჯარისკაცი და მძიმე ტექნიკის ათასობით ერთეული მოქმედებდა, რაც შესანიშნავ მიღწევად უნდა ვაღიაროთ.

სააკაშვილმა წინმსწრები ქმედების გადაწყვეტილება მიიღო და სასწრაფოდ მობილიზებული ორი ქართული ბრიგადითა და შსს-ს სპეცრაზმებით შეტევა წამოიწყო ოსური ფორმირებების პოზიციებზე ცხინვალთან და ცხინვალის შიგნით.

ქართველმა სამხედროებმა რამდენიმე საათში გააქრეს ბრძოლის ველიდან ოსური ფორმირებები და ცხინვალის გარშემო მდებარე ოსური სოფლები და სიმაღლეები დაიკავეს. 8 აგვისტოს დილით ქართული ჯარები და ტანკები ცხინვალში შევიდნენ და კონტრ-კუნტად შემორჩენილ წინააღმდეგობის კერების ჩახშობას შეუდგნენ.

არ არსებობს არანაირი დამოუკიდებელი მტკიცებულება იმისა, რომ ქართული ჯარები სამხრეთ ოსეთში ეთნიკურ წმენდას აწარმოებდნენ. ამავე დროს, არსებობს მრავალი მტკიცებულება იმისა, რომ აგვისტოში დადებული ზავის შემდეგ პრაქტიკულად მთელი ქართული მშვიდობიანი მოსახლეობა გაძევებულ იქნა სამხრეთ ოსეთიდან და მიმდებარე უსაფრთხოების ზონიდან , მათი ქონება გაიძარცვა, ხოლო სახლები დაიწვა.

ცხინვალისკენ 8 აგვისტოს გაგზავნილი რჩეული რუსული ნაწილები, სადესანტო ჯარების სპეცრაზმის ჩათვლით, არტილერიის, ტანკებისა და ავიაციის მასირებული გამოყენების მიუხედავად ორი დღის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ ქალაქიდან ქართველების გაძევებას. 58-ე არმიის სარდალი, გენერალი ხრულიოვი, რომელიც წინა ხაზზე წესრიგის დასამყარებლად მიდიოდა, ქართველებმა მაშინ დაჭრეს, როდესაც მისი კოლონა ჩასაფრებაში მოყვა. ქართული რეგულარული ჯარი ვაჟკაცურად და მოხერხებულად იბრძოდა და ცხინვალიდან პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბრძანების შესაბამისად გავიდა.

### ქართველები უკან იხევენ და ომი რუსეთის გამარჯვებით მთავრდება

ცხინვალის დატოვების შემდეგ ქართულმა ძალებმა უკან დახევა განაგრძეს. 12 აგვისტოსთვის თითქმის მთელმა არმიამ თბილისის გარშემო მოიყარა თავი.

რუსული ძალები ძალზე დაშორდნენ მომარაგების ბაზებს, მათი რაოდენობა მცირე იყო ქვეყნის, მით უმეტეს, მილიონიანი თბილისის წარმატებული ოკუპაციისთვის. გასცა რა უკან დახევის ბრძანება, საქართველოს ხელისუფლებამ რეგულარული არმიის ბირთვი და შსს-ს სპეზრაზმი შეინარჩუნა. არმიის გადარჩენით სააკაშვილმა ერთიანი საქართველო და, იმავდროულად, საკუთარი რეჟიმის საძირკველი გადაარჩინა. რუსული შეტევის პრობლემის მოგვარება კი მან დასავლელ ლიდერებსა და დიპლომატებს გადაულოცა.

ქართველი ოფიციალური პირები დღეს აღიარებენ, რომ რუსეთთან ასეთი ომისთვის მზად არ იყვნენ. საქართველო ემზადებოდა შემტევ ბრძოლაში სეპარატისტთა ძალების განადგურებისათვის და რუსეთის შემოჭრას არ ელოდა. საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახური, ამ სამსახურის ხელმძღვანელ გელა ბეჟუაშვილის განმარტებით, საერთოდ არ ელოდა აგვისტოში სრულმასშტაბიან ომს. ბეჟუაშვილისა და უშიშროების საბჭოს მაშინდელ მდივან კახა ლომაიას თქმით, ამერიკული დიპლომატიური და სამხედრო წყაროები ამტკიცებდნენ, რომ სრულმასშტაბიანი ომისთვის რუსეთის მზადებას ვერ ხედავდნენ. ჩვენებმა ქართველებიც და ამერიკელებიც მოატყუეს.

ბოლო წლებში აშშ-ს დაზვერვის მთელი ძალისხმევა ერაყზე, ავღანეთზე, ირანსა და ისლამურ ტერორიზმთან ბრძოლაზე იყო მიმართული. რუსეთს ისინი უშუალო საფრთხედ არ აღიქვამდნენ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2007 წლის დეკემბერში რუსეთი გამოვიდა ხელშეკრულებიდან ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ, თითქოს იმის გამო, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნები ამ ხელშეკრულებას არ ასრულებენ. შეჩერდა ინსპექციები ხელშეკრულების ფარგლებში, რაც ასე აღიზიანებდათ ჩვენს გენერლებს, რადგან უცხოელებს საშუალებას აძლევდა, ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მზადყოფნის დონე შეეფასებინათ. რუსეთი ამ ხელშეკრულებიდან რომ არ გამოსულიყო, საქართველოზე წარმატებული შეტევა ეჭვქვეშ დადგებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე 2007 წელს საქართველოს წინააღმდეგ მომავალი ოპერაცია აქტიურად მზადდებოდა, რაც შესაძლოა, ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებიდან გაუგებარი გასვლის მთავარი მიზეზი გახდა.

თუ რუსეთის მხრიდან არსებობდა ოპერაციის დეტალურად დამუშავებული გეგმა ჯარის, ფლოტის, საჰაერო ძალებისა და დესანტის მონაწილეობით, ქართული მხრიდან ადგილი ჰქონდა იმპროვიზაციულ მოუწესრიგებლობას - ამ სიტყვის სრული გაგებით.

### კონფლიქტის საერთაშორისო ასპექტები ანუ ახალი ცივი ომი

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ პრეზიდენტმა მედვედევმა განმარტა, რომ **ჩვენ ვერაფერი შეგვაშინებს, მათ შორის ახალი ცივი ომის პერსპექტივაც.** თუ ევროპელი პარტნიორები დაშოშმინდებიან , ძალიან კარგი, **ხოლო თუ მათ კონფრონტაციული სცენარი აირჩიეს, არა უშავს. ჩვენ გვიცხოვრია განსხვავებულ პირობებში და ასეც გავძლებთ,** - განაცხადა მედვედევმა.

რუსეთთან კონფრონტაცია არანაირად არ შედის წამყვანი დასავლეთევროპული სახელმწიფოების - გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის გრძელვადიან გეგმებში. გააცნობიერა რა, რომ საქმე ომისკენ მიდის, ომამდე ერთი თვით ადრე გერმანიამ აფხაზეთში სამშვიდობო დარეგულირების სამეტაპიანი გეგმა წარმოადგინა. მაგრამ, ივლისში, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი რეგიონში ჩავიდა, უკვე გვიანი იყო. მოსკოვში სააკაშვილის დამხობა საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდათ, მთავრდებოდა შეტევის სამხედრო-პოლიტიკური მზადება, სეპარატისტები პროვოკაციებს ამზადებდნენ, რათა შეტევისთვის საბაბი მიეცათ. გერმანელები ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცე უარით გაისტუმრეს.

დასავლეთთან, აშშ-სთან და ნატოსთან ღია დაპირისპირება აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის რაიმე მოულოდნელობა არ ყოფილა და მტრებს პასუხი უმალვე გაეცათ. უკვე 1 სექტემბერს დაიწყო ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე მასშტაბური კომპლექსური სტრატეგიული სამხედრო წვრთნები სტაბილურობა 2008 .

სამხედრო უწყებამ განაცხადა, რომ **წვრთნების სცენარი გულისხმობს მდგომარეობის თანდათან გამწვავებას - კრიზისული სიტუაციების შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაზრდით.**

რაღაც დროის განმავლობაში აგვისტოში რუსეთისა და მსოფლიოს ბედი, როგორც ჩანს, ბეწვზე ეკიდა. თუმცა გადავრჩით - წინასწარ მობილიზებულმა ძალებმა, აშშ-სთან და ნატოსთან ომის ნაცვლად, მეგაწვრთნები ჩაატარეს სამომავლო გათვლით: გადაუჭრელი რჩება ყირიმისა და სევასტოპოლის პრობლემა, სააკაშვილიც დღემდე ხელისუფლებაშია და გამოსვლებს განაგრძობს.

პირველად ოთხმოციანი წლების შემდეგ ჩვენმა ხელისუფლებამ დასავლეთთან სრულმასშტაბიანი ომის მომზადებაზე გამიზნული წვრთნები ჩაატარა.

ჩვენს უფროსებს შეუძლიათ, ჰაერში უპირატესობაზე იოცნებონ და დაჟანგულ საბჭოთა ბირთვულ დუბინკაზე დაყდრნობით სტაბილურობა ეძიონ, მაგრამ რეალობაში, რასაკვირველია, მათ დასავლეთთან კაცურად მოლაპარაკების და გავლენის სფეროების გაყოფის იმედი აქვთ. ანუ თქვენ არ შემოხვიდეთ უნებართვოდ ჩვენს ეზოში, საქართველოსა და უკრაინაში, არ დადგათ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა პოლონეთში და ჩვენც არ მოვალთ თქვენთან. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ცივი ომი იქნება.

ჩვენს ხელმძღვანელებს, როგორც ჩანს, დაავიწყდათ, რომ წინა ცივი ომი ქვეყანამ ცუდად გადაიტანა: საბჭოთა კავშირი გაკოტრდა და ნაწილებად დაიშალა.

### საბრძოლო მოქმედებების განახლების წინაპირობები

აგვისტოს ომს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საბოლოოდ უნდა გაეთავისუფლებინა ქართული გავლენისა და მოსახლეობისგან, თბილისი - სააკაშვილისგან, სამხრეთ კავკასია - ნატოსგან და ამერიკელებისგან. პრინციპში, მოსკოვი მზადაა, ფორმალურად შეინარჩუნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე) რაღაც კონფედერაციის სახით და მისცეს ქართველებს, ისევე როგორც აფხაზებს და ოსებს, საშუალება, დემოკრატიულად აირჩიონ პრეზიდენტად ნებისმიერი, ვისაც მოსკოვში წინასწარ დაამტკიცებენ, როგორც ეს ჩვენს რესპუბლიკებსა და ოლქებში ხდება.

2008 წლის აგვისტოში მოსკოვი ცეცხლის შეწყვეტაზე დათანხმდა -დასავლეთის სერიოზული რეაქციის შიშით და ასევე მთის გზებით ასობით კილომეტრზე ჯარების მომარაგებაში შექმნილი კრიზისის გამო. აუცილებელი გახდა ოპერატიული პაუზა ზურგის გამაგრებისთვის. რაც მთავარია, ჩაითვალა, რომ თბილისის რეჟიმმა სასიკვდილო დარტყმა მიიღო. პრეზიდენტმა მედვედევმა სააკაშვილს **პოლიტიკური გვამი** უწოდა. მოსკოვში ბევრი დღესაც დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი მალე წავა, მას ან ოპოზიცია ჩამოაგდებს, ან ამერიკელები მოიცილებენ, მაგრამ ეს მეტი არაფერია, თუ არა უსაფუძვლო ოცნებები. ქართული ოპოზიცია დაქსაქსულია, მისი ლიდერები დიდად პოპულარულნი არ არიან და მუდამ ერთმანეთში ქიშპობენ. მრავალი პატიოსანი, პატრიოტულად განწყობილი ქართველი, არა მაინცდამაინც სააკაშვილის თაყვანისმცემელი, დღეს ოპოზიციის საქმიანობას ეროვნულ ღალატად აღიქვამს.

აფხაზეთის რეაბილიტაციისთვის და სამხრეთ ოსეთის შესანახად, იქ რუსული სამხედრო ბაზების განსათავსებლად ათეულობით მილიარდი დოლარია საჭირო, რაც კრიზისის შედეგად რუსეთის ბიუჯეტში შეიძლება აღარც დარჩეს. თუ ეს თანხები მოიძებნა, უდიდესი ნაწილი, შესაძლოა, რუსმა კორუმპირებულმა მოხელეებმა და ადგილობრივმა მოღვაწეებმა დაიტაცონ.

იმავდროულად, საქართველომ წამოიწყო რეგულარული არმიის საგრძნობლად გაზრდის პროგრამა. როგორც ჩანს, რუსეთი ჩაეფლო, დაამყარა რა აგვისტოში კონტროლი ტერიტორიებზე, რომლებიც მას არაფრად სჭირდება, თუმცა დროთა განმავლობაში სულ უფრო ძვირი დაუჯდება.

ამ უსიამოვნო სიტუაციიდან გამოსავალი, შესაძლოა, ომი გახდეს. ეფ-ეს-ბემ უკვე განაცხადა, რომ თბილისი ჩვენი ჯარების წინააღმდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე თავად რუსეთის ტერიტორიაზე ტერაქტებს და დივერსიებს ამზადებს. თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა ნოემბერში ანკარაში განაცხადა: **ჩვენ გვაშფოთებს საქართველოს ხელისუფლების მიერ სამხედრო პოტენციალის გაძლიერება და ქვეყნის ჩათრევა ნატო-ში. ამ საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს გაცილებით სერიოზული კონფლიქტი, ვიდრე წლევანდელი აგვისტოს მოვლენები.**

შესაძლოა, უკვე დაწყებულია ახალი, საბოლოო ოპერაციის დამუშავება, რათა ამჯერად მაინც გაანადგურონ საქართველოს შეიარაღებული ძალები, შეცვალონ რეჟიმი თბილისში და საბოლოოდ გააძევონ ამერიკელები და ნატო. გარდა ამისა, რუსეთში კრიზისთან ბრძოლაში ხელისუფლების წარუმატებელი მცდელობების პასუხად თანდათან იზრდება უკმაყოფილება და სოციალური არასტაბილურობა. სუსტ საქართველოსთან პატარა წარმატებული ომი ხელს შეუწყობდა ქვეყნის კონსოლიდაციას ეროვნული ლიდერის პუტინის გარშემო. თუ ომი დაგეგმილია, საბაბი ყოველთვის მოიძებნება. მაგრამ, თუ ამჯერად ქართველები ოდნავ უკეთ მოემზადებიან, შედეგი შეიძლება, განსხვავებული იყოს.

# "ბაგები სითი ჯგუფმა" ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო

სოფო ჩიხლაძე


parkgeilt


Park street

აგვისტოს საომარი მოქმედებებისა და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად ქართული ბიზნესი და ეკონომიკა ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. კრიზისი ყველა სექტორს შეეხო, თუმცა საფინანსო და სამშენებლო სექტორი განსაკუთრებით დაზარალდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საქართველოში უძრავ ქონებაზე მოთხოვნა საკმაოდ არის შემცირებული, თითქმის შეჩერებულია მშენებლობა და, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, რამდენიმე სამშენებლო კომპანია გაკოტრების საფრთხის წინაშე დგას.

„ბაგები სითი ჯგუფი" პირველი სამშენებლო კომპანიაა საქართველოში, რომელმაც აგვისტოს მოვლენების შემდეგ ახალი სამშენებლო პროექტის განხორციელება დაიწყო. კომპანიაში აცხადებენ, რომ მშენებლობა დაახლოებით ერთ წელიწადში დასრულდება. ამ პროექტის და ზოგადად უძრავი ქონების ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ „24 საათი" „ბაგები სითი ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჯუმბერ ხატიაშვილს ესაუბრა.

**- ბატონო ჯუმბერ, საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე რთული ვითარებაა, მნიშვნელოვნად შემცირდა გაყიდვების მაჩვენებელი, თითქმის შეჩერებულია მშენებლობის პროცესი... ასევე საუბრობენ, რომ რამდენიმე სამშენებლო კომპანია გაკოტრების ზღვარზეა მისული. „ბაგები სითი ჯგუფმა" კი ცოტა ხნის წინ ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო...**

- სამშენებლო სექტორში, რა თქმა უნდა, რთული მდგომარეობაა. ურთულესი პერიოდი უდგას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკას. ისეთი წარმატებული ქვეყნებიც კი, რომლებიც მაგალითი უნდა ყოფილიყო სხვებისთვის, თუნდაც ისლანდია, არა მხოლოდ ეკონომიკური, პოლიტიკური კრახის წინაშე დგას. საერთო ფონზე საქართველო უკეთეს პოზიციაშია და ვფიქრობ, ეს იმ საერთაშორისო დახმარებების დამსახურებაა, რომელიც შემოდის... მთელი ეს კრიზისი ამერიკიდან დაიწყო, თუმცა იქაც კი, გასული წლის დეკემბრის მონაცემებით, მეორად ბაზარზე ბინების გაყიდვების რაოდენობა 6 პროცენტით გაიზარდა. საერთო ფონზე ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოა, მაგრამ მკაფიოდ მიგვანიშნებს გარკვეულ დადებით ტენდენციაზე. საქართველოში ბიზნესი და ეკონომიკა რთულ ვითარებაშია, აქტივობები შემცირებულია, მაგრამ, რაც მთავარია, ეკონომიკა არ ჩამოშლილა. ისევე, როგორც სხვა კომპანიების შემთხვევაში, „ბაგები სითი ჯგუფის" პროდუქტზე მოთხოვნამ, რა თქმა უნდა, იკლო, მაგრამ არსებობს, და სწორედ ამაზე არის გათვლილი ჩვენი შემდეგი პროექტი, რომელიც ახლახან დავიწყეთ... უკვე რამდენიმე წელია „ბაგები სითი ჯგუფი" კუს ტბის ასახვევში, სადაც 5 ჰექტარამდე მიწის ფართობს ფლობს, დეველოპმენტს ახორციელებს. ეს პროექტი ჩვენი ფლაგმანია. რამდენიმე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა უკვე დასრულდა და იქ მობინადრეები ცხოვრობენ. ვფიქრობ, საქართველოში ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. მეორე ფაზა ამ დეველოპმენტისა, რომელსაც „პარკ გეიტი" ჰქვია, მაისი-ივნისის თვეში დასრულდება. ჩვენ 2008 წელსვე ვგეგმავდით მესამე ფაზის დაწყებას, რომელსაც „პარკ სტრიტი" ეწოდება, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან, საომარი მოქმედებების შედეგებიდან და სხვა მოვლენებიდან გამომდინარე, ეს პროექტი რამდენიმე თვით გადაიდო და მშენებლობა ახლახან დავიწყეთ. მესამე ეტაპის მშენებლობა დაახლოებით ერთ წელიწადში დამთავრდება და ამ პერიოდში მშენებლობის კიდევ ერთ ეტაპს წამოვიწყებთ. ცხადია, მეამაყება, რომ „ბაგები სითი ჯგუფი" საქართველოში პირველი კომპანიაა, რომელმაც ომის შემდეგ ხელი ახალ დეველოპმენტს მოჰკიდა. პროექტის წარმატებაში დარწმუნებული ვარ, რამდენადაც ადგილი კუს ტბის ასახვევში, სადაც „პარკ სტრიტის" მშენებლობა დავიწყეთ, უკვე კარგად განვითარებული, სრულად ინფრასტრუქტურირებულია, და ეს ცნობილია საზოგადოებისათვის.

**- აგვისტოს მოვლენებმა და ფინანსურმა კრიზისმა ამ პროექტის განხორციელებაში, ალბათ, გარკვეული ცვლილებები გამოიწვია?**

- ცვლილებები, რა თქმა უნდა, გამოიწვია. მთლიანი პროექტი, ახალი უბანი კუს ტბის ასახვევში, სადაც 80 ათასი კვ.მ. საცხოვრებელი ფართი სამ ეტაპად 4 წელიწადში უნდა აგვეშენებია და 2010 წელს უნდა დასრულებულიყო, დასრულდება 2012-ში.

**- ბატონო ჯუმბერ, ქართველმა დეველოპერებმა და სამშენებლო კომპანიებმა კვადრატული მეტრი ფართის ღირებულება მეტ-ნაკლებად შეამცირეს, „ბაგები სითი ჯგუფმაც" გადახედა ფასების პოლიტიკას. გასულ წელთან შედარებით, დღეისათვის რამდენი პროცენტით დაიკლო თქვენ მიერ აშენებულ საცხოვრებელ კომპლექსში კვადრატული მეტრის ღირებულებამ?**

- ჩვენი შემდგომი პროექტი ბაზარზე არსებულ მდგომარეობას ყოველთვის ითვალისწინებს. ისე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც, და მათ შორის ჩვენთან, ფასში კორექტირება მოხდა. ჩვენ მიერ აშენებულ კომპლექსში კვადრატული მეტრის ღირებულება დღეისათვის 15-20 პროცენტით შემცირდა... საერთოდ, ბაზარზე ყოველთვის არსებობდა აზრი იმის თაობაზე, რომ ჩვენს კომპანიაში ბინის ღირებულება ძალიან მაღალია. „ბაგები სითი ჯგუფის" პროექტი, ადგილის და იმის გამო, რომ ბინებს დასრულებული სახით ვაბარებთ, საუკეთესოდ ითვლება და შესაძლოა, ეს მითქმა-მოთქმა აქედან იღებს სათავეს. სინამდვილეში ჩვენი ფასები ყოველთვის კონკურენტუნარიანი და რეალისტური იყო... ჩვენი იდეოლოგია არ შეცვლილა. როდესაც სხვა კომპანიის მიერ ვაკეში აშენებულ ბინაში თეთრ კარკასს იყიდი, ის საბოლოო ჯამში უფრო ძვირი გიჯდება, ვიდრე ჩვენთან დასრულებული სახით შეძენილი ბინა. იმ ადამიანებს, ვისაც ბიზნესი, სტაბილური შემოსავალი აქვს და დაკავებულია, ბინის შეძენა ჩვენთან ურჩევნიათ, რადგანაც ჩვენ ძალიან ბევრ პრობლემას ვუხსნით მათ, როდესაც ბინებს დასრულებული სახით ვაბარებთ, და რაც მთავარია, ხარისხი ძალიან მაღალია. კუს ტბის ასახვევთან მშენებარე კომპლექსში კვადრატული მეტრის ღირებულება 1500 დოლარიდან იწყება. ვინაიდან ბინები დასრულებული სახით ბარდება, ჩვენთან ფასის განსაზღვრისას უფრო მნიშვნელოვანი პარამეტრია - რომელ სართულზე მდებარეობს ბინა, როგორი ხედი ჩანს და ა.შ. ერთ სართულზე ერთსა და იმავე კვადრატულ მეტრს, იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეს უყურებს, სხვადასხვა ფასი აქვს.

**- ბატონო ჯუმბერ, საქართველოში სამშენებლო მასალების დიდი ნაწილი იმპორტირებულია, დღეს მათი ღირებულება საკმაოდ შემცირდა. ამ ფონზე რამდენად არის მოსალოდნელი, რომ ბინის ფასმა კიდევ დაიკლოს?**

- მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ასეთი ვითარებაა: თბილისის საბინაო ფონდის 80 პროცენტი ამორტიზებულია. ამიტომ, თუ საზღვარგარეთ ამ ბაზარზე ზედმეტი მიწოდება მოხდა, ჩვენთან ასე არ იყო. ვფიქრობ, ბინის ფასზე მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის მოსალოდნელი. უფრო მეტიც - ჩემი აზრით, 2009 წელი საუკეთესო წელია მათთვის, ვისაც განზრახული აქვს, ბინა ან ნებისნიერი უძრავი ქონება შეიძინოს.

**- საქართველოში ბოლო პერიოდში მშენებლობის ბუმი იყო. მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი არ დარღვეულა?**

- რა თქმა უნდა, არა. თბილისი მილიონნახევრიანი ქალაქია და თითქმის ყველა ამორტიზებულ სახლში ცხოვრობს. გარდა ამისა, ახალშექმნილი ოჯახები ცდილობენ, საცხოვრებლად ახალ ბინაში გადავიდნენ.

**- საიდან მოიზიდა კომპანიამ ის ფინანსები, რომლითაც ამ დიდი პროექტის მესამე ეტაპის განხორციელება დაიწყეთ? უცხოური ინვესტიცია ხომ არ არის ჩადებული?**

- ამ პროექტის განხორციელება ძირითადად შიდა რესურსების ხარჯზე ხდება, და ასევე იმ ფინანსებით, რომელსაც მომხმარებელი ბინის შეძენისას იხდის. ჩვენ ძალიან კარგად ვმუშაობთ ბანკებთან, იგივე „თი-ბი-სი ბანკთან", „საქართველოს ბანკთან", და როდესაც ადამიანი ბანკის კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ის იღებს იპოთეკურ სესხს. სხვათა შორის, ამ ბაზარზე ახალი მოთამაშეც გამოჩნდა - „HSBC" ბანკი. მათ ახლახან დაიწყეს იპოთეკური დაკრედიტების ინსტრუმენტის გამოყენება და საკმაოდ მისაღები პროცენტები აქვთ. ჩვენ მათთანაც ვთანამშრომლობთ და ეს ყველაფერი გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

**- აგვისტოს მოვლენების შემდეგ ბანკებმა კრედიტების გაცემა შეზღუდეს. ბოლო პერიოდში რამდენად ხშირი იყო შემთხვევა, როცა იპოთეკურ სესხთან დაკავშირებით თქვენს კლიენტს ბანკმა სესხი დაუმტკიცა?**

- რა თქმა უნდა, იყო ასეთი შემთხვევები.

**- ბატონო ჯუმბერ, კომპანია „ბაგები სითი ჯგუფის" მთლიანი გაყიდვების მოცულობაში იპოთეკური სესხით გაყიდული ბინები რამდენ პროცენტს იკავებდა?**

- ეს არ იყო მაღალი მაჩვენებელი. მთლიანი გაყიდვების მოცულობაში იპოთეკურ დაკრედიტებას 5 პროცენტი ეკავა. ჩვენ ასეთი პოლიტიკა გვაქვს: როდესაც ხელშეკრულებას ვაფორმებთ, ადამიანი თანხას გრაფიკით იხდის და საბოლოო ღირებულების გადახდამდე ბინაც მთავრდება. ჩვენი მომხმარებლები ბინის შეძენისას ძირითადად სწორედ ამ მეთოდით სარგებლობენ... როგორც აღვნიშნე, მშენებლობის მესამე ეტაპი ცოტა ხნის წინ დაიწყო, თუმცა იქ საცხოვრებელი ბინების ნახევარზე მეტი უკვე გაყიდულია. ჩვენ უკვე დიდი ხანია ამ ბაზარზე ვმუშაობთ და მომხმარებელი გვენდობა. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას, რომ შემდგომ ეტაპებზე ვიფიქროთ... ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ ამერიკის, ინგლისის და განვითარებული ქვეყნების მთავრობა, არამედ ყველა მთავრობა მსოფლიოში, და მათ შორის ჩვენი ხელისუფლება, ეკონომიკის სტიმულირებას ცდილობს. ეს ადვილი არ არის, მაგრამ აუცილებლად ნაყოფს გამოიღებს. ჩვენი ეკონომიკა ზომით მცირეა. შესაბამისად, სტიმულირების პაკეტიც პატარაა. ამერიკას ტრილიონები სჭირდება, ჩვენთვის კი რამდენიმე მილიარდი, ანუ ის თანხა, რასაც დონორები გვაძლევენ, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ეკონომიკამ ფუნქციონირება არ შეწყვიტოს და გააგრძელოს. ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს, ფრთხილი ოპტიმიზმით ვუყუროთ მომავალს.

**- აგვისტოდან, გასაგები მიზეზების გამო, საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი საერთოდ გაჩერდა. როდიდან გაჩნდა მოთხოვნა უძრავ ქონებაზე?**

- დიახ, აგვისტოში შესყიდვებზე არავინ ფიქრობდა, მაგრამ უკვე ოქტომბერში ჩვენ საკმაოდ მსხვილ კონტრაქტებს მოვაწერეთ ხელი.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ იმ 4,5 მილიარდი დოლარიდან გარკვეული ნაწილი ბანკებს უნდა მიეწოდოს, რათა მათ იპოთეკური სესხის გაცემა დაიწყონ. თქვენს შემთხვევაში იპოთეკას 5 პროცენტი უკავია. თუმცა არის სამშენებლო კომპანიები, რომლებიც თითქმის მთლიანად იპოთეკურ სესხებზე იყვნენ დამოკიდებული და ეს მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. თქვენ რას იტყოდით ამის თაობაზე?**

- ეკონომიკაში კრედიტები აუცილებელია. ამის გარეშე თანამედროვე ეკონომიკა ვერ ფუნქციონირებს. ახლო მომავალში აუცილებელია კვლავ განახლდეს ეკონომიკის დაკრედიტება სრული მასშტაბით და ბანკებმა გააუმჯობესონ ბიზნესის საკრედიტო მომსახურება. ჩამოყალიბების დღიდან ჩვენი საბანკო სისტემა პირველად დგას ასეთი მასშტაბის პრობლემების წინაშე. ასეთ სიტუაციაში მენეჯმენტი რთულია და ბანკებს სჭირდებათ დრო, რომ ყველაფერს გადახედონ, რისკების შეფასება მოხდეს და ა.შ. სამშენებლო კომპანიებმა ჩვენს გეგმებს გადავხედეთ, ბანკებმა - თავიანთ გეგმებს, მთავრობა სტიმულირებას აკეთებს... მუშაობა მიმდინარეობს გლობალურად, დავოსში შეიკრიბნენ და იმსჯელეს იმის თაობაზე, თუ რა უნდა ვქნათ. და როცა ყველა მოქმედებს, შევძლებთ ამოვიდეთ იმ სირთულეებიდან, სადაც აღმოვჩნდით. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი დადებით შედეგს გამოიღებს.

**- 2008 წელს როგორ შეაფასებდით? მთელი მსოფლიოსთვის, და მათ შორის ჩვენთვისაც, ეს წელი ურთულესი იყო. ამ მხრივ გამონაკლისი, ალბათ, არც თქვენი კომპანია ყოფილა.**

- 2008 წელი მართლაც ურთულესი იყო. როდესაც დიდი მეზობელი გიტევს და შენს წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომს აწარმოებს, ძნელია ამას გაუძლო, თუმცა საქართველომ 2008 წელს უდიდეს დარტყმას გაუძლო და ამას, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა. ეს წელი ძალიან ცუდად შევა რუსეთის ისტორიაში... 2008 წლის მოვლენებს გაუძლო ჩვენმა ხალხმა, ეკონომიკამ, მთავრობამ. ამ მოვლენას გლობალური ფინანსური კრიზისი რომ არ დამთხვეოდა, საქართველო გაცილებით უკეთესად გამოვიდოდა ამ ვითარებიდან. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ომმა ძალიან დაგვაზარალა, მაგრამ ამას კიდევ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაემატა და, ასე ვთქვათ, ორმაგი წნეხის ქვეშ აღმოვჩნდით... რასაკვირველია, ეს წელი „ბაგები სითი ჯგუფისთვისაც" რთული იყო. გადავხედეთ გეგმებს, არსებულ პროექტებში ხარჯების ოპტიმიზაციამ მოგვიწია, მაგრამ გავუძელით... და რაც მთავარია, ამ დარტყმებს ქვეყანამ გაუძლო.

**- 2008 წლის დასაწყისში რამდენპროცენტიან ზრდას ელოდა კომპანია და წლის ბოლოს როგორი ზრდა დაფიქსირდა?**

- წლის დასაწყისში ვფიქრობდით, რომ ზრდის მაჩვენებელი 47 პროცენტს შეადგენდა, თუმცა გასაგები მიზეზების გამო 21-პროცენტიანი ზრდა მივიღეთ.

**- ბატონო ჯუმბერ, კუს ტბასთან მშენებარე კომპლექსის პარალელურად „ბაგები სითი ჯგუფი" „ბათუმი პლაზას" პროექტზე მუშაობს. როდის იგეგმება მისი დასრულება?**

- ბათუმში ძალიან საინტერესო პროექტი ხორციელდება. სხვათა შორის, ამ პროექტის თაობაზე რამდენიმე დღის წინ გვყავდა უცხოელი სტუმრები, რომლებიც თბილისშიც დაინტერესდნენ ჩვენი საქმიანობით. „ბათუმი პლაზას" შესახებ შევთანხმდით, რომ თებერვლის დასაწყისში ისევ გვექნება შეხვედრა. ჯერ არ მინდა ვთქვა, რომელ კომპანიაზეა საუბარი. კიდევ ერთი მიზეზი, რაც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს - ამ პროექტით უცხოელები დაინტერესდნენ. ბათუმში ჩვენ შერეული სქემა გვაქვს. იქ არის როგორც სავაჭრო, ისე გასართობი, საოფისე, სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსი. ეს იქნება ქალაქი ქალაქში. ბათუმში ჩვენ ვაშენებთ ქალაქს, სადაც არ წვიმს. ექვსსართულიანი შენობის თავზე იქნება ოლიმპიური ზომების საცურაო აუზი, რომელსაც მოძრავი სახურავი აქვს. ის კანადაში დავამზადებინეთ და 3 მილიონი დოლარი დაჯდა. ამ კომპლექსში პრაქტიკულად ყველაფერია თავმოყრილი: ორი კინოთეატრი, სამი რესტორანი, კაზინო, მაღაზიები, საცურაო აუზი, სასტუმრო და საცხოვრებელი. მშენებლობა ზაფხულისთვის დასრულდება. იქ ბინების 60 პროცენტი უკვე გაყიდულია. ასევე გაყიდულია კომერციული ფართების ნაწილიც. ამ კომპლექსში კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ღირებულება (დასრულებული რემონტით) 1200 დოლარიდან იწყება. თუ ადამიანს საშუალება აქვს, აუცილებლად უნდა იყიდოს ბინა ბათუმში და თანაც აუცილებლად წელს, რადგანაც პრაქტიკულად არა მარტო ზაფხულში, არამედ წლის განმავლობაში დასვენების პრობლემა მოხსნილი ექნება. ერთი სიტყვით, „ბაგები სითი ჯგუფმა" კრიზისს გაუძლო და გეგმებს გადახედა, მაგრამ ის მაინც მტკიცედ დგას.

ქ.რუსთავის მე 5 საჯარო სკოლის, მე-10 კლასის მოსწავლის ნუგზარ სულეიმანიშვილის წერილი გამოგვიგზავნა ქ.რუსთავის ამავე სკოლის მასწავლებელმა, ნანა კუჭუხიძემ, შსს მინისტრის წერილის საპასუხოდ, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა, ივანე მერაბიშვილმა საახალწლოდ გაუგზავნა სკოლის მასწავლებლებს.

აღნიშნულ წერილში მინისტრი მასწავლებლებს სთხოვს თანადგომას მცირეწლოვანთა შორის დანაშაულისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შსს აზრით, აღნიშნული პრობლემების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების, პირველ ყოვლისა სკოლისა და ოჯახის ძალისხმევით.

## ბიჭებო, არასოდეს . . .

(ჩანახატი)

თვალი რომ გაახილა, გაიზმორა და საათს შეხედა, თორმეტი ხდებოდა.დედაც სადღაც გასულიყო.სკოლაში არ წავიდა დღეს,ან როგორ წავიდოდა,წუხელ გვიან დაბრუნდა შინ და დაეძინა.გუშინ მაგრად ''იკაიფეს'' ბიჭებმა.ახლა ყველა ძვალი და სახსარი სტეხდა. რა დროს სკოლა იყო,თანაც დღეს ნატო მასწავლებელს ბავშვები მუზეუმის დასათვალიერებლად მიჰყავდა.მამუკას სულაც არ აინტერესებდა ეს ამბავი, ახლა მისთვის მთავარი იყო რამე მსუბუქი დამამშვიდებელი. ადგა, ჩაიცვა, ცოტა წაიხემსა და შინიდან გავიდა.სტვენით შეეხმიანა თავის მეზობელ და თანაკლასელ დათოს.მან,როდესაც დაინახა მეგობარი,კისრისტეხით დაეშვა კიბეზე.ბიჭებმა უსაქმოდ დაიწყეს ხეტიალი ქუჩაში. .ამ დროს მამუკამ თვალი მოჰკრა დედას,რომელსაც სანოვაგით დატვირთული ჩანთები ეჭირა ხელში.მამუკა შენობის კედელს მიეფარა,რომ დედას არ შეენიშნა,თან გაუხარდა, დღეს შინ გემრიელი სადილი დახვდებოდა. გზაზე მოხუცი ქალი გადადიოდა.მამუკამ დახმარება შესთავაზა, გადაიყვანა მეორე მხარეს და ხელჩანთა ისე აართვა, ქალმა ვერაფერი გაიგო. საფულეში ხუთი ლარი და ოცი თეთრი აღმოჩნდა.წებოს საყიდლად ეყოფოდათ. მაღაზიისკენ მიმავლებმა დაინახეს ეზოში,ონკანის ქვეშ,იჯდა ორმოციოდე წლის მამაკაცი და წყალი თავზე ჩამოდიოდა. გაოგნებული ბიჭები მისცვივდნენ,წამოაყენეს და მხრებში შეუდგნენ.კაცი მუხლებში იკეცებოდა და რაღაცას ლუღლუღებდა.როგორც იქნა მისამართი ათქმევინეს და შინ წაიყვანეს.რის ვაივაგლახით აიყვანეს მესამე სართულზე,გასაღები უპოვეს ჯიბეში და შინ შეიყვანეს. ოთახში უცნაური სუნი იდგა.ირგვლივ ნახმარი შპრიცები და ცარიელი ბოთლები ეყარა. ბიჭები ყველაფერს მიხვდნენ და ერთმანეთშეხედეს.გადაყირავებული, ერთადერთი სკამი გაასწორეს და ოთარი ძლივს დასვეს.იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ რაღაცას ამბობდა,თითს იშვერდა კედლისაკენ, სადაც სანდომიანი ქალის ფოტო ეკიდა.ცოტა ხნის შემდეგ თავი მაღლა აწია და მთელი ხმით იღრიალა:-ბიჭებო, არ შეცდეთ, წამალს არ გაეკაროთ, ცოდვა არ ჩაიდინოთ, შემომხედეთ, წამლის გულისათვის დედაც კი გავწირე. . . ყველაფერი გავუყიდე და წავართვი,თვით სიცოცხლეც კი. . . მაპატიე ღმერთო,-მაპატიე დედა. . . და კედლისკენ გაშვერილი,გამხდარი და გაყვითლებული ხელი უმწეოდ ჩამოუვარდა,ბიჭები შეშინდნენ.დათომ მობილურით სასწრაფო გამოიძახა. . . ნარკოტიკის დიდი დოზა- დაასკვნა ექიმმა. მამუკა და დათო განადგურებული და სახეშეშლილები გამობრუნდნენ იქიდან.ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ. „ნარკოტიკის დიდი დოზა". „-მაპატიე დედა"- ჩაქუჩივით სცემდა ეს სიტყვები მამუკას.ნაბიჯს აუჩქარა,შინ შევარდა , დედას მუხლებზე მოეხვია და აქვითინდა-„მაპატიე დედა".დედამ გულში ჩაიკრა ბიჭი და მოეფერა.მამუკამ იმ დღიდან გადაწყვიტა,რომ არასოდეს ეზეიმა „თეთრ სიკვდილს" და მუდამ სიცოცხლე ყოფილიყო გამარჯვებული.

ქ.რუსთავის მე-5 საჯარო სკოლა
მე-10ა კლასის მოსწავლე
ნუგზარ სულეიმანაშვილი

## საბერძნეთის სასამართლოს განაჩენი 11 წლის ალექსი მესხიშვილის მკვლელობის საქმეზე

საბერძნეთის სასამართლომ საბერძნეთში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე დაასრულა. სასამართლომ დამტკიცებულად მიიჩნია, რომ 2006 წელს ხუთმა მოზარდმა ქალაქ ვერიაში ალექსი მესხიშვილის მკვლელობა ჩაიდინა და ხუთივე წინასწარ განზრახვის გარეშე ჩადენილ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორ ბრალდებულს მიესაჯა არასრულწლოვანთა გამოსასწორებელ დაწესებულებაში ყოფნა, სამს - საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარება და აღმზრდელობით მეცადინეობებზე დასწრება. კიდევ ერთი მოზარდი ცრუ ჩვენებების მიცემის და ერთ-ერთი განსასჯელის - საკუთარი ძმის მფარველობისთვის სოციალურ ორგანოებს გადაეცა ზედამხედველობისთვის.

ნახევარი წლის განმავლობაში სასამართლომ ასზე მეტი მოწმე დაკითხა. დადგინდა, რომ მოზარდებს საკუთარ თანაკლასელ ალექსი მესხიშვილთან ქუჩაში შეკამათება მოუვიდათ და მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. მათგან თავდახსნის მცდელობისას კი ალექსი მესხიშვილი ქვის კიბიდან გადავარდა. მან სასიკვდილო ტრავმები მიიღო თავის არეში.

მიუხედავად საქმის ხანგრძლივი ძიებისა, სამართალდამცველებმა გარდაცვლილის ცხედარი ვერ აღმოაჩინეს. მკვლელობაში ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ თანატოლის ცხედარი ჯერ რამდენიმე დღით გადამალეს, შემდეგ კი სამშენებლო ურიკით მდინარეში გადააგდეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## წელს 14 ჟურნალისტი დაიღუპა

2009 წლის იანვრის თვეში 14 ჟურნალისტი დაიღუპა, - ასეთი დასკვნა გამოაქვეყნა „ფრეს ემბლემ ქემფეინმა", რომელიც პრესის წარმომადგენელთა უფლებების მონიტორინგს ახორციელებს მსოფლიო მასშტაბით.

იანვრის მონაცემებით, მარტო ღაზას სექტორში ოთხი ჟურნალისტი დაიღუპა, რუსეთში - ორი, ვენესუელაში - ორი, პაკისტანში 3, სომალიში, ნეპალსა და შრი-ლანკაზე თითო-თითო ჟურნალისტი გამოასალმეს სიცოცხლეს. ორგანიზაცია ფრეს ემბელემ ქემფეინი" აცხადებს, რომ 2008 წელს 91 რეპორტიორი დაიღუპა, ანუ კვირის განმავლობაში მსოფლიოში ორ-ორი ჟურნალისტი იღუპებოდა.

**მედიანიუსი**

## სიგარეტით გაჩენილ ხანძარს ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ქუთაისში, ვარლამიშვილის ქუჩაზე მდებარე სახლში გაჩენილ ხანძარს ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლი სახლის საძინებელში გაჩნდა. მეზობლებმა ხანძარი შეამჩნიეს და სახანძრო სამსახურს შეატყობინეს. მეხანძრეებმა ცეცხლი ოპერატიულად ჩააქრეს, თუმცა საძინებელში 60 წლის მამაკაცი კვამლისგან იყო გაგუდული.

სავარაუდოდ, ხანძარი მოკიდებული სიგარეტით გაჩნდა, რომელიც მამაკაცს ლეიბში ჩაუვარდა. მომხდართან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება.

**პირველი**

## ეგვიპტელი მილიონერი თაღლითობის ბრალდებით დააკავეს

არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქში, დუბაიში, ეგვიპტელი მილიონერი თაღლითობის ბრალდებით დააკავეს. დუბაის პოლიციის უფროსის, გენერალ ჰამის ალ-მაზინის განცხადებით, ეგვიპტელი მეწარმე ნაბილ ალ მაჰმუდ ალ-ბუში, რომლის კომპანიასაც წარმომადგენლობები დუბაიში, ლონდონსა და ნიუ-იორკში აქვს, აქციების შესასყიდად და სამშენებლო პროექტებში ჩასადები საინვესტიციო ათეულობით მილიონი დოლარის მითვისებაშია ეჭვმიტანილი. გენერალმა ჰამის ალ-მაზინმა ასევე აღნიშნა, რომ ნაბილ ალ მაჰმუდ ალ-ბუში მაშინ დააკავეს, როდესაც ქვეყნიდან გასვლას ცდილობდა. გენერლის განცხადებით, მას სხვა ბრალდებაც წარედგინება. კერძოდ, საქმიანი პარტნიორები არაბეთის გაერთიანებული საემიროებდიან ნაბილ ალ მაჰმუდ ალ-ბუშს ბრალს სდებენ, რომ მან 12 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ჩეკები არ გაანაღდა. არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და ეგვიპტეში, თაღლითის მსხვერპლი 50 ადამიანი გახდა.

გენერალმა ჰამის ალ-მაზინმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლო პროცესი დასრულდება და ნაბილ ალ მაჰმუდ ალ-ბუში არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში სასჯელს მოიხდის, ქვეყნის გენერალური პროკურატურა მას ეგვიპტელ სამართალდამცველებს გადასცემს, რადგან მოთხოვნა მისი ეგვიპტეში ექსტრადირების შესახებ, უკვე შემოვიდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ყაზახეთში ქართველი „კანონიერი ქურდი" დააკავეს

ყაზახეთში, კოსტანაში, დსთ-ს სივრცეში ცნობილი კანონიერი ქურდი ვიტალი შარია გაასამართლეს. მას სასამართლომ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კრიმინალური ავტორიტეტი, რომელიც წლებია მოსკოვში ცხოვრობს, კოსტანაში, რესტორან „ბამბუკში" იმ დროს დააკავეს, როდესაც ადგილობრივ „ავტორიტეტთან", მეტსახელად „მარატიონოკთან" ერთად სადილობდა. ორივე მათგანს ჩხრეკისას ნარკოტიკები აღმოუჩინეს.

კოსტანას საოლქო პროკურატურაში მანამდე არსებობდა ინფორმაცია, რომ „მარატიონოკი" ჰეროინის მომხმარებელი იყო. მოგვიანებით კი, ცნობილი გახდა, რომ ის მოსკოველ „კოლეგასთან" აპირებდა შეხვედრას.

ყაზახეთის შს სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დაკავებული, მეტსახელად „მარატიონოკი", სამართალდამცველ ორგანოებში აღრიცხვაზე 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა. იგი ძირითადად სათამაშო ბიზნესს აკონტროლებდა და ლობირებდა მეწარმეებს. მიუხედავად იმისა, რომ ის სხვადასხვა ბრალდებით ბევრჯერ გაასამართლეს, კორუმპირებული კავშირების საშუალებით, სასჯელისგან თავის დაღწევა თითქმის ყველა შემთხვევაში მოახერხა. „მარატიონოკის" (პასპორტით მარატ მუკაშევი) სასამართლო პროცესი დახურულია. ცნობილია, მხოლოდ ის, რომ იგი ნარკოტიკების შენახვაშია ბრალდებული. გავრცელებული ინფორმაციით, მას განაჩენს უახლოეს დღეებში გამოუტანენ. ყაზახეთის შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებისას მარატ მუკაშევი და ქართველი ვიტალი შარია ვინმე გუგავასთვის დახმარების გაწევაზე საუბრობდნენ. გუგავა ყაზახმა პოლიციელებმა 2008 წლის თებერვალში დააკავეს.

## ახალი მინისტრის გეგმები

ახლად შექმნილი სახელმწიფო უწყების - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტზე წარდგენილი დიმიტრი შაშკინი ამ უწყების ფეხზე დაყენებას საზოგადოებრივი სექტორისა და პოლიტიკური წრეების მხარდაჭერითა და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით გეგმავს.

როგორც დიმიტრი შაშკინმა ევროპასთან ინტეგრაციის, საგარეო ურთიერთობათა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე განაცხადა, იგი აქტიური დიალოგის გამართვას აპირებს, როგორც საზოგადოების, ასევე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. მას ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნია უწყების საქმიანობაში ეკლესიის როლი, განსაკუთრებით - პრობაციის მიმართულებით.

**პირველი**

## სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცხელი ხაზის ახალი ნომერი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცხელი ხაზის ახალი ნომერი აქვს - 40 10 10.

მოქალაქეები, ცხელი ხაზის საშუალებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში დაშვებული შესაძლო დარღვევის შესახებ ინფორმაციებს აწვდიან, რაზეც სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახური შესაბამის რეაგირებას ახდენს.

გარდა ამისა, ცხელ ხაზზე მოქალაქეები საინფორმაციო ხასიათის შეკითხვებითაც რეკავენ. მათ სურთ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, პასპორტის გაცემისა და სხვა დოკუმენტის აღების თაობაზე.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ცხელი ხაზი 2006 წლის სექტემბრიდან მუშაობს.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცხელი ხაზის ახალი ნომერი სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში თვალსაჩინო ადგილებზე არის გამოკრული.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ძებნილი დოკუმენტის აღებას ცდილობდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამგორის ტერიტორიულ სამსახურში ძებნილი დააკავეს.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, 29 იანვარს 58 წლის იურეკ ო.-მ სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამგორის სამსახურს დაკარგული პირადობის მოწმობის ნაცვლად ახალი დოკუმენტის ასაღებად მიმართა.

მონაცემთა გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ იურეკ ო. მთაწმინდის შს განყოფილების მიერ იძებნებოდა.

აღნიშნული ინფორმაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამგორის სამსახურმა ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებს აცნობეს, რომლებმაც ძებნილი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

**საკუთარი ინფორმაცია**

## კუდ-მა თაღლითობაში ეჭვმიტანილი დააკავა

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა თაღლითობაში ეჭვმიტანილი, აფხაზეთიდან დევნილი ოთარ გუჯეჯიანი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულმა საქართველოს მოქალაქეს ნათია ჯახაიას თაღლითური გზით 2000 აშშ დოლარი გამოართვა, სანაცვლოდ კი, ლტოლვილებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართის მიყიდვას დაჰპირდა, რომელიც მასზე არ იყო რეგისტრირებული.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

**პირველი**

## მორიგი ყაჩაღობა გალის რაიონში

გალის რაიონში მოსახლეობის დაყაჩაღებამ სისტემატური ხასიათი მიიღო. როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსმა თორნიკე კილანავამ განაცხადა, გვიან ღამით, სოფელ თაგილონში ჩიქო შონიას ოჯახი დააყაჩაღეს.

"უცნობი პირები შონიების იჯახში შეიჭრნენ და ძვირფასი ნივთები წაიღეს, თავდასხმის დროს სახლში მცირეწლოვანი ბავშვები იმყოფებოდნენ," - განაცხადა კილანავამ.

**პირველი**

# ადვოკატი სასამართლოში წესრიგის დაცვას ითხოვს

*ხაშურის სასამართლოში მომხდარი ინციდენტის გამო, ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა სახალხო დამცველს მიმართა და ხაშურის სასამართლოს შენობაში წესრიგის დამყარებასა და სასამართლო სხდომის ნორმალურ რეჟიმში ჩატარებაში დახმარება სთხოვა.*

როგორც ადვოკატი აცხადებს, 28 იანვარს, ხაშურის რაიონულ სასამართლოში დაიწყო მკვლელობაში ბრალდებულ, 18 წლის დავით მანაშვილის საქმის სასამართლო განხილვა. თუმცა, პროცესი ჩაიშალა იმის გამო, რომ დაზარალებული მხარის წარმომადგენლებმა ბრალდებულის ახლობლებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

**ფალსიფიცირებული ჩვენებების, ამოცნობის და "ჩადებული" ცეცხლსასროლი იარაღის საფუძველზე, დავით მანაშვილს ინკრიმინირებული აქვს სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. წინასწარი გამოძიების მიერ მტკიცებულებათა გაყალბების შესახებ საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია არაერთი განცხადების საშუალებით. ამჯერად, მოგმართავთ იმ დარღვევათა შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასამართლო პროცესის გახსნის დღეს,** - აცხადებს ადვოკატი სოზარ სუბარისადმი გაგზავნილ წერილში.

ადვოკატის განმარტებით, სასამართლო დარბაზში დაძაბული სიტუაცია იყო, რადგან დარბაზში ორი მხარის წარმომადგენლები ისხდნენ - 7 თვის განმავლობაში პატიმრობაში უდანაშაულოდ მყოფი 18 წლის ახალგაზრდის მშობლები და ახლობლები და მოკლული ახალგაზრდის ახლობლები, რომლებიც წინასწარმა გამოძიებამ დაარწმუნა, რომ მკვლელი სწორედ დავით მანაშვილია.

ასეთ პირობებში, სასამართლო ვალდებულია აღკვეთოს კონფლიქტური სიტუაცია და საქმის განხილვა წარმართოს თუნდაც ნორმალურთან მიახლოებულ პირობებში. ამის ნაცვლად, მოსამართლე ლალი ბესტავაშვილისა და მანდატურების ქმედებებმა გამოიწვიეს სასამართლო სხდომისათვის სრულიად შეუფერებელი გარემოს შექმნა და შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო სხდომა ფაქტობრივად, ჩაიშალა. თავიდანვე მანდატურებმა განსასჯელის გულშემატკივრებს მოსთხოვეს მობილური ტელეფონების არა გამორთვა, არამედ მათი დაშლა ან ჩამორთმევა. შემდეგ განსასჯელის დედას წაართვეს საქმის მასალები და ყველა ფურცელი, მას არ დაუტოვეს სისხლის სამართლის კოდექსიც კი. მანდატურებმა დემონსტრაციული შენიშვნების მიცემა დაიწყეს დამსწრეთა მიმართ ისეთ ბუნებრივ მოძრაობებზეც კი, როგორიცაა თავის გადაქნევა, გვერდზე გახედვა, ღილის გახსნა და ა. შ. შემდეგ კი, დაზარალებულის ადვოკატმა მოსამართლეს მოსთხოვა ბრალდებულის ძმის დარბაზიდან გაძევება თითქოს გამომწვევი ღიმილისთვის და საღეჭი რეზინის ღეჭვისთვის. მოსამართლემ უსიტყვოდ დაუჯერა დაზარალებულის ადვოკატს და გაძევებულის დარბაზიდან გასვლის შემდეგ მას უკან გაყვა მეორე მხარის რამდენიმე წარმომადგენელი, შემდეგ კი, თითქმის მთელი შემადგენლობა, რის შემდეგაც სასამართლოს ფოიეში გაჩაღდა გაწევ-გამოწევა და წივილ-კივილი. ჩხუბში ჩათრეული აღმოჩნდა დამსწრეთა თითქმის მთელი შემადგენლობა და ამ ჩხუბის ფონზე დასრულდა სასამართლო სხდომა ისე, რომ ვერ მოხერხდა მოსამზადებელი პროცედურების სრულად ამოწურვა, - ნათქვამია ადვოკატის წერილში, რომლითაც იგი ომბუდსმენს სთხოვს, რეკომენდაციით მიმართოს უფლებამოსილ პირს, რათა სხდომის ჩატარებისათვის შეიქმნას ნორმალური პირობები, ან უკიდურეს შემთხვევაში პროცესი გადაიტანონ იმ სასამართლოში, სადაც წესრიგი დაცულია.

*საკუთარი ინფორმაცია*

# 21-წლიან პატიმრობას მსჯავრდებული ალიბით გადაურჩა

*ვალერიან ჯიქიძეს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა 2006 წლის სექტემბერში ჩადენილი რამდენიმე დანაშაულისთვის მიესაჯა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჯიქიძე 3-წლის წინ, ყაჩაღობისა და წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ორი ან მეტი პირის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის გაასამართლა.*

მსჯავრდებულმა განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა და გამართლება ითხოვა. დაცვის მხარის მტკიცებით, 2006 წლის მაისის თვიდან ნოემბრამდე მსჯავრდებული აღნიშნულ დანაშაულს ვერ ჩაიდენდა, რადგან ამ პერიოდში იგი ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისთვის სასჯელს რუსეთის ფედერაციაში იხდიდა კობა ცქიფურიშვილის სახელით. თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები მათ პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წარუდგენიათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინა, რომ 2004 წელს ვალერიან ჯიქიძემ ქუთაისის საპასპორტო სამსახურში ნამდვილად დაამზადა კობა ცქიფურიშვილის სახელზე საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი, რომლითაც არაერთხელ გადაკვეთა საქართველოს საზღვარი.

პროცესზე დაცვის მხარემ წარმოადგინა რუსეთის ფედერაციიდან მიღებული დოკუმენტები - განაჩენის ასლი კობა ცქიფურიშვილის მიმართ, ვისი სახელითაც სარგებლობდა ვალერიან ჯიქიძე რუსეთში, თითის ანაბეჭდები და კობა ცქიფურიშვილის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების ცნობა, რაც დანაშაულის ჩადენის პერიოდისთვის რუსეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის ფაქტზე მიუთითებდა.

დაცვის მხარის ალიბი თბილისის სააპელაციო სასამართლომ რუსეთის ფედერაციაში გადაამოწმა. შედეგად უტყუარად დადასტურდა, რომ ვალერიან ჯიქიძე მართლაც სარგებლობდა ყალბი საბუთებით და 2006 წლის მაისიდან მართლაც იხდიდა სასჯელს რუსეთში ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისთვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სხდომის თავმჯდომარის - მანუჩარ კაპანაძის, მოსამართლეების - მაია თეთრაულის, ნაირა გიგიტაშვილის მონაწილეობით, გაამართლა მსჯავრდებული ვალერიან ჯიქიძე და 21-წლიანი სასჯელი მოუხსნა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# კანიბალიზმში ეჭვმიტანილები დააკავეს

პეტერბურგში, მოსკოვის რაიონში შემთხვევითი გამვლელები საშინელი აღმოჩენის მომსწრეები გახდნენ. ორჯონიკის ქუჩაზე, №21-ე კორპუსთან, ადამიანის შიგნეულობითა და კანის ნაფლეთებით სავსე ორი პოლიეთილენის პარკი იპოვეს.

ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა მომხდარის თაობაზე სასწრაფოდ საქმის კურსში ჩააყენეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის სამმართველოს ხელმძღვანელი ვლადიმერ პეტროვსკი. მომხდართან დაკავშირებით, მაშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.



*ადგილი, სადაც პოლიეთილენის პარკები იპოვეს*

ადგილი, სადაც პოლიეთილენის პარკები იპოვეს, გავრცელებული ინფორმაციით, ადგილობრივი ლოთებისა და ბომჟების თავშეყრის ადგილად ითვლება. იქვე ამოდის მეტროს სავენტილაციო მილი და დგას უამრავი სანაგვე კონტეინერი.

ვის ეკუთვნოდა პოლიეთილენის პარკებში მოთავსებული დანაწევრებული სხეული, სამართალდამცველებმა უკვე დაადგინეს. გავრცელებული ინფორმაციით, მოკლულია ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე გოგონა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ რუსეთის ფედერაციის ქალაქ სანკტ-პეტარბურგის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის თანამშრომლებმა სკოლის მოსწავლის მკვლელობასა და კანიბალიზმში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავეს.

"ინტერფაქსის" ინფორმაციით, დაკავებულები არაფორმალური ორგანიზაციების - "ემოსა" და "გოტის" წევრები არიან. სამართალდამცველების ინფორმაციით, ერთ-ერთი ეჭვმიტანილი იური მოჟნოვი მეყვავილედ მუშაობდა, მაქსიმ გოლოვატსკი კი - ბაზარში ყასბად.

ამავე ინფორმაციით, ორივე დაკავებული ადრე ნასამართლევია. გამოძიების თანახმად, მეთერთმეტეკლასელი გოგონა 19 იანვარს გავიდა შინიდან და უკან აღარ დაბრუნებულა. ის ამ დრომდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა.

"ღამით, კოსმონავტების პროსპექტზე, ერთ-ერთ სახლში ახალგაზრდა კაცებმა გოგონა აბაზანაში დაახრჩვეს, რის შემდეგაც მისი სხეული დაანაწევრეს და მისი ორგანოების ნაწილი საჭმელად გამოიყენეს. ნარჩენები პაკეტებში მოათავსეს და სანაგვე კონტეინერებში ჩაყარეს," - ასეთია სამართალდამცველების მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

*საკუთარი ინფორმაცია*

# პირველი ირანული თანამგზავრი კოსმოსში



ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ ორბიტაზე პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა. ირანის ოფიციალური პრესის ინფორმაციით, სამეცნიერო კვლევებისა და ტელეკომუნიკაციისთვის განკუთვნილი თანამგზავრი "ომიდი" ორშაბათ საღამოს გაუშვეს.

**"თანამგზავრის კოსმოსში გაშვება სანქციის პირობებში ირანელ მეცნიერთა მორიგი წარმატებაა,"** - აღნიშნეს ადგილობრივ ტელევიზიაში.

თანამგზავრი ომიდი" (იმედი) მსუბუქი ტიპის თანამგზავრია, რომელიც ყოველ 24 საათში 15-ჯერ შემოუვლის დედამიწას და ყოველი შემოვლისას დედამიწიდან გაკონტროლდება. მას აქვს ორი სიხშირე და რვა ანტენა, რომლითაც ინფორმაციის მიღება და გადაცემა მოხდება.

საინფორმაციო სააგენტო "ფარსის" მიხედვით, თანამგზავრის გაშვება ორბიტაზე "საფირ-2"-ის ტიპის რაკეტმზიდის საშულებით მოხდა. ირანმა საკუთარი წარმოების კოსმოსური რაკეტმზიდის საცდელი გაშვება ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ განახორციელა.

მოვლენას ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა "ისტორიული" უწოდა და იქვე ისიც დაამატა, რომ გაშვების მიზანი "მსოფლიოში ერთმორწმუნეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის დადასტურებაა."

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, თანამგზავრის გაშვებისთანავე სიტყვით გამოვიდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩარ მოთაყი.

**"ირანის თანამგზავრული ტექნოლოგია მხოლოდ სამშვიდობო მიზნებსა და ქვეყნის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურება,"** - განაცხადა მოთაყიმ ეთიოპიაში აფრიკული კავშირის სამიტზე კულუარულ საუბრებში.

"ბი-ბი-სი"-ს ცნობით, თანამგზავრის გაშვება ირანის ისლამური რევოლუციის 30 წლის იუბილეს უკავშირდებოდა. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის მხრიდან შეშფოთება გამოთქმება, ოფიციალური თეირანი შეერთებულ შტატებსა და ევროპულ ქვეყნებს ალბათ კვლავ ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში დაადანაშაულებს.

ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღება, გაერო-ს თანახმად, შეერთებულმა შტატებმა და სხვა დასავლურმა ქვეყნებმა ურანის გამდიდრების პროგრამის გამო გადაწყვიტეს.

ოფიციალური თეირანი კვლავინდებურად უარყოფს ბრალდებებს და აცხადებს, რომ ბირთვული პროგრამა მას მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისთვის სჭირდება.

თუმცა, აჰმადინეჯადის ხმამაღალი განცხადებების არ სჯერა ევროპას, სადაც შიშობენ, რომ ახალ ტექნოლოგიებს ოფიციალური თეირანი შორი მოქმედების რადიუსის რაკეტების შესაქმნელად გამოიყენებს, რომლებმაც, სავარაუდოა, ბირთვული მუხტის გადატანაც შეძლონ.

ირანის ხელისუფლების განცხადებით, ოფიციალური თეირანი მიღებულ ინფორმაციას მეტეოროლოგიური დაკვირვების, ეკონომიკური და ტექნიკური, ასევე სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელებისთვის გამოიყენებს.

"ომიდი" პირველი თანამგზავრია, რომელიც ირანელმა სპეციალისტებმა შექმნეს და ირანული რაკეტმზიდით ორბიტაზე გაუშვეს. ფორმალურად პირველ ირანულ თანამგზავრად რუსეთში შემუშავებული "სინა-1" მიიჩნევა, რომლის გაშვებაც ორბიტაზე 2005 წელს კოსმოდრომ პლესეცკიდან რაკეტმზიდ "კოსმოს-3"-ის დახმარებით განხორციელდა. "სინა"-ს ბორტი ფოტო და ტელეკომუნიკაციების მექანიზმებით იყო აღჭურვილი.

მაგთი MAGTI

ვალენტინობა 2009

ჩაერთეთ მაგთის ქსელში მხოლოდ 1 ლარად
(ბალის ქსელში – 3 ლარად),
გადახდილი თანხაც დაგიბრუნდებათ ნომრის ანგარიშზე
და ყოველთვე, 2009 წლის ბოლომდე,
თავად აირჩევთ საჩუქრებს!
პირველ საჩუქარს მიიღებთ ნომრის გააქტიურებისთანავე.

თუ უკვე ხართ მაგთის ან ბალის აბონენტი,
აკრიფეთ *102 # OK,
1 ლარად ჩაერთვებით აქციაში და 2009 წლის ბოლომდე,
ყოველთვე აირჩევთ საჩუქრებს.

25 00 00 525

### ჩავესი: აშშ უარს ვერ იტყვის ვენესუელიდან ნავთობის იმპორტზე

ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესის განცხადებით, ენერგიის ალტერნატიული წყაროების განვითარება, რის შესახებაც წინადადება ნავთობის იმპორტზე დამოკიდებულების შესამცირებლად ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ წამოაყენა, აშშ-ს მიერ ვენესუელიდან ნედლეულის მოწოდებაზე უარის თქმას არ გამოიწვევს. სამრეწველო და ეკონომიკურ განვითარებას აუცილებლად მოჰყვება მსოფლიოში ნავთობის მოხმარების გაზრდა. **"მეტად საეჭვოა, რომ აშშ-მ შეძლოს ნავთობზე დამოკიდებულების შემცირება, რომელსაც ისინი თვითონ მოიპოვებენ ან რომლის იმპორტსაც ახორციელებენ. ვენესუელას აშშ-ში შვიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და 12 ათასი ბენზინგასამართი სადგური აქვს, ათასობით ამერიკელს სამუშაოთი უზრუნველყოფს, ასობით ათას ღარიბ ამერიკულ ოჯახს იაფი საწვავით ამარაგებს,"** - განაცხადა ჩავესმა. ვენესუელის პრეზიდენტმა ენერგიის ალტერნატიული წყაროების შესახებ ობამას გეგმებს "უნიკალური" უწოდა და ამ სფეროში აშშ-სთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა. ამასთან ჩავესმა აღნიშნა, რომ აშშ უახლოეს პერსპექტივაში ვერ შეძლებს, უარი თქვას ნავთობზე, რომელიც მას ჰაერივით სჭირდება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### იულია ტიმოშენკო პრეზიდიუმის ტრიბუნაზე ვერ ავიდა

"უკრაინსკიე ნოვოსტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის რადაში პარტია "რეგიონების" წევრებმა პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს პრეზიდიუმის შესასვლელი სკამით დაუბლოკეს. პარტია "რეგიონების" წარმომადგენლები რადას გუშინდელ სხდომაზე, რომელსაც მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი უნდა განეხილა, მოითხოვდნენ უკრაინის პრეზიდენტის, პრემიერის, ეროვნული ბანკისა და რეგიონული ადმინისტრაციების წარმომადგენლების გამოსვლას. უკრაინის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხის დაჩქარებულ ვადებში განხილვა თავად უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ მოითხოვა. თუმცა პარტია "რეგიონების" წარმომადგენლებმა, რომლებიც ტიმოშენკოს გადადგომას ემხრობოდნენ, მოითხოვეს, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხის განხილვა 5 თებერვლისთვის გადაიდოს. **"პრემიერისა და პრეზიდენტის მოხსენების მოსმენა და მთავრობის დამტკიცების საკითხის გადატანა აუცილებელია,"** - განმარტა პარტია "რეგიონების" წევრმა ალექსანდრ სტოანმა. უკრაინის მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი 2008 წლის ზაფხულშიც განიხილებოდა, თუმცა მაშინ პარტია "რეგიონებმა" მინისტრთა კაბინეტისთვის უნდობლობის გამოცხადება ვერ შეძლო, რადგან ამ საკითხის გასატანად აუცილებელი 226 ხმა სჭირდებოდა, ის კი რადაში მხოლოდ 174 მანდატს ფლობს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### გერმანიაში ფრანგული ჯარი განთავსდება

საფრანგეთი და გერმანია აწარმოებენ მოლაპარაკებებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად გერმანიის ჯარების საფრანგეთის მიწაზე განთავსების შესახებ. იგეგმება 450-დან 800-მდე ჯარისკაცის განთავსება ელზასსა და ლოთარინგიაში ანუ იმ მიწებზე, რომლებიც 1871-1918 და 1949-1945 წლებში გერმანიის შემადგენლობაში შედიოდა. როგორც მოსალოდნელია, შეთანხმების დეტალები 7-8 თებერვალს მიუნხენში დაგეგმილ უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისა და გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შორის განისაზღვრება. საფრანგეთში გერმანული ჯარების განთავსებით ევროკავშირის ფარგლებში ერთობლივი ფრანგულ-გერმანული ბრიგადა უნდა შეიქმნას. ადრე ორივე ქვეყნის შენაერთები ერთობლივად იბრძოდნენ კოსოვოში, ავღანეთსა და ბოსნიაში, ფრანგი ჯარისკაცები კი გერმანულ ქალაქებში იყვნენ განთავსებულნი, მაგრამ საჭირო გახდა მათი უკან გაწვევა, რადგან საფრანგეთმა განაცხადა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად ჯარის რაოდენობა არ ჰყოფნიდა. **მედიანიუსი**

### ერდოგანს დავოსის ინციდენტი ირანმა დაუფასა

თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოგანი თეირანის საპატიო მოქალაქე გახდა. ეს მას მერე მოხდა, რაც ერდოგანმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას ღაზას სექტორში მიმდინარე ოპერაცია გააკრიტიკა. ირანის დედაქალაქის მერმა მოჰამად ბექარქალიბაფმა თურქეთის პრემიერის გამოსვლას თამამი და ბრძნული ნაბიჯი" უწოდა. 29 იანვარს თურქეთის ხელისუფლების მეთაურმა დავოსში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართული კონფერენცია, რომელიც ღაზაში შექმნილ მდგომარეობას ეხებოდა, სკანდალურად დატოვა. ერდოგანს ნერვები ისრაელის პრეზიდენტის 25-წუთიანმა გამოსვლამ მოუშალა, რადგან საპასუხოდ მას რამდენიმე წუთი მისცეს და მხოლოდ ის მოასწრო, რომ ისრაელი მასობრივ მკვლელობებში დაადანაშაულა. **მედიანიუსი**

### პერუში ძლიერი მიწისძვრა მოხდა

პერუში 3 თებერვალს, გამთენიისას, რიხტერის სკალით 5,8-ბალიანი მიწისძვრა მოხდა. ქვეყნის გეოფიზიკის ინსტიტუტის მონაცემებით, მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ პისკოს აღმოსავლეთით 74 კილომეტრში მდებარეობდა. მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ მონაცემები არ გავრცელებულა, მაგრამ მიწისქვეშა ბიძგებმა ქალაქის მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. ცნობისთვის, ორი წლის წინათ ქალაქ პისკუში 7,9-ბალიანი დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც 595 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

**მედიანიუსი**

# საკვანძო თანამდებობები შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში

პირველი გვერდიდან

მას მადლობა არც მეუღლის მიმართ დავიწყებია, რომელსაც, სახელმწიფო მდივნის თქმით, კარგად ესმის პრეზიდენტ ობამას მხრებზე დაწოლილი პასუხისმგებლობის სიმძიმე.

**"მადლობელი ვარ ჩემ მეუღლესთან თანაცხოვრებისთვის, რომელშიც განსხვავებული გამოცდილებაც იყო, რამაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩემი ცხოვრება. მე მისი მადლიერი ვარ,"** - თქვა ჰილარი კლინტონმა, რასაც დარბაზის გამოცოცხლება და სიცილი მოჰყვა.

რეალურად კი ჰილარი კლინტონმა ფიცი ჯერ კიდევ 21 იანვარს დადო - სენატის მიერ მისი კანდიდატურის დამტკიცების შემდეგ, რათა ხელი არ შეშლოდა თავისი უფლება-მოვალეობის შესრულებაში.

ცერემონიას, ზემოაღნიშნული პირების გარდა, სახელმწიფო დეპარტამენტის ასობით თანამშრომელი და კლინტონის მრავალი მეგობარიც დაესწრო. განსაკუთრებით აღსანიშნავია საპატიო სტუმართა ვინაობაც: ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, მადლენ ოლბრაიტი, ჰენრი კისინჯერი, სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ახალი ხელმძღვანელი ჯონ კერი და წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი.



ჰილარი კლინტონი ფიცს დებს

რაც შეეხება უცხოეთში ელჩების თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატურებს, არანაკლებ დაინტერესებას უნდა იწვევდეს ამ პირთა ვინაობა მათი ბიოგრაფიების გათვალისწინებით. ერაყში შეერთებული შტატების ელჩი ალბათ კრისტოფერ ჰილი გახდება, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის რეგულირებაზე მუშაობდა.

ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბარში ანონიმურობის შენარჩუნება არჩია, თეთრი სახლის მეთაურმა ერაყის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრთან 2 თებერვალს სატელეფონო საუბრისას ბაღდადში ამჟამინდელ ელჩ რაიან კროკერის შემცვლელის კანდიდატურა განიხილა. რაიან კროკერი ერაყში ელჩად ორი წლის წინათ დაინიშნა. ჯერჯერობით უცნობია, ოფიციალურად როდის დასახელდება ერაყში ელჩის თანამდებობაზე კარიერული დიპლომატის კრისტოფერ ჰილის კანდიდატურა. კრისტოფერ ჰილი ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს მაკედონიაში ელჩად, ხოლო კოსოვოში საგანგებო წარგზავნილად მუშაობდა. იგი ბოსნია-ჰერცეგოვინას შესახებ სამშვიდობო შეთანხმების მოლაპარაკებებში ამერიკული დელეგაციის წევრის სტატუსით მონაწილეობდა. ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაციის პერიოდში კი პოლონეთსა და სამხრეთ კორეაში ხელმძღვანელობდა დიპლომატიურ მისიას. 2005 წელს ჰილი, სეულში ელჩობის პარალელურად, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის მოგვარების ექვსმხრივ მოლაპარაკებებში შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაური გახდა. იმავე წლის აპრილში კი იგი აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის საკითხებში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ დაინიშნა. მართალია, კრისტოფერ ჰილი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში სპეციალისტი არ არის, მაგრამ დიპლომატიურ წრეებში მას, როგორც გამოცდილ მომლაპარაკებელს, დიდად აფასებენ. კონდოლიზა რაისს საჯაროდ არაერთხელ განუცხადებია, რომ ჰილის პირადი დამსახურებაა ოფიციალური ფხენიანის თანხმობა კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციისთვის შეთავაზებულ ნაბიჯებზე.

ცოტა ხნით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალი სახელმწიფო მდივნის თანაშემწე აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის საკითხებში კურტ კემპბელი გახდებოდა, რომელსაც ადრე თავდაცვის მინისტრის თანაშემწის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც ახალ ადმინისტრაციაში მოხდა, ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს ეხება. შეერთებული შტატების სენატმა იუსტიციის მინისტრისა და იმავდროულად გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ერიკ ჰოლდერი დაამტკიცა. ქვეყნის 233-წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად იუსტიციის უწყებას აფროამერიკელი ჩაუდგება სათავეში.

57 წლის ჰოლდერის მშობლები ბარბადოსელი ემიგრანტები არიან. პოლიტიკური მიმომხილველების ცნობებით, ერიკ ჰოლდერი ბარაკ ობამას მეგობარია. არაოფიციალური წყაროები იმასაც აღნიშნავენ, რომ ბარაკ ობამას ჯერ კიდევ წინასაპრეზიდენტო კამპანიის დროს სწორედ ჰოლდერმა ურჩია ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის ჯოზეფ ბაიდენისთვის შეთავაზება.

ერიკ ჰოლდერი კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. მან იუსტიციის სამინისტროში მუშაობა ჯერ კიდევ ჯიმი კარტერის პრეზიდენტობის დროს დაიწყო. შემდეგ იყო მოსამართლე და პროკურორი კოლუმბიის ფედერალურ ოლქში. ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს იგი იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, ხოლო შემდეგ საჯარო სამსახური დატოვა და ვაშინგტონის იურიდიულ ფირმაში "Covington & Burling" განაგრძო მოღვაწეობა.

იანვარში სენატის იურიდიულ კომიტეტში თავისი კანდიდატურის დამტკიცების მოსმენაზე ჰოლდერმა განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს გუანტანამოს სპეცსაპყრობილის დასახურად.

იუსტიციის მინისტრის თანამდებობა ადმინისტრაციაში ერთ-ერთი საკვანძო პორტფელია, რადგან ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს კურირებს, მათ შორის გამოძიების ფედერალურ ბიუროსაც. ერიკ ჰოლდერი შეერთებული შტატების რიგით 82-ე გენერალური პროკურორია.

# ნატო რუსეთთან თანამშრომლობის განახლებას აპირებს

კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელ რობერტ სიმონსის განცხადებით, ნატო აპირებს რუსეთთან თანამშრომლობის განახლებას, რომელიც საქართველოში აგვისტოს მოვლენების შემდეგ ნაწილობრივ შეჩერდა. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო "რია ნოვოსტი" ავცრელებს. **"უახლოეს უქმეებზე მიუნხენში უსაფრთხოების კონფერენციაა დაგეგმილი, რომლის დროსაც ალიანსის გენერალური მდივანი რუსეთის მაღალჩინოსან ოფიციალურ წარმომადგენელს შეხვდება... ჩვენ ნატო-სთან თანამშრომლობაში რუსეთის ნელ და ეტაპობრივ ჩაბმას განვიხილავთ,"** - განაცხადა სიმონსმა. **"ნატო-ს პოზიციაა, რუსეთის ფედერაციამ, რომელმაც ამ კონფლიქტის დროს საკუთარი სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთშიც კი შეიყვანა, არაპროპორციული ძალა გამოიყენა. მიგვაჩნია, რომ ეს ქმედებები იყო გადამეტებული და არაპროპორციული,"** - აღნიშნა კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენლმა რობერტ სიმონსმა. მისი თქმით, აგვისტოში საქართველო-რუსეთის კონფლიქტის შემდეგ "ნატო-ს რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის ზოგიერთი ასპექტი შემცირდა" და ნატო-ს წევრ სახელმწიფოთა ბევრმა მინისტრმა განაცხადა, რომ "რუსეთთან ძველებურად ურთიერთთანამშრომლობას ვერ შეძლებდა". თუმცა, ბოლო დროს "ნატო-ს წევრ სახელმწიფოთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება რუსეთთან თანამშრომლობის განახლების შესახებ". **"ნატო-ში რუსეთის წარმომადგენელ როგოზინის მონაწილეობით უკვე გაიმართა არაფორმალური შეხვედრები ნატო-ს სახელმწიფოთა ელჩების დონეზე,"** - განაცხადა სიმონსმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# რევიუ



ორი დღის წინ, თბილისში უჩვეულო გამოფენა გაიმართა. ღია ცის ქვეშ, ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ, გურამ წიბახაშვილის სახელოსნის სტუდენტებმა, რომლებმაც საკუთარ გაერთიანებას "არგენტუმი" დაარქვეს, წყალში გაყინული ფოტოები ასფალტზე განალაგეს. გამოფენას "ქალაქი" უწოდეს და რომც არ გაემხილათ ეს თემა, ყველაფერი ისედაც ცხადი იქნებოდა. ფერადი ფოტოსურათები, რომლებიც ზამთრის საღამოში ძალიან მალე გაიყინა, ჩვენი ქალაქის უბნებს, აზრებს და სხვადასხვა დამახასიათებელ ობიექტებს ასახავდა. ახალგაზრდა ფოტოგრაფები დაგვპირდნენ, რომ სულ მალე კიდევ ორი ახალი გამოფენა ექნებათ, ოღონდაც უკვე სხვა სივრცესა და სიტუაციაში.

## მადონა გასტროლებისთვის ევროპაში ბრუნდება

მომღერალ მადონას თავისი ტრიუმფალური შოუს Sticky and Sweet-ის ("წებოვანი და ტკბილი") საგასტროლო ტურის გაგრძელება აქვს გადაწყვეტილი. ევროპაში მისი მეორე საგასტროლო ეტაპი 2009 წლის ზაფხულში დაიწყება. მომღერლის ოფიციალურ საიტზე აღნიშნულია, რომ მადონას "დაგეგმილი აქვს გაატაროს დაუვიწყარი და შთამბეჭდავი ზაფხული ევროპაში, მოინახულოს ის ქალაქები, რომლის ნახვის საშუალებაც, მას 2008 წელს არ მიეცა".



პოპ-მომღერალის საგასტროლო ტური გასული წლის აგვისტოში კარდიფში დაიწყო და ბრაზილიის სან-პაულოში 21 დეკემბერს ტრიუმფალურად დაიხურა. ახალი კონცერტების თარიღები ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული - მოსალოდნელია, რომ კონცერტების ზუსტი რიცხვი და რაოდენობა ერთ კვირაში იქნება ცნობილი. მუსიკალური ინფორმაციების სპეციალური სააგენტოს Pollstar-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინდივიდუალურ შემსრულებლებს შორის Sticky and Sweet-ი 2008 წლის ყველაზე მომგებიანი და კომერციულად წარმატებული შოუ გამოდგა. ამ შოუმ მადონას 281,6 მილიონი დოლარი მოუტანა. შოუ ძირითადად იმ სიმღერებისგან შედგება, რომლებიც მომღერლის უკანასკნელ ალბომში Hard Candy-შია შესული. გარდა ამისა, შოუზე შესრულდება გასული წლების რამდენიმე ჰიტი, რომელთა შორისაა Borderline ("საზღვარი"), Like A Player ("მოთამაშის მსგავსად") Ray of light ("სინათლის სხივი"). შთამბეჭდავ შოუში მონაწილეობას იღებენ ბოშური ანსამბლი უკრაინიდან, ხოლო ერთ-ერთ სიმღერას მადონასთან ერთად დუეტში ვირტუალური ჯასტინ ტიმბერლეიკი შეასრულებს.

სააგენტო Pollstar-ის ინფორმაციით, ჩრდილოეთ ამერიკაში შოუმ - Sticky and Sweet შოუბიზნესის ისტორიაში ყველაზე წარმატებული პროექტების რეიტინგის ათეულში პირველი ადგილი დაიკავა. გასულ წელს აღნიშნული პროექტების რეიტინგში მეორ ადგილი სელინ დიონმა დაიკავა. Tking Chances - უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში კანადელი მომღერლის პირველი მსოფლიო ტურნე გახლდათ, რომლის საშუალებითაც მან 236,6 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ორივე მომღერლის შოუ ბალეტმეისტერმა ჯეიმ კინგმა დადგა, მანვე განახორციელა კვლავ გაერთიანებული ჯგუფის Spice Girls-ის მსოფლიო ტურნე. "წელი გაცილებით უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე ეს ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით მოსალოდნელი იყო", - განაცხადა ჟურნალ Pollstar-ის მთავარმა რედაქტორმა გარი ბონჯოვანმა.

## ლიტერატურული კონკურსი "საბა" - 2009

### გამომცემლობების და ავტორების საყურადღებოდ



*თიბისი ბანკი აცხადებს ყოველწლიურ ლიტერატურულ კონკურსს "საბა", რომელიც წელს უკვე მეშვიდედ გაიმართება. წლევანდელ კონკურსზე მოხდება გასული, 2008 წლის ლიტერატურული პროდუქციის შეფასება.*

შესაბამისად, გამომცემლობებს და ავტორებს გთხოვთ, წარმოადგინოთ კონკურსზე ის წიგნები, რომლებიც თქვენს მიერ 2008 წლის განმავლობაში გამოიცა.

ყოველწლიურ ლიტერატურულ პრემია "საბას" მიზანია გასული ერთი წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენა.

პრემია "საბა"-ზე განიხილება 2008 წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა), ასევე უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი და ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები.

### ლიტერატურული პრემია გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

წლის საუკეთესო რომანი

წლის საუკეთესო პოეტური კრებული

წლის საუკეთესო პროზაული კრებული

წლის საუკეთესო თარგმანი

წლის საუკეთესო პიესა

წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

წლის საუკეთესო დებიუტი

ყველა ამ ნომინაციის მიხედვით საუკეთესო წიგნს და ავტორს გამოავლენს 5-კაციანი კომპეტენტური ჟიური, რომლის ვინაობაც კონფიდენციალურია დაჯილდოების ცერემონიალამდე.

"საბას" დაჯილდოების ცერემონიალი 2009 წლის ივნისში გაიმართება. გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად, გადაეცემათ ფულადი პრემიები. საპრემიო ფონდი შეადგენს 36 ათას ლარს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

იმ გამომცემლობებს და ავტორებს, რომლებმაც 2008 წლის განმავლობაში გამოსცეს წიგნები ზემოთჩამოთვლილი ნომინაცების შესაბამისად, გთხოვთ **2 თებერვლიდან 20 თებერვლამდე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: წიგნის სახელწოდება, ავტორი, გამომცემლობა, ნომინაციის დასახელება.**

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ფაქსი: 772 774**
**e-mail: pr@tbcbank.com.ge**

*ან წერილობითი სახით მოგვაწოდოთ მისამართზე:*
***თბილისი,***
***მარჯანიშვილის ქ. 16, მე-7 სართული,***
***"თიბისი ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური***

***საკონტაქტო პირი:***
***მაია ძირკველიშვილი,***
*თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი*

# აღსარებათა კიდევ ერთი წელი რადიოში თავისუფლება

სოფო კილასონია

ამ პროექტის მონაწილეთა ცხოვრებიდან 7 დღე ჩვენია. ხილვადი და განცდადი. ისინი სხვადასხვა სფეროების წარმომადგენლები არიან, ხშირად ნაცნობი ხმები, მაგრამ არა მხოლოდ... ზოგიერთს ვუსმენთ და ვეთანხმებით, ზოგიერთსაც ვუსმენთ და ვინტერესდებით, მაგრამ თუ მაინც ვერაფრით მოვიკრიბავთ ყურადღებას, ანდა ვერ დავუჯერებთ, არც ამაშია რაიმე სავალალო. ეს რადიო თავისუფლებაა , აქ არჩევანი ყოვლეთვის გვქონდა და გვაქვს, - შესაძლებლობა მოვისმინოთ სხვა, რაიმე განსხვავებული, განსხვავებულად დანახული, სულ სხვა მხარე ნაცნობი მოვლენებისა.




უკვე სამი წელია რაც რადიო თავისუფლება დღიურებს გვთავაზობს და ყოველი ახალი წლის დასაწყისში რაც მოგვასმენინა, წიგნად შეკრულს გვჩუქნის. გუშინაც ასე მოხდა, ქორთიარდ მარიოტში 2008 წლის განმავლობაში მისი სიხშირით გაგონილი და სხვადასხვა ადამიანების მიერ წაკითხული დღიურების ტექსტუალური ვერსიის პრეზენტაცია შედგა. ამ კრებულის გამომეტყველება, მისი წინამორბედების მსგავსად, მრავალსახოვანია. ფორმატიც იგივე. არც ერთი დღე არ არის გამოტოვებული. 2008 წლის ყოველი დღის ავტორი საკუთარ ემოციებს და აზრებს საკუთარ მიკრო გარემოს და მასთან ერთად საკუთარ ქვეყანას უკავშირებს. შესაბამისად თავისუფლების დღიურები საქართველოს ერთი წლის ისტორიასაც გვიყვება. ოღონდაც ძალიან სუბიექტური ტექსტებით.

რადიო თავისუფლება ის ხმაა, რომელიც ჩემს მსგავსად ალბათ ბევრისთვის მუდამ ასოცირდება პროფესიონალიზმთან, განსხვავებულ ხედვასთან და უბრალოდ, ყოველთვის რაღაც საინტერესოსთან. თუ შემთხვევით მობილურის ერთ-ერთი გადამრთველი თავისუფლების ჟურნალისტების ხმას გადააწყდება, აუცილებელი არ ხდება დავხედოთ ეკრანს და დავრწმუნდეთ, რომ ეს ის არის და მათი სიხშირეა. პირადად მე ამ ადამიანების ხმები არავისში მეშლება. ამ ხმებისგან მუდამ ველოდები რომ თუნდაც ყველაზე არასაინტერესო, ანდა უკვე მობეზრებულ საკითხებს (თუნდაც პოლიტიკურს) იმ რაკურსში დამანახებენ, რომელიც ჯერ არ შემიმჩნევია. და ისეთივე ინტერესით მომასმენინებენ სიუჟეტს, როგორი ინტერესითაც ვუსმენდი და ვუსმენ მხატვრობაზე, ლიტერატურაზე, კინოსა და ბალეტზე გოგი გვახარიას მიერ მომზადებულ რადიონოველებს. და ასეც ხდება, თითქმის ყოველთვის.

ამ რადიოს ნაცნობ ხმებს სამი წლის წინ უცხოებიც შეერია. ისინი თავიანთი ცხოვრების ნაცნობი და უცნობი ამბებით. მეტად თუ ნაკლებად საინტერესონი, ასევე მეტ-ნაკლებად გულწრფელნი. ისინი დღიურებს კითხულობენ იმისთვის, რომ შვიდი დღე მათი ცხოვრებიდან გაგვაცნონ, ამ შვიდ დღესთან ერთად ავტოპორტრეტი დახატონ, ოღონდაც დახატონ ისეთი, როგორებიც ფიქრობენ რომ არიან, ანდა როგორებიც უნდათ რომ იყვნენ. ჩვენ ვუსმენთ იმიტომ, რომ გავიგოთ სინამდვილეში ვინ არიან. და რაც მეტად იწყენებ ეს ხმები თამაშს მით უფრო იოლად ვგებულობთ სინამდვილეში როგორნი არიან. მაგრამ ისინი ვინც არ თამაშობენ, ახერხებენ მსმენელი თავისი პოზიციით დააინტერესონ და არა პიროვნებათა ვინაობის კვლევა-ძიებით.

მაგრამ ამას ფაქტია, რომ ახერხებს ცოტა.

ქორთიარდ მარიოტში რადიო თავისუფლების ქართული სამსახურის დირექტორი დავით კაკაბაძე და ჟურნალისტი მარინა ვაშაყმაძე გვმასპინძლობდნენ. პროექტის 2008 წლის დღიურების გაცნობის მიზნით, წიგნის გარდა ანდრო ჭიაურელის მიერ მომზადებული ვიდეოც წარმოგვიდგინეს. რამდენიმე თემის მიხედვით დამონტაჟებული მონოლოგები, იმ ადამიანების მონოლოგები, რომლებიც სტუდიაში საკუთარ დღიურებს პირველად ცხოვრებაში საზოგადოებას აცნობდნენ. ამ ვიდეოს წყალობით შეგვექმნა წარმოდგენა თუ რას მოიცავს წიგნი. წიგნი, რომელიც სავარაუდოდ ძალიან ბევრისთვის უნდა გახდეს საინტერესო. მისდამი ინტერესს კი უპირველესად თითოეული მკითხველისთვის საინტერესო ავტორები განაპირობებენ. ავტორების, მათი პოზიციებისა და მსოფლხედვის არჩევანი კი ძალიან დიდია.

პროექტის ავტორები დღიურების გასანდობად იწვევენ ადამიანებს ყველა სფეროდან. 2008 წელსაც ასე იყო, ამიტომაც კრებულში აღმოჩნდა ექიმი და მეწარმე პოლიტიკოსი, ანდა პოლიტიკოსები, მწერლები, მსახიობები, მეცნიერები და ის ადამიანები, რომლებიც თუნდაც სუპერ მარკეტებში მუშაობენ, მაგრამ შეიძლება ყველაზე მართალნი აღმოჩნდნენ მიკროფონთან. ამათგან ვინ თამაშობს ყველაზე მასშტაბურად ყველასთვის გასაგებია. პოლიტიკოსები არ ერიდებიან პოლიტიკურ განცხადებებს და არ ერიდებიან იმის თქმასაც, რომ პოლიტიკოსობაზე არასდროს ოცნებობდნენ და ამ დავიდარაბაში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ. ასეთ დროს ჩვენ, მსმენელსა და მკითხველს უნდა გაგვიჩნდეს ალბათ უხერხულობის განცდა, სინდისის ქენჯნა, მაგრამ უკაცრავად... მსმენელიცა და მკითხველიც გულიანად იღიმის მათ მონოლოგებზე და შემდეგზე გადადის. ეძებს იმას, ვისაც უფრო მეტად დაუჯერებს და აუცილებლად ასეც მოხდება. ვინც გუშინ ჩემსავით პრეზენტაციას დაესწრო, ყველამ გააკეთა არჩევანი, ვისი მონოლოგი აინტერესებთ ყველაზე მეტად და ვისი აღსარებისა სჯერათ.

# თვითნასწავლი მხატვარი არსის გალერეაში

ნინო მამარდაშვილი

3 წლის ასაკიდან ხატვა, თანაც ორივე ხელით იდენტური ნახატის შექმნის უნარი ცოტა უცნაურია და დამაბნეველიც. ნახატებიც უცნაურია, თბილი და ფერადი და თვითონაც.. სიტყვების გამოთქმას წერით არ სჯერდება და ტილოებს მიმართავს..

"პედაგოგი არასდროს მყოლია, ამიტომ ალბათ შეცდომებიც ბევრია, უბრალოდ ფერებით გადმოვცემ ჩემს ფიქრებს.მიუხედავად იმისა, რომ ეს უკვე ჩემი მეცამეტე პერსონალური გამოფენაა, ნერვიულობის დონე იგივეა" - ამბობს ქრისტინა რობაქიძე.



არსის საგამოფენო დარბაზი ქრისტინა რობაქიძის გამოფენას მასპინძლობს. გამოფენას არც თემა აქვს და არც სახელი. აქ მისი 5-6 წლის მანძილზე შექმნილი 60-ზე მეტი ფერწერული ზეთის ტილო და ფოტოქაღალდზე შესრულებული გრაფიკული ნახატია წარმოდგენილი.

არის მსოფლიო საერთაშორისო მხატვართა კავშირის წევრი, მწერალი, თვითნასწავლი მხატვარი და ცოტა მუსიკოსიც.

"2 წლის წინ სიურეალისტურ ნახატებს ვქმნიდი, სალვადორ დალი მიყვარდა... ახლა დეკორატიული მხატვრობისკენ გადავინაცვლე" - აცხადებს მხატვარი.

როგორც ამბობენ, ნამდვილ ხელოვნებას დრო აჩენს, გემოვნებაზე კი არ დაობენ. ამისთვის კი პირველ რიგში გამოფენის ნახვაა საჭირო.

გამოფენის ნახვა მსურველს 5 თებერვლამდე შეეძლება.

# კლასიკა და... პოლიტიკური მესიჯები

მზეხა მახარაძე

ქართველ მუსიკოსებს პარიზის ცენტრში ელიან... კლასიკური მუსიკის საღამოზე, რომელიც ინვალიდთა სასახლეში გაიმართება, მიწვეულია რუსეთის ელჩის გარდა საფრანგეთის მთელი დიპლომატიური ელიტა. ამბობენ, ამ ოფიციალურ კონცერტს, რომელსაც თავისი პოლიტიკური მოტივაცია გაჰყვება, მსოფლიო ბრენდებიც დაესწრებიან ჟერარ დეპარდიე, პიერ რიშარი, მიშელ ლეგრანი, ლიანა ისაკაძე... საქართველოდან ეროვნული მუსიკალური ცენტრის სიმფონიურ ორკესტრს კათედრალის სცენაზე უხელმძღვანელებს ცნობილი ფრანგი დირიჟორი ლორან პიტიჟერარი, მათ საფორტეპიანო პარტიით შეუერთდება ელისო ბოლქვაძე - პიანისტი, რომლის ფენომენზეც ერთდროს ვან კლიბერნს უთქვამს: "ის ბრწყინვალე პიანისტია... მისი ვარსკვლავი ამობრწყინდება და მთელი მსოფლიოს ყველა საკონცერტო დარბაზი მხოლოდ მისთვის დაუკრავს ტაშს..."

პარიზის აპლოდისმენტებამდე ლედი პიანისტი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად რეპეტიციებს გადის... ორი დღის წინ პარიზიდან მაესტროც ჩამოვიდა და დილიდან ორკესტრი ლორან პიტიჟერარის იდეების ინტერპრეტატორი გახდა. აქ, ბეთჰოვენის დრამატურგიის შეგრძნებას ყველა მუსიკოსი თავისებურად ცდილობს, მათ შესრულებაში ფრანგი დირიჟორი ყველა ბგერის ლამაზი ტემბრით აღებას ითხოვს, არსებულ ჟღერადობაში შემოსული თემის მეოთხე ტაქტზე კრეშჩენდო უნდა გაშალონ, ანუ როგორც მაესტრო ხუმრობს "სიმებს რბილად შეეხონ და ნოტებზე იფრინონ..." ჩასაბერი საკრავების მიმართ რაღაც შენიშნები აქვს, უნდა რომ სასულე ობერტონებს სხვა შეფერილობა მისცეს, მაგრამ როგორც თავად იტყვის "პირველი რეპეტიციაა, ამიტომ ჯერ არა უშავს, ყველაფერი წინაა"...

ბეთჰოვენის პირველი საფოტრეპიანო კონცერტის პირველ, მეორე ნაწილს გადიან... აქ "არტისტული პიანისტის" ტაქტიანი დიალოგია ორკესტრთან, მუსიკის ლედის თითები საათობით დასრიალებენ იამაჰას კლავიშებზე... ელისო ბოლქვაძის ბგერის ესთეტიკა კრისტალებივით ბრწყინავს პიანოზე, მისი შინაგანი რიტმი მიჰყვება ვირტუოზულ პასაჟებს, მერე რიტენუტოზე მისეულ სიღრმეს, სხვა შინაარსს აძლევს მუსიკას და ასე გადაჰყავხარ იმ ლამაზ რომანტიკაში, რომელიც იქვე "დასანახი" ხდება... ყველამ იცის, რომ ელისო ბოლქვაძე ბუნებით მაძიებელი მუსიკოსია, რომელიც მსმენელს საფორტეპიანო ლიტერატურიდან ამოკრეფილ თხზულებებს ყოველთვის მისეული შესრულებულით სთავაზობს. ახლა ბეთჰოვენის პირველი საფორტეპიანო კონცერტი შეარჩია და... კლასიკის ამ სამყაროში კიდევ უფრო საინტერესო ხდება როიალთან მისი შთაგონებით განმარტოება თუ აკადემიური გასაუბრება ფრანგ დირიჟორთან... მუსიკის მიღმა, მუსიკის ლედი არ იცვლება, აქაური დინჯი ტემპის პარალელურად, მაინც არანორმალურ რიტმში "ცხოვრობს დასვენების გარეშე", ანუ ბევრს "მეცადინეობს", კიდევ მეტს ნერვიულობს და... თან იმაზე ფიქრობს, რომ "პარიზის რეპეტიციის დრო თბილისიდან როგორ გაადიდოს..." ნიკა მემანიშვილთან ერთად პარტიტუტაში ხშირად იხედება, ითვლის ბეთჰოვენის ტაქტებს, ფორტეებს, პიანისიმოებს...

რეპეტიციის მერე შესვენებაა, ამ დროს პიანისტი პარიზში რეკავს, ფრანგულად ესაუბრება დარბაზის ხელმძღვანელს, რაღაც დეტალებს ათანხმებს კიდევ ერთხელ, მაგრამ ალბათ, საბოლოოდ...

**- ქალბატონო ელისო, ლორან პიტიჟერარის დირიჟორობით პარიზში ალბათ დაგიკრავთ..**

- თქვენ წარმოიდგინეთ, არა, ლორან პიტიჟერართან მეც პირველად მაქვს შემოქმედებითი ურთიერთობა. ეს ჩემი ბეგრაუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. მე რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა ინვალიდების სასახლის კონცერტების სერიაში, მაგრამ სულ მინდოდა, რომ ქართული ორკესტრის თანხლებით დამეკრა... ნოსტალგია სულ მქონდა - თბილისში არ დამიკრავს 12 წელია, ანუ 97 წლის მერე. 2004 წლიდან სულ ვემზადებით, რომ გავაკეთოთ კონცერტი - ერთხელ ჩაიშალა, მეორედ ომი ატყდა, ახლა იმედი მაქვს, რომ ცუდი აღარაფერი მოხდება... ბეთჰოვენის პირველი კონცერტი, ეს არის ჩემთვის ძალიან საყვარელი ნაწარმოები, რომელიც კარგად ჟღერს ისეთ სივრცეში, როგორიც არის კათედრალი, იცით, იქ ცოტა გუგუნებს დარბაზი და ამდენად იქაურ აკუსტიკას უხდება ეს კონცერტი... თუმცა მინდოდა, რომ ქართული კონცერტი დამეკრა - თაქთაქიშვილის, ან თორაძის, მაგრამ ამის განხორციელება ძალიან რთულია მერწმუნეთ, ასეთ მცირე დროში მით უმეტეს, ფრანგ დირიჟორთან ერთად.

**- როგორი იქნება პარიზული კონცერტის პოლიტიკური მესიჯი?**

- კონცერტის მესიჯი იქნება ევროპისთვის ფართოთ გაგზავნილი. ქართული კლასიკა უნდა აჟღერდეს ისეთ პრესტიჟულ კათედრალში, სადაც ნაპოლეონის ნეშტია გადმოსვენებული, ამ ძეგლს ფრანგებისთვის სხვა კულტურულ-ისტორიული დანიშნულება აქვს. საერთოდ, ინვალიდების სასახლეში ჩვეულებრივი კონცერტები არ ტარდება, ამის გარდა, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით აქ მოხვედრა არ არის მარტივი, მაგრამ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, "ქართული სეზონის" ფარგლებში ეს პროექტი დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებით შედგება. ჩემი აზრით, ეს განსაკუთრებული კონცერტი იქნება თავისი კონცეფციით, დროში საჭირო და აქტუალური ასპექტით - მუსიკა არის მსოფლიო ენა. ეს კონცერტი ევროპისა და საქართველოს კულტურული ინტეგრაციის სიმბოლოდ შეიძლება გავიაზროთ და თავისთავად, ეს ყველაფერი გულისხმობს ჩვენს დიდ მხარდაჭერას.

**- პარიზის ეს კონცერტი განმეორდება თბილისშიც, არ იგეგმება რუსთაველის თეატრიდან მისი "MEZZO"-ზე ტრანსლაცია?**

- თბილისის კონცერტის პირდაპირი ჩვენება ალბათ ვერ შედგება, მაგრამ ჩვენ ვგეგმავთ, რომ კონცერტის ჩანაწერი შევთავაზოთ MEZZO-ს, თორემ ინვალიდების სასახლეში გადაღებას ასე ადვილად არ უშვებენ, ეს კულტურული ძეგლი თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის და იქ გადაღება ძალიან მკაცრად კონტროლდება.

* * *

მენდელსონის "იტალიური სიმფონია", ფორეს "მასკები და ბერგამასკები", "პავანა" - ამ შედევრებს მუსიკალურ ცენტრში ორკესტრანტები კონცერტამდე დღეში რამდენჯერმე უკრავენ... პროგრამა ლორან პიტიჟერართან შეთანხმებით დრამატურგიულად ნიკა მემანიშვილმა ააწყო, ალექსეი მაჭავარიანის საფორტეპიანო ოპუსების - "ცისა ფერს", "დოლური" საორკესტრო ვერსიაც დაამუშავა და ორკესტრიც მანვე მოამზადა.

**- ბატონო ლორან, სიმფონიურ ორკესტრთან ურთიერთობის დროს ხშირად ხუმრობდით, ეს იმას ნიშნავს, რომ...**

- დღეს გავიარეთ პირველი რეპეტიცია, ეს ელისოსთან ერთად იყო უადვილესი, რადგან ის ვირტუოზი პიანისტია, მასში არასდროს არ არის ზედმეტი არც ერთი ბგერა, საინტერესოდ ესმის მუსიკა და როცა ეს ყველაფერი თავმოყრილია პიანისტში, ის ვირტუოზია. ელისო 2010 წელს დაუკრავს ჩემს ორკესტრთან ერთად და მე ძალიან მინდა, რომ ფორეს შემოქმედებიდან რაღაც შევარჩიოთ...

**- რატომ ფორე?**

- ფორე ძალიან რთული შესასრულებელია, მუსიკაში გიჟური ენერგია აქვს ჩადებული... ქართულ მუსიკას რაც შეეხება, გია ყანჩელის შემოქმედებას ვიცნობ, ალექსი მაჭავარიანის საორკესტრო ვერსიის ნოტებს დღეს დილით გადავხედე მხოლოდ, ხვალისთვის ორკესტრთან გავივლი რეპეტიციას... ორკესტრი ნამდვილად მზად არის, ჩვენ ახლა მუსიკის ფერებს და სამუსიკო ხასიათს ვამუშავებთ. მუსიკოსებმა იციან, რომ მიდიან პარიზში, სადაც არის ბევრი საინტერესო ორკესტრი და მათ სურთ, რომ ეს ქალაქი გააკვირვონ...

**- შეძლებენ მუსიკალური პარიზის გაკვირვებას?**

- საერთოდ პარიზშიც შესრულების განსხვავებული ხარისხია, მაგრამ ვფიქრობ, რომ საუკეთესოთა რიგეში რომ ჩაეწერონ, ამისთვის არის საჭირო დრო და საშუალებები იმიტომ, რომ პარიზში ორკესტრანტებს ძალიან მაღალი ხელფასი აქვთ, ისინი მხოლოდ მუსიკაზე ფიქრობენ, მხოლოდ მუსიკაზე ხარჯავენ ენერგიას. ამის გარდა, საუკეთესო ინსტრუმენტებია საჭირო, რომ საუკეთესოთა შორის მოხვდე.

5 თებერვალს, 20 საათზე ინვალიდების სასახლეში, იქ, სადაც კონცერტების სერია ორი წლით ადრე არის შევსებული, ქართველი მუსიკოსების საღამოზე გაიმართება მხოლოდ მოსაწვევებით არის დაშვებული... ორკესტრანტები არ ღელავენ, რადგან ღელვისთვის ჯერ არ სცალიათ, ამბობენ, რომ "მაესტრო მათი დამატებული სტიმულია"...

- როცა ჩვენ ბატონ ლორანს გავუგზავნეთ მთლიანი პარტიტურა, ქართულ მუსიკაზე ასეთი რამ მოგვწერა, რომ მე ამ ნაწარმოების სულს უკვე ვგრძნობო. - ამბობს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა მემანიშვილი, - უფრო მეტს გეტყვით, აგვისტოს ომის დროს ის ამერიკიდან ძალიან მხარდამჭერ, გულითად წერილებს გვწერდა... ეს კონცერტი, რადგანაც ქართულ-ფრანგული პროექტია, ამიტომაც ჩვენ ფორეს მუსიკას პირველად ვასრულებთ, ისევე როგორც მაჭავარიანის ორი ნაწარმოების საორკესტრო ვერსიას, რომელიც მე გავაკეთე. რა თქმა უნდა, ამაზე თანხმობა მივიღეთ ვახტანგ მაჭავარიანისგან, ის პარიზში მოგვისმენს და მნიშვნელოვანი იქნება ამ მხრივ მისი შეფასება.



ხატია ჭიჭეშვილის ფოტო

ელისო ბოლქვაძე



ხატია ჭიჭეშვილის ფოტო

რეპეტიცია მუსიკის ეროვნულ ცენტრში

## ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი განადგურებულია

საერთაშორისო ორგანიზაცია "იუნესაიტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით სოფელ თამარაშენში მდებარე ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, შექსპირის უკვდავი ნაწარმოებების ქართულ ენაზე მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი განადგურებულია. ეს ცნობა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოებით დასტურდება.

იმის გამო, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართველი სპეციალისტების შესვლა შეუძლებელია, გადარჩენილი ნივთების მუზეუმიდან გამოტანა, ვერ ხერხდება.

საქართველოს კულტურის სამინისტრომ მაჩაბლის მუზეუმს ორჯერ ჩაუტარა რესტავრაცია. აღდგენილი მუზეუმი პირველად სეპარატისტებმა აგვისტოს ომამდე დააზიანეს, რის გამოც ხელახალი აღდგენა გახდა საჭირო. რუსეთ - საქართველოს ომის დროს კი რესტავრირებული მუზეუმი განადგურდა.

რაც შეეხება ოკუპირებულ ზონაში მდებარე კულტურის სხვა ძეგლებს, მათი მდგომარეობის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## "ქართულ-აფხაზური ალბომი" გამოდის

უახლოეს მომავალში ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისადმი მიძღვნილი "ქართულ-აფხაზური ალბომი" გამოვა.

როგორც წიგნის ავტორმა პაატა ქურდოვანიძემ განაცხადა, წიგნში მოთხრობილია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეების ურთიერთობის შესახებ.

ალბომში აღწერილი ურთიერთობები სათანადო უნიკალური ფოტომასალითაა დადასტურებული.

"წიგნში გამოყენებულია როგორც სახელმწიფო არქივის მასალები, ასევე ქართულ და აფხაზურ ოჯახებში შემორჩენილი, საზოგადოებისთვის ცნობილი და არაცნობილი საარქივო მასალები", - განუცხადა "ჯი-ეიჩ-ენს" ქურდოვანიძემ.

წიგნს წინასიტყვაობის ავტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო, რომლის დასაწყისი საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს.

"ქართულ-აფხაზური ალბომის" ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიების პარალელურად, მასში, ქართულ-აფხაზური ოჯახების შთამომავალთა ხსოვნას შემორჩენილი, არაერთი საოჯახო გადმოცემაა აღწერილი, რომლებიც ჩვენი ორი ხალხის ურთიერთსიყვარულის, ძმობისა და ნათესაობის ამსახველ საინტერესო და ყურადსაღებ ფაქტებს შეიცავს", - აღნიშნავს ანჩაბაძე.

მისივე თქმით, "ქართულ-აფხაზური ალბომის" გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

"ვიმედოვნებთ, რომ ეს გამოცემა კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს ჩვენი ისტორიული ურთიერთობების რეალობას და იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ურთიერთობებს განსაზღვრავდნენ არცთუ ისე შორეულ წარსულში", - აღნიშნავს ისტორიკოსი.

"ქართულ-აფხაზური ალბომი", რომელიც ქართულ და აფხაზურ ენებზეა შედგენილი 250 გვერდიანია და გამომცემლობა "სეზანში" დაიბეჭდა.

წიგნის რედაქტორია ხათუნა ჭურღულია, დიზაინი და გაფორმება ეკუთვნის სოფიო კინწურაშვილს, ფოტოების აღდგენა-დამუშავებაზე მუშაობდნენ ალექსი კახნიაშვილი, ლუარსაბ ტოგონიძე, ტექსტი აფხაზურად თარგმნა ესმა კოკოსკერიამ, აფხაზური ტექსტის რედაქტორები: ანა აბრამიშვილი-წვინარია, თეიმურაზ გვანცელაძე, რუსული თარგმანი ეკუთვნის ლეილა ხუსკივაძეს, ინგლისური თარგმანი - ნინო მატარაძე.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## შუხუთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია მოიხატა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატვა დასრულდა. ამის შესახებ ტაძრის წინამძღვარმა, მამა საბამ განაცხადა.

"ეკლესია მოხატა ხატმწერმა დავით ჯიბლაძემ. მანვე ეკლესიას შემოსწირა მის მიერ შექმნილი წმინდა გიორგის ადამიანის სიმაღლის ხატი. ეკლესიის ეზოში დაიდგმება ქვა, რომელზედაც ამოტვიფრული იქნება იმ პირთა სახელები და გვარები, ვინც ტაძრის მოხატვაში მიიღო მონაწილეობა ", - აცხადებს მამა საბა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ურიელ აკოსტა - ისტორიაც და სპექტაკლიც

თამარ კიკნაველიძე

80 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კოტე მარჯანიშვილმა კარლ გუცკოვის ურიელ აკოსტა გააცოცხლა. გუშინ, სპექტაკლის საიუბილეო თარიღი ამ რეჟისორის სახელობის თეატრში მოკრძალებულად აღნიშნეს. ეს მოვლენა ორგანულად ჩაიწერა მარჯანიშვილის თეატრის საიუბილეო ღონისძიებათა რიცხვში.

სპექტაკლი, რომელიც დღემდე რეპერტუარშია, პირველად 1929 წლის 2 თებერვალს, ქუთაის-ბათუმის თეატრში დაიდგა. მას ხანგრძლივი და მეტად საინტერესო ისტორია აქვს. ურიელ აკოსტას ხომ მარჯანიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის რეჟისორის საეტაპო მნიშვნელობის მქონე ნამუშევარია, სადაც საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის პარალელურად, მარჯანიშვილმა იმ შემოქმედთა ნიჭიერებაც გამოავლინა, რომელთა მონაწილეობითაც ქართულ თეატრს, მოგვიანებით, არაერთი საინტერესო და საამაყო წარმოდგენა შეემატა.



ურიელ აკოსტას პირველი დადგმის წარმატებაში, მარჯანიშვილთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ამ სპექტაკლის მხატვარს - პეტრე ოცხელს, მუსიკალურ გამფორმებელს - თამარ ვახვახიშვილს და რაც მთავარია, მთავარი როლების შემსრულებლებს: ვერიკო ანჯაფარიძესა (ივდითი) და უშანგი ჩხეიძეს (ურიელ აკოსტა).

80 წლის განმავლობაში, ამ სპექტაკლმა ოთხი თაობის წარმომადგენლები გამოიცვალა. კოტე მარჯანიშვილის დადგმის შემდეგ, ურიელ აკოსტა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ 1972 წელს აღადგინა, სადაც ივდითს სოფიკო ჭიაურელი განასახიერებდა, ხოლო ურიელ აკოსტას - კოტე მახარაძე. მოგვიანებით, სოფიკო ჭიაურელმა ეს წარმოდგენა ორჯერ აღადგინა, პირველად 1991 წელს, როდესაც მთავარ როლებს ნინო დუმბაძე და ზურაბ სტურუა თამაშობდნენ, ხოლო მეორედ - 2006 წელს.

გუშინ, მარჯანიშვილის თეატრში სწორედ 2006 წელს, სოფიკო ჭიაურელის მიერ აღდგენილი ურიელ აკოსტა წარმოადგინეს. მაყურებელმა გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა (ა. ლუნაჩარსკი) ნატო მურვანიძის და ნიკა თავაძის მონაწილეობით იხილა. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლს მასში სხვადასხვა დროს მონაწილე მსახიობებიც ესწრებოდნენ.

წარმოდგენის დაწყებამდე, მაყურებელს თეატრის ფოიეში გამოფენილი ფოტოსურათების დათვალიერების შესაძლებლობაც მიეცა. ექსპონირებული ფოტოები თეატრის მუზეუმის ფოტოარქივიდან შეირჩა და საგამოფენოდ დამუშავდა. მათზე ოთხივე თაობის მთავარი როლების შემსრულებლები არიან გამოსახულნი. საინტერესოა სოფიკო ჭიაურელის ვერიკო ანჯაფარიძესთან რეპეტიციის ამსახველი კადრი. ასევე, მეტად ცნობილი, პეტრე ოცხელის, ელენე ღოღობერიძის (რეჟისორი), თამარ ვახვახიშვილისა და კოტე მარჯანიშვილის ჯგუფური ფოტოც.

მცირე ექსპოზიციაზე, ფოტონამუშევრებთან ერთად, წარმოდგენილია მხატვარ პეტრე ოცხელის მიერ შესრულებული კოსტუმის ესკიზის ასლი. ამ კოსტუმს სპექტაკლში დღემდე იყენებენ, რაც კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ განახლებული დადგმის შემოქმედებითი ჯგუფი ცდილობს ისტორიული ხიბლი მას ბოლომდე შეუნარჩუნოს. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში ურიელ აკოსტას მხოლოდ სამი ესკიზი ინახება, რომელთაგან ორი ასლია. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ნიმუში კი, სწორედ პეტრე ოცხელის მიერ შესრულებული და ჩვენამდე მოღწეული იმ ერთი ესკიზის ასლია. აქვე, თამარ ვახვახიშვილის პარტიტურის ორი ფრაგმენტიც (პირველი აქტის პირველი მოქმედება) არის წარმოდგენილი.

გუშინ, პეტრე ოცხელის ნამუშევრების დათვალიერება მაყურებელს მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზშიც შეეძლო. ასე რომ, საიუბილეო თარიღის ფარგლებში, მარჯანიშვილის თეატრში განვითარებული მოვლენები ერთმანეთს ლოგიკურად აეწყო.

# ჯორჯ კლუნის ომი

## ოსამა ბინ ლადენის მძღოლი ფილმის პერსონაჟი ხდება

თუ ოდესმე საჭირო დროს და საჭირო ადამიანთან შემოგთავაზებენ სამსახურს, აუცილებლად დათანხმდით, რდგან რამდენიმე წლის შემდეგ შესაძლოა თქვენს შესახებ ფილმიც გადაიღონ - მით უმეტეს, თუ თვით ოსამა ბინ ლადენის მძღოლობას გამოჰკრავთ ხელს. სწორედ მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის პირადი მძღოლის, სალიმ ჰამდანის შესახებ იღებს ფილმს ჯორჯ კლუნი, რომელმაც მომავალი პროექტის სცენარისტიც გამოძებნა.



აარონ სორკინი შარშან გამოსული პოლიტიკური დრამის "ჩარლი უილსონის ომის" (მთავარ როლებში ტომ ჰენკსი და ჯულია რობერტსი) სცენარის ავტორია. იგი პოლიტიკური ჟანრის სცენარების სპეციალისტად მიიჩნევა, რადგან საუკეთესოდ შეუძლია დაპირისპირებული მხარეების ერთ დონეზე წარმოჩენა და არც ისტორიული მოვლენების ზედმიწევნით შესწავლა ეზარება. "გამოწვევაზე" სამუშაოდ იგი სწორედ ამ თვისებების გამო მოიწვიეს, რადგან საქმე ამერიკისთვის ჯერ კიდევ აქტუალურ და საშიშ პიროვნებას ეხება. ჯორჯ კლუნის არ დაუმალავს, რომ ამ პროექტზე მუშაობისას დიდი სიფრთხილე მართებს, რადგან არის საშიშროება, რომ ოსამა ბინ ლადენი მასში მოთხრობილმა ამბებმა უფრო გააღიზიანოს.

ჯორჯ კლუნი ფილმის არა მხოლოდ რეჟისორი, არამედ მასში ერთ-ერთი როლის შემსრულებელიც იქნება. იგი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ადვოკატ ჩარლზ სვიფტს ითამაშებს, რომელიც სალიმ ჰამდანის საქმეს ხელმძღვანელობდა და ყველანაირად ცდილობდა იგი კანონის ფარგლებში გაესამართლებინათ. ფილმის მთავარი ხაზიც სწორედ ამერიკული კანონმდებლობისა და კონსტიტუციის დარღვევას შეეხება და არა ბრალდებულის დანაშაულს. როგორც დღეს უკვე ცნობილი ხდება, ჰამდანის საქმის ძიებისას და სასამართლო პროცესისას ბევრი საკანონმდებლო უზუსტობა იყო დაშვებული.

ამჟამად სალიმ აჰმედ ჰამდანი თავისუფალია. იგი იემენის ციხიდან 2009 წლის იანვრის დასაწყისში გამოვიდა, 6 თვის განმავლობაში იჯდა. თუმცა "ალ ქაედასთან" თანამშრომლობისთვის განაჩენი ამერიკის სამხედრო სასამართლომ მხოლოდ 2008 წლის აგვისტოში გამოუტანა და 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ დროისთვის ჰამდანს გუანტანამოს ციხეში 5 წელი ჰქონდა გატარებული, ხოლო დარჩენილი 6 თვე სამშობლოში, იემენის ციხეში მოიხადა.

სალიმ ჰამდანი 2001 წელს ავღანეთში დააპატიმრეს და არა მხოლოდ "ალ ქაედას" ხელმძღვანელის, ოსამა ბინ ლადენის მძღოლობაში, არამედ მის დაცვის წევრობასა და იარაღის გადატანაში დასდეს ბრალი. ჰამდანის დაცვა აცხადებდა, რომ იგი უბრალოდ დაქირავებული თანამშრომელი იყო და "ალ ქაედას" საქმიანობაში არ ერეოდა. მათმა მუშაობამ შედეგი გამოიღო და მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი ჰამდანისთვის 30 წლიან პატიმრობას ითხოვდა, სასამართლომ მინიმალური სასჯელი დააკისრა.

# სპორტი

## აბუსერიძე თანაკლუბელ მეტოქეებს ბრძოლას ჰპირდება

"ერთა თასი", რომელსაც ახალ ზელანდიაში 2011 წელს ჩასატარებელი მსოფლიო თასის შესარჩევი დატვირთვაც აქვს, სეზონს გერმანია-საქართველოს მატჩით ხსნის. გერმანელებმა რა ხანია განაცხადეს სამასპინძლოდ მზად ვართო. რამდენიმე დღის წინ დაასახელეს შემადგენლობაც. მათ შორის არის ფრანგული "ორლეანის" ის ორი მოთამაშე, რომელთა გვერდით თამაშობს "ბორჯღალოსანთა" კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე. გერმანია-საქართველოს მატჩამდე აბუსერიძეს თანაკლუბელებმა ალექსანდერ ვიდიკერმა და კლემენს ფონ გრუმკოუმ ჩამოართვეს ინტერვიუ, რომელიც მოგვიანებით გერმანულ ვებგვერდ Totalrugby-ზე გამოქვეყნდა. მაშ ასე, ირაკლი აბუსერიძე თანაკლუბელების სახით მომავალ მეტოქეებს პასუხობს.

**- "ორლეანში" ჩვენთან ერთად თამაშობ, ახლა კი მეტოქეები უნდა ვიყოთ. რაიმე განსაკუთრებული გრძნობა ხომ არ გეუფლება?**

- გერმანიის "ერთა თასის" ელიტურ ჯგუფში აღზევებას კარგა ხანს ველოდი, რომ თქვენს წინააღმდეგ მეთამაშა (იცინის). თქვენს შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ და გერმანიის ნაკრების ტექნიკურ კონსულტანტ ბრუნო შტოლორცთანაც მქონია ურთიერთობა. უცნაური გრძნობა ნამდვილად მექნება - ვარჯიშებზეც ხომ ვყოფილვართ ერთმანეთის მეტოქეები.

**- საქართველოს შვიდკაცა ნაკრებთან ერთად ჰაიდელბერგში არაერთხელ ყოფილხარ. ახლა როგორ დახვედრას ელი?**

- ეს რაღაც ახალი იქნება. ახალბედა მეტოქისგან ყველანაირ სიურპრიზს უნდა ელოდე. გერმანიის შვიდკაცა ნაკრების წინააღმდეგ რამდენჯერმე მითამაშია, თუმცა, 15-კაცა რაგბის თავისი სპეციფიკა აქვს.

**- გერმანია პირველი დივიზიონის დებიუტანტია, თქვენ კი საქართველოს ნაკრებთან ერთად ბოლო "ერთა თასი" მოიგეთ. მომავალი მატჩი დავითისა და გოლიათის შერკინებას ხომ არ ჰგავს?**

- საქართველო რომ მომავალი მატჩის აშკარა ფავორიტია, ეს უდავოა. ჩვენი ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა ფრანგულ კლუბებში თამაშობს, გერმანელ მორაგბეთა შესახებ კი ბევრი არაფერი მსმენია. ერთი რამ ზუსტად ვიცი - თქვენზე განსაკუთრებით უნდა მეჭიროს თვალი (იცინის).



ირაკლი აბუსერიძე შეტევაზე

გოჩიტა ბახაძის ფოტო

**- ჩვენს გარდა, რომელიმე გერმანელ მორაგბეს თუ იცნობ?**

- არა, სხვებთან ურთიერთობა არ მქონია.

**- საქართველოსა და რუსეთის ომს მთელ მსოფლიოში დიდი გამოძახილი მოჰყვა. "ერთა თასზე" რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ მოგიწევთ თამაში. ალბათ განსაკუთრებული მოტივაცია გაქვთ.**

- რუსებთან თამაშისთვის მოტივაცია არც აქამდე გვაკლდა. მათთან ყოველთვის რთული მატჩები გვქონდა, ხისტი და მძიმე ბრძოლა იმართებოდა. ცხადია, ომის შემდეგ გამარჯვებისთვის გაათმაგებული ენერგიით ვიბრძოლებთ. და მაინც, პოლიტიკის სპორტთან დაკავშირების მომხრე არ ვარ. ჩვენს შორის ყველაფერი მინდორზე უნდა გადაწყდეს.

**- საქართველოს ნაკრების მორაგბეთა უმრავლესობა ფრანგულ კლუბებში ირიცხება. გერმანიაში ყველა უძლიერესს ჩამოიყვანთ? ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩიცაა?**

- ჩვენმა ავსტრალიელმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა უკვე განაცხადა, რომ თითოეული შეხვედრისთვის უძლიერეს მორაგბეებს შეკრებს. წინა ციკლში ესპანეთში მესამე შემადგენლობა წავიდა და დამარცხდა. კიდევ კარგი, ამ ჩავარდნამ დიდი უკუსვლა არ გამოიწვია. ახლა ასეთი შეცდომების უფლება აღარ გვაქვს.

**- და მაინც, გერმანიისა და საქართველოს მატჩისგან რას ელით?**

- ჩვენ გამარჯვების მეტი არაფერი დაგვაკმაყოფილებს, გერმანიის ნაკრების მიზნებზე კი ვერაფერს გეტყვით. ერთ რამეს გპირდებით: მეტოქეს აგდებულად არ ვეკიდებით და დიდი ბრძოლისთვის ვემზადებით.

## სეოკ-ში სტიპენდიანტები დაითვალეს

ბიბა ბურასაშვილი

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) პრეზიდენტის პოსტზე მოსვლისთანავე გია ნაცვლიშილმა ერთ-ერთ სამოქმედო გეგმად თუ მიზნად დაისახა მეცენატთა დარბაზის შექმნა, რომელიც თავის მხრივ ქართველ სპორტსმენებს და ზოგადად ქართული სპორტის განვითარებას შეუწყობდა ხელს. და აი, გუშინ სეოკ-ის შტაბბინაში საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, რომ მეცენატთა დარბაზის შემწეობით მოქმედ ქართველ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს, რომლებიც იქვე იმყოფებოდნენ, ოლიმპიური სტიპენდიები დაენიშნათ. საუბარია 81 სპორტსმენსა და ათ მწვრთნელზე.*

ჩვენი ბიუჯეტიდან და აგრეთვე, ახლადშექმნილი მეცენატთა დარბაზის დახმარებით, გამოიყო თანხა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ოლიმპიური იმედის სტიპენდიებისთვის გადანაწილდება. სტიპენდიას ყოველთვიურად ის სპორტსმენები და მათი მწვრთნელები მიიღებენ, რომლებიც ლონდონის ოლიმპიური ლიცენზიების კანდიდატებად მიიჩნევიან , - განაცხადა გია ნაცვლიშვილმა და იქვე სტიპენდიების დანიშვნის პრინციპიც განმარტა. კერძოდ სეოკ-ის ხელმძღვანელობამ ყველა ფედერაციაში დააგზავნა ქვოტები. ფედერაციებმა კი პასუხად იმ სპორტსმენთა სიებით უპასუხეს, რომლებიც იმსახურებდნენ სტიპენდიებს. მართალია, თანხის ოდენობა არ დაკონკრეტებულა, მაგრამ ცნობილია, რომ სტიპენდიები არ დაიბეგრება.

სტიპენდიანტთა სიას ყოველწლიურად გადავხედავთ და შედეგების მიხედვით განვაახლებთ. იმ სპორტსმენებს, რომლებიც წარმატებებს მიაღწევენ, პირადი სპონსორები დააჯილდოვებენ და სტიპენდიის თანხასაც მოუმატებენ. მთლიანობაში საუბარია ზაფხულის 19 სახეობაზე , - აღნიშნა ნაცვლიშვილმა.

გუშინდელ პრესკონფერენციას მეცენატთა დარბაზში გაწევრიანებულ კომპანიათა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც თავის მხრივ ერთხმად დაადასტურეს, მზადყოფნა სპორტსმენთა წარმატებული კარიერის ასაწყობად.

ერთი სიტყვით, როგორც ეს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თქვა, გამარჯვებები თქვენზეა, ფულს კი ჩვენ მოვიძიებთო .

სტიპენდიებზე საუბრის დასრულების შემდეგ, გია ნაცვლიშვილმა ორი სიახლეც გვამცნო: კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ ყველა სახეობის ნაკრებისთვის შეიქმნება საერთო უნიფორმა. შეკვეთა უკვე მიცემული გვაქვს. ასე რომ, მალე ჩვენი ნაკრებები ერთნაირად, ლამაზად შემოსილები წარსდგებიან საერთაშორისო ასპარეზობებზე .

და კიდევ, ოლიმპიურმა კომიტეტმა 170 ათასი ლარი გამოყო სპორტსმენთა დისპანსერიზაციისთვის. ეს პროცესი ყველასთვის სავალდებულო იქნება. ვინც ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პირად საქმეს არ გახსნის, მონაწილეობას ვერც ერთ ტურნირზე ვერ მიიღებს. მათ შორის საქართველოს ჩემპიონატზეც.

### "ბორჯღალოსანებს" მაისურაძე გამოაკლდათ, შკინინი დაემატათ

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ერთა თასის" მატჩებისთვის ემზადება. ამჯერად ჩვენი გუნდი საფრანგეთის ქალაქ მასიში გადის საწვრთნელ შეკრებას. ადრე გამოცხადებულ შემადგენლობაში არის ერთი იძულებითი ცვლილება - "კლერმონ ოვერნის" ფლანკერის სიკო მაისურაძის ნაცვლად შეკრებაზე გამოიძახეს "ხულიგანას" უკანახაზელი გოშა შკინინი. ტიმ ლეინი (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "მზადება კარგ პირობებში გვიხდება, ოღონდ ცოტა ცივა. სხვა მხრივ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ბიჭებს გაცნობიერებული აქვთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ შესარჩევ ციკლს და მიხარია, რომ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს. შეკრების წინ კუნთი გაუწყდა სიკო მაისურაძეს, რის გამოც შეკრებაზე გიორგი შკინინს ვუხმეთ. 5 თებერვლამდე მასიში ვიქნებით, მერე კი გერმანიაში გადავალთ, სადაც პირველი გამოცდა გვექნება ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან."

### გერმანიაში შოტლანდიელები გვიმსაჯებენ

შაბათს, 7 თებერვალს, ჰაიდელბერგში "ფრიც გრუნებაუმ შპორტპარკზე", 17:00 საათზე დაიწყება ევროპის ერთა თასის" მატჩი რაგბიში. გერმანიის ეროვნული ნაკრები უმასპინძლებს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. მატჩს შოტლანდიელ არბიტრთა ბრიგადა მოემსახურება - მთავარი მსაჯი: გრემ კოკსი, გვერდითი მსაჯები: დევიდ ჯეკი და გრემ მარშალი.

### "ასკას" "ლოკომოტივი" დაასაქმებს

მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველი მალხაზ ასათიანი რუსი რკინიგზელების ახალგაზრდულ შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს მოსკოვში. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა საქართველოს ნაკრების მცველი არ წაიყვანა არც თურქულ და არც ესპანურ შეკრებაზე. გუშინ დაიხურა სატრანსფერო ფანჯარა ევროპაში, თუმცა რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში, კვლავ შეიძლება ტრანსფერის განხორციელება. "ლოკომოტივის" პრეზიდენტმა ნიკოლაი ნაუმოვმა განაცხადა, რომ ასათიანის დასაქმებას "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა ხელს შეუწყობს და მას შესაფერის გუნდებს მოუძებნის. შეგახსენებთ, რომ ასათიანს ძვირად ღირებული კონტრაქტი აქვს გაფორმებული "ლოკომოტივთან", რომელიც ჯერ არ დასრულებულა. თუ ის არ დაასაქმებს ქართველ მცველს, თავად მოუწევს კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

### "დიორს" ქართველებმა ვერ უშველეს

უნგრულმა "დიორი ეტომ" თურქული შეკრების პირველი მატჩი მოსკოვის "სპარტაკთან" გამართა და 0:2 წააგო. შეხვედრა დიორელების უპირატესობით წარიმართა, მაგრამ, როგორც ხშირად მომხდარა ფეხბურთში, გამარჯვება მოწინააღმდეგეს დარჩა. დავით ოდიკაძე უნგრელთა სერბმა მენეჯერმა დრაგოლიუბ ბეკვალაცმა გუნდის შემადგენლობაში სრულად ათამაშა. მატჩის 75-ე წუთამდე ის მარჯვენა მცველი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დროს "დიორი ეტოს" მარცხენა მცველი მოედნიდან გავიდა, მწვრთნელმა იგი მის ადგილზეც გამოცადა. რაც შეეხება რატი ალექსიძეს, ის ბეკვალაცმა მინდორზე მატჩის 88-ე წუთზე შეიყვანა.

"დიორში" მოთამაშე კიდევ ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა თეიმურაზ შარაშენიძემ თავი გამოიჩინა ამ გუნდის დუბლებში, რომელიც შეკრებას უნგრეთში გადის. "დიორი ეტოს" ფარმ-კლუბმა ერთ-ერთ ადგილობრივ გუნდს დამაჯერებლად - 5:0 სძლია. გუნდში ასაკით ყველაზე უმცროსმა შარაშენიძემ (იგი 16 წლისაა) მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა და, ერთ გატანილ გოლთან ერთად, შედეგიანი საგოლე გადაცემაც შეასრულა.

### კუარეჟმა სეზონის ბოლომდე "არისტოკრატია"

ლონდონის "ჩელსიმ" მილანის "ინტერის" პორტუგალიელი ფეხბურთელი რიკარდუ კუარეშმა იჯარის წესით აიყვანა. 25 წლის კუარეშმა სეზონის დარჩენილ ნაწილს ინგლისში გაატარებს. პორტუგალიელმა ფორვარდმა "ინტერის" მაისურით 13 მატჩი ჩაატარა, მათგან ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ - 7.

### "ჩელსი" აპროტესტებს

ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა ლონდონის "ჩელსიმ", 24-ე ტურში "ლივერპულთან" 0:2 წაგებულ მატჩში, ნახევარმცველ ფრენკ ლამპარდის გაძევება გააპროტესტა. ლამპარდმა მსაჯ რაილისგან წითელი ბარათი მოწინააღმდეგის ესპანელ ლეგიონერ ხაბი ალონსოსთან შეჯახების გამო მიიღო. ამ ეპიზოდმა თამაშის მსვლელობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ლამპარდის გაძევებამდე ანგარიში 0:0 იყო, მატჩის მიწურულს კი "ლივერპულის" კიდევ ერთმა ესპანელმა ფერნანდო ტორესმა დუბლი შეასრულა და ლონდონულ კლუბს მარცხი აგემა.

### სირაძემ "ტერეკი" მარცხისგან იხსნა

გორზნოს "ტერეკმა", რომელიც თურქეთში გადის საწვრთნელ შეკრებას, საკონტროლო მატჩი ითამაშა ლუგანსკის "ზარიასთან". 37-ე წუთზე ანგარიში გახსნა "ტერეკში" სინჯებზე მყოფმა საქართველოს ნაკრების ფორვარდმა დავით სირაძემ. "ზარიას" მოთამაშემ გავრიუშოვმა კი მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გაათანაბრა და თავისი გუნდი მარცხისგან იხსნა. ლუგანსკის "ზარიას" შემადგენლობაში მეორე ტაიმი ითამაშა საქართველოს 21 წლამდე ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა გიორგი ციმაკურიძემ.

### რეიტინგი ქართველებისთვის არ შეცვლილა

სეზონის პირველი სლემ-ტურნირის - ავსტრალიის ღია პირველობის დასრულების კვალად, ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) და პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) ახალი რეიტინგები გამოაქვეყნეს.

ქალთა კლასიფიკაციაში რიცხული 9 ქართველი ჩოგბურთელიდან უკუსვლა არც ერთს არ განუცდია, უმრავლესობას კი მცირე წინსვლაც შეეხო.

ქვეყნის პირველ ჩოგბურთელად კვლავ ანა ტატიშვილი რჩება, რომელიც მსოფლიოს 156-ე ნომერია.

156 (156). ანა ტატიშვილი - 396; 217 (217). მაკა ჩახნაშვილი - 266; 241 (243). სოფო შაფათავა - 220; 393 (394). ოქსანა კალაშნიკოვა - 112; 647 (652). ეკატერინე გორგოძე - 40; 668 (674). სოფო ქვაცაბაია - 38; 699 (704). მანანა შაფაქიძე - 34; 746 (748). სალომე დევიძე - 28; 916 (916). სოფო მელიქიშვილი;

მცირედით გაუმჯობესდა იმ 7 ქართველი ვაჟი ჩოგბურთელის პოზიციაც, რომლებიც ATP-ს რეიტინგში მოხვდნენ. 521 (529). ირაკლი ლაბაძე - 96; 919 (920). ლაზარე კუხალაშვილი - 24; 1111 (1118). ლადო ჩიხლაძე - 12; 1219 (1220). ნიკოლოზ ბასილაშვილი - 8; 1323 (1326). ნოდარ ითონიშვილი - 6; 1564 (1566). ბექა ბუჩუკური - 2; 1657 (1659). დემეტრე თაქთაქიშვილი - 2;

### ჩახნაშვილი საფრანგეთში ითამაშებს

ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ ქართველი ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი ძალებს მოსინჯავს საფრანგეთის ქალაქ ბელფორტში, სადაც 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო.

ჩახნაშვილი ძირითად ბადეში მე-8 ნომრადაა განთესილი, მისი პირველი მეტოქე კი ფრანგი ირენა პავლოვიჩი იქნება. გამარჯვების შემთხვევაში მაკა ესპანელ დელ ბარიო-არაგონსა და გერმანელ პეტკოვიჩს შორის გამარჯვებულს შეერკინება.

წყვილთა ტურნირში ჩახნაშვილი და პოლონელი პატრისია სანდუსკა ჩეხი ბირნეროვასა და რუსი მანასიევას დუეტს გაეჯიბრებიან.

### კინი "დეზებს" დაუბრუნდა

ინგლისური "ლივერპული" ირლანდიელი ფორვარდის რობი კინის "ტოტენჰემ ჰოტსპურში" გაშვებას დათანხმდა.

ფეხბურთელი ლონდონში ჩავიდა და ყოფილ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა.

კინი "ტოტენჰემიდან" "ლივერპულში" გასულ ზაფხულს გადავიდა, თუმცა, მერსისაიდელთა 18-მილიონიანმა შენაძენმა იმედები ვერ გაამართლა.

რობი "ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა. 27 მატჩში მან მხოლოდ 7 გოლი გაიტანა.

### არშავინი უკვე "მეთოფეა"

სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" ფორვარდმა ანდრეი არშავინმა, რომლის ლონდონის "არსენალში" გადასვლის შესახებ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საუბრობდნენ, "მეთოფეებთან" ნანატრი კონტრაქტი გააფორმა. არშავინმა "არსენალთან" 3.5-წლიანი ხელშეკრულება დადო და გუნდში 23-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. არსენ ვენგერის კლუბს რუსი ფეხბურთელის გადაბირება 16.5 მილიონი გირვანქა დაუჯდა. არშავინი ხელფასის სახით კვირაში 70 ათას გირვანქას მიიღებს.

# ჰოლანდიური ტრამპლინი და კოშკურა ქართველებს ელოდება

*დღეს საქართველოს წყალში მხტომელ გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრები ჰოლანდიაში საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა. საქართველოს ნაკრებთან ერთად საკუთარ ძალებს მოსინჯავენ ათი ქვეყნის წარმომადგენლები.*

საქართველოს ნაკრები სამ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზებს: 12-13 წლიანებში - თამარ სიჭინავა (3 მ. ტრამპლინი და 5 მ. კოშკურა); 14-15 წლიანებში - თეონა ყაჭეიშვილი (1 მ. და 3 მ. ტრამპლინი), აკაკი ივანიშვილი (1 მ. და 3 მ. ტრამპლინი) და ალექსანდრე გუჯაბიძე (3 მ. ტრამპლინი და 10 მ. კოშკურა); 18 წლამდელებში - სალომე ჯუღელი (1 მ. ტრამპლინი). საქართველოს ნაკრები ჰოლანდიაში მსაჯითაც იქნება წარმოდგენილი - მასპინძლებმა ისაკ ყეინაშვილი იხმეს.

"ტურნირისთვის ვაკის საცურაო აუზზე ვემზადებოდით. ყველა სპორტსმენი კარგადაა მომზადებული, რაც იმის თქმის საბაბს მაძლევს, რომ ცუდად არ უნდა გამოვიდეთ, - ამბობს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი და ნაკრების მწვრთნელი ირაკლი ბართაია, - ეს კარგი წინაპირობა იქნება ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატისთვის (1-5 ივლისი) მოსამზადებლად. მანამდე კი საქართველოს ნაკრები მინსკისა და გერმანიის საერთაშორისო ტურნირებზე გამოვა. მინსკში, დსთ-ის რესპუბლიკებთან ერთად, ევროპის რამდენიმე ქვეყანაც იასპარეზებს. ბელორუსის შემდეგ შევეცდებით თავი გამოვიჩინოთ გერმანიაში, სადაც ასევე საუკეთესო გუნდები შეიკრიბებიან".

საქართველოს ნაკრებს გერმანიის საერთაშორისო ტურნირზე შოთა კორახაშვილი და ჭოლა ჭანტურია დაემატებიან. 9 თებერვალს ისინი შენჟენში (ჩინეთი), მსოფლიო გრან-პრიზე მიმგზავრებიან. ამ ტურნირს სარეიტინგო დატვირთვა აქვს. კორახაშვილი და ჭანტურია ინდივიდუალურ და სინქრონულ ხტომებს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან შეასრულებენ. ქართველთა ტანდემს შენჟენში 15 ქვეყნის წარმომადგენლები გაუწევენ მეტოქეობას.

ჩინეთის გრან-პრის შემდეგ კორახაშვილი და ჭანტურია გერმანიაში ამავე რანგის მეორე ეტაპზე გაემგზავრებიან. მერე კი ტურინის ევროპის ჩემპიონატზე (1-5 აპრილი) იასპარეზებენ.

"გეგმის მიხედვით კორახაშვილსა და ჭანტურიას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში საასპარეზო პროგრამას ეტაპობრივად გავურთულებთ. ამისთვის მივმართავთ გრან-პრის ასპარეზობებს, რომელიც 6 ეტაპისგან შედგება. წლეულს რუსეთისა და კანადის ამავე რანგის ეტაპებს გამოვტოვებთ - ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლას ვამჯობინებთ," - ამბობს ირაკლი ბართაია.

# ამაურის ბრაზილიის ნაკრებში არ უშვებენ

"იუვენტუსის" ფორვარდ ამაურის გარშემო ბოლო ხანს დიდი აურზაური იყო ატეხილი. საქმე ის არის, რომ ამაური წარმოშობით ბრაზილიელია, თუმცა იტალიის მოქალაქეობაც აქვს მიღებული და ამის გამო არჩევანის წინაშე იდგა. ამაურიზე თვალი ეჭირა როგორც ბრაზილიის, ისე იტალიის ნაკრებს, თუმცა კარგა ხანს დუნგა და ლიპი არ ჩქარობდნენ მის გამოძახებას.

10 თებერვალს ლონდონში, "ემირეტსის" სტადიონზე, ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდები. თავდაპირველად ამაური არც ერთ მწვრთნელს არ ჰყავდა გამოძახებული, მას შემდეგ კი, რაც ბრაზილიის ნაკრებისა და ესპანური "სევილიას" ფორვარდმა ლუის ფაბიანომ ტრავმა მიიღო, დუნგამ მის სანაცვლოდ სწორედ ამაურის უხმო. ამით თითქოს წერტილი უნდა დასმოდა ყველაფერს.


ამაური კვლავ არჩევანის წინაშეა

დუნგას გამოძახების შემდეგ ამაური სწორედ ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი გახდებოდა, რომ არა ერთი დეტალი. საქმე ის არის, რომ ტურინის "იუვენტუსის" მესვეურებმა ამაური ნაკრებში არ გაუშვეს, მიზეზად კი ის დაასახელეს, რომ ფეხბურთელი დაგვიანებით გამოიძახეს.

ამრიგად, 10 თებერვალს ამაური ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ვერ ითამაშებს, დუნგამ კი ფაბიანოს შემცვლელის ძებნაზე საერთოდ ხელი ჩაიქნია და აღარავის დაამატებს გუნდს.

უცხოური მედია ვარაუდობს, რომ "იუვენტუსის" გადაწყვეტილებაზე იტალიის ფეხბურთის ფედერაციამაც იქონია გავლენა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ამაური ისევ არჩევანის წინაშეა - იმის გამო, რომ მას ბრაზილიის ნაკრებში ჯერაც არ გაუმართავს მატჩი, იტალიის ნაკრებში თამაშის უფლება აქვს.

# დარჩება თუ არა "ბექსი" "მილანში"?

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი აცხადებს, რომ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ დევიდ ბექჰემი, რომელიც კარგად მოერგო გუნდს და რამდენიმე საგოლე გადაცემა მიითვალა, დარჩეს იტალიურ გუნდში. "ლოს ანჯელეს გელექსისთან" დადებული ხელშეკრულებით ინგლისელი ფეხბურთელი "როსონერიში" მარტამდეა განათხოვრებული. "ჩვენ ვმუშაობთ, რომ ბექჰემი შევინარჩუნოთ. ვფიქრობ, ეს მისი სურვილიცაა. "მილანი" ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ბექჰემი ჩვენთან დარჩეს უფრო მეტ ხანს, ვიდრე ეს კონტრაქტითაა გათვალისწინებული. ცხადია, ჩვენ გვინდა მისი შენარჩუნება და სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმება. თუ "გელექსი" მოისურვებს ჩვენთან მოლაპარაკებას, მოხარულნი ვიქნებით. ბუნებრივია, მას აქვს ბექჰემზე მთავარი უფლება. დევიდი გუნდში 9 მარტს უნდა დაბრუნდეს. ჩვენც ამ დროს დაველოდოთ," - ამბობს გალიანი. საგულისხმოა, რომ "მილანმა" დევიდ ბექჰემი უეფას თასის განაცხადშიც შეიყვანა. "ბექჰემი განაცხადში იმიტომ შევიყვანეთ, რომ ჩვენი გუნდის თამაშს უცებ აუღო ალღო. დევიდი ბრწყინვალე ფორმაშია და, ცხადია, "ვერდერთან" შეხვედრებში ძალიან წაგვადგება. ნიჭისა და შრომისმოყვარეობის ხარჯზე ის გუნდისთვის შეუცვლელი მოთამაშეა", - განაცხადა "მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.



ბექჰემს "მილანის" დატოვება არ უნდა

თავად ბექჰემსაც სურს იტალიურ გრანდში დარჩენა. მან თქვა, რომ ამერიკაში დაბრუნება აღარ უნდა. მეტიც, ადვოკატები დაიქირავა იმისთვის, რომ "ლოს ანჯელეს გელექსისთან" საქმე მოაგვარონ.

დევიდი დაუკავშირდა თავისი ამერიკული გუნდის მფლობელებს და სთხოვა, რომ ტრანსფერი უმტკივნეულოდ განხორციელდეს, ისე, რომ ყველა მხარე კმაყოფილი დარჩეს.

# კობი ბრაიანტის სამი რეკორდი

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ სათამაშო დღეს ზაზა ფაჩულია და მისი "ატლანტა ჰოუქსი" ისვენებდნენ. სამაგიეროდ არ უქმობდა "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" და მისი ლიდერი კობი ბრაიანტი, რომელმაც "მედისონ სკვერ გარდენში" გამართულ მატჩში "ნიუ იორკ ნიქსთან" ლიგის სამი რეკორდი დაამყარა.

"ლეიკერსმა" გასვლით მატჩში მეტოქე ანგარიშით 126:117 დაამარცხა. ამ 126 ქულიდან თითქმის ნახევარი კობი ბრაიანტის ანგარიშზეა.

ლიგის მეგავარსკვლავმა საოცარი შედეგიანობა გამოიჩინა და მატჩი 61 ქულით დაასრულა. თამაშიდან ნატყორცნი 31 ბურთიდან კობიმ 19 კალათში მოათავსა, 20 საჯარიმოდან კი არც ერთი არ გაუფუჭებია.

ორიოდე სიტყვა რეკორდებზე, რომელთაგან ერთი ბრაიანტმა ლეგენდარულ მაიკლ ჯორდანს ჩამოართვა. ლიგის ისტორიაში "ნიქსის" წინააღმდეგ თამაშში ერთ კალათბურთელს აქამდე 55 ქულაზე მეტი არ ჰქონდა ჩაგდებული. ეს რეკორდი ჯორდანს ეკუთვნოდა. ახლა კი 61 ქულით ბრაიანტია რეკორდსმენი. "მედისონ სკვერ გარდენში" კი შედეგიანობის რეკორდი ეკუთვნოდა ბერნარდ კინგს, რომელმაც 1984 წელს 60 ქულა დააგროვა. კობიმ ეს მაჩვენებელი გააუმჯობესა. რაც შეეხება მესამე რეკორდს, ის უფრო ლოკალური მნიშვნელობისაა. 2008-09 წლების სეზონში 61 ქულა ჯერ არც ერთ კალათბურთელს არ დაუგროვებია.



*"მედისონ სკვერ გარდენში" კობი ვერ შეაჩერეს*

კარიერის განმავლობაში კობი ბრაიანტს 24 მატჩში 50 ქულაზე მეტი აქვს დაგროვებული, თუმცა 61 ქულა "ლეიკერსის" ვარსკვლავისთვის მაქსიმუმი არ არის. 2006 წლის 22 იანვარს "ტორონტო რეფტორზის" წინააღმდეგ გამართულ მატჩში ბრაიანტმა 81 ქულა მოაგროვა.

"ეს საოცრება იყო. კობი მატჩზე საოცრად შემართული გავიდა და ეს განწყობა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა", - აღნიშნა მატჩის შემდეგ "ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა.

# ნადალი: "ეს ჩემთვის განსაკუთრებული ტიტულია"

კვირას რაფაელ ნადალმა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში როჯერ ფედერერი დაამარცხა და კარიერაში მეექვსედ მოიგო დიდი სლემის ტურნირი. ყველაზე პრესტიჟული ოთხი ტურნირიდან ესპანელს სამი მოგებული აქვს და წლეულს პრეტენზიას განაცხადებს მთლიანად დიდი სლემის მოგებაზე. ეს კი 1969 წლის შემდეგ არ მომხდარა - მაშინ დიდი სლემი ავსტრალიელმა როდ ლეივერმა მოიგო.

ფინალში ფედერერის დამარცხების შემდეგ ნადალი ჟურნალისტებს შეხვდა.

**- უკვე მეექვსედ მოიგეთ დიდი სლემის ტურნირი. ავსტრალიაში გამარჯვება რამდენად განსაკუთრებულია თქვენთვის?**

- ეს ტიტული ჩემთვის მართლაც განსაკუთრებულია. დიდი სლემის ტურნირის მოგება ჰარდზე ჩემი ოცნება იყო. ამისთვის ძალიან ბევრი ვიშრომე. ყოველთვის თიხნარის ოსტატად მთვლიდნენ და მინდოდა ეს სტერეოტიპი დამერღვა. ახლა ბედნიერი ვარ. დღეს კორტზე უამრავი ემოცია დაიხარჯა. მე ვეთამაშებოდი როჯერ ფედერერს - საუკეთესოს იმათ შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს. ვწუხვარ როჯერის გამო. კარგად ვიცი, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია ახლა. მაგრამ ის დიადი ჩემპიონია. ის საუკეთესოა და ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნებაა ჩვენი სპორტისთვის.

**- თუ შეიძლება, შეადარეთ ეს გამარჯვება "როლან გაროსზე" და "უიმბლდონზე" მოპოვებულ გამარჯვებებს?**

- ეს სრულიად სხვაა. დიდი სლემის მოგება ჰარდზე, თანაც კარიერაში პირველად, განსაკუთრებული მოვლენაა.



*რაფაელ ნადალი თასით ხელში*

**- როჯერს რომ თქვენთვის ფინალი მოეგო, ის პიტ სამპრასის რეკორდს გაიმეორებდა. თქვენ დიდი სლემის ტურნირები სამივე საფარზე მოიგეთ და ჯერ მხოლოდ 22 წლის ხართ. რამდენად რეალურია, რომ თქვენ შეეჭიდოთ სამპრასის რეკორდს?**

- მე უკვე ექვსი მოვიგე, არა? რასაკვირველია, ვეცდები განვაგრძო ტიტულების მოგება. მაგრამ მშვენივრად მესმის, რომ ეს საოცრად ძნელია. არ ვიცი, კიდევ მოვიგებ თუ არა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ გამარჯვებისთვის.

**- ფედერერთან მატჩი დაძაბული გამოდგა. თქვენი აზრით, რამ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი - ეს ფიზიკური ბრძოლა იყო თუ ფსიქოლოგიური?**

- ზუსტად ვერ გეტყვით. ჩემი აზრით, მან მეხუთე სეტში შეცდომები დაუშვა. მე უფრო უშეცდომოდ ვითამაშე. ალბათ ამიტომ მოვიგე.

**- "უიმბლდონისა" და ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ შეიძლება თუ არა რაფაელ ნადალს ჩოგბურთის ახალი მეფე ვუწოდოთ?**

- რა პასუხს ელით ჩემგან? რა უნდა ვთქვა? უბრალოდ, ჩემი კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტიტული მოვიპოვე. მაგრამ იმაზე უკეთესი ნამდვილად არ ვარ, რაც ფინალურ მატჩამდე ვიყავი.

**- რა გითხრათ როდ ლეივერმა, როცა ჯილდო გადმოგცათ?**

- პირველ ოთხ სეტში მატჩი არაჩვეულებრივი რიტმით მიმდინარეობდაო. უბრალოდ, მომილოცა. მითხრა, რომ დიდებული ბრძოლა იყო, განსაკუთრებით უმძიმესი ნახევარფინალის შემდეგ. მითხრა ისიც, რომ 15 ათასი კაცია შეკრებილი და მატჩის დამთავრებიდან 10 წუთის მერეც კი არც ერთი მათგანი არ გასულა...

**- პარასკევს მძიმე ნახევარფინალი გადაიტანეთ. არ გეშინოდათ, რომ ეს ხელს შეგიშლიდათ?**

- ცოტათი მეშინოდა, რადგან ვარჯიშზე კონცენტრირება მიჭირდა. მაგრამ მწვრთნელმა მითხრა, იბრძოლე და ერთი წამით არ დაეჭვდე გამარჯვებაშიო. თამაშის მიწურულს სწორედ ასე მოვიქეცი და მოვიგე კიდეც.

## ჰუნტელაარს დიარა ამჯობინეს

მადრიდის "რეალმა" ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ლასანა დიარა შეიყვანა, კლაას-იან ჰუნტელაარი კი ევროთასებს მიღმა დატოვა.

უეფას წესების მიხედვით, იმ ახალწვეულთაგან, რომელთაც ევროპულ ასპარეზზე სხვა გუნდის მაისურით უკვე უთამაშიათ, კლუბებს განაცხადში მხოლოდ ერთი ფეხბურთელის შეყვანა შეუძლიათ.

## ჟომ კლუბი შეიცვალა

"მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელი ჟო სეზონის დარჩენილ დროს, იჯარის წესით, "ევერტონში" გაატარებს.

ბრაზილიელი ფორვარდი, რომელმაც მანჩესტერელთა რიგებში ჩატარებულ 12 მატჩში 3 გოლი გაიტანა, "ევერტონში" 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

"ევერტონის" მთავარმა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა ფორვარდის შემატება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ერთბაშად დაუშავდა რამდენიმე შემტევი ფეხბურთელი - იაკუბუ აიეგბენი, ჯეიმს ვოგანი და ლუის საა.

## ბასინასი პრემიერლიგაში გადავიდა

ათენის აეკ-ის ფეხბურთელი ანგელოს ბასინასი ინგლისურ პრემიერლიგაში გადავიდა და მომავალი წელიწად-ნახევრის განმავლობაში "პორტსმუთის" ღირსებას დაიცავს.

33 წლის ნახევარმცველმა აეკ-ის მაისურით მხოლოდ 17 მატჩი ჩაატარა, მანამდე კი ათენის "პანათინაიკოსისა" და ესპანური "მალიორკას" ღირსებას იცავდა.

## კამარა "სტოკში" გადავიდა

ინგლისურმა "სტოკ სიტიმ" იჯარის წესით "უიგანიდან" ფორვარდი ანრი კამარა გადაიბირა. კამარა სტოკელთა უკვე მეოთხე სენეგალელი ფეხბურთელია.

31 წლის თავდამსხმელი 2005 წლიდან "უიგანის" ღირსებას იცავდა და 46 მატჩში 20 გოლი გაიტანა.

## "ჰამბურგმა" დუეტი იქირავა

"ჰამბურგმა" გელზენკირხენის "შალკესგან" 28 წლის ნახევარმცველი ალბერტ შტრაიტი, ხოლო "ნანტიდან" დანიის ნაკრების 30 წლის მცველი მიქაელ გრავგაარდი იქირავა.

"მანჩესტერ სიტისთვის" ჰოლანდიელი ნახევარმცველის ნაიჯელ დე იონგის 20 მილიონ ევროდ მიყიდვის შემდეგ ჰანზურმა კლუბმა - შტრაიტისა და გრავგაარდის ჩათვლით - უკვე 6 ფეხბურთელი შეიმატა.

მანამდე "ჰამბურგმა" ვენესუელელი ტომას რინკონი, კამერუნული წარმომავლობის გერმანელი მარსელ ნდიენგი და მაროკოელი მეკარე ხალიდ სინუ იქირავა, ხოლო მწვანეკონცხელი მიკაელ ტავარესი იყიდა.

## ერნსტი "ბეშიქთაშში" გადავიდა

სტამბულის "ბეშიქთაშმა" გელზენკირხენის "შალკესგან" 29 წლის ნახევარმცველი ფაბიან ერნსტი იყიდა. ტრანსფერის ღირებულება 2,75 მილიონი ევროა. ერნსტი თურქულ კლუბს დაუყოვნებლივ შეუერთდება და მასთან კონტრაქტს 2011 წლის 30 ივნისამდე მოაწერს ხელს. ამ ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში ის გასამრჯელოს სახით 5,5 მილიონ ევროს მიიღებს. "საქმე დასრულებულია. ჩვენ მოთამაშის ნებას დავყევით", - განაცხადა "შალკეს" საქმეთა მმართველმა პეტერ პეტერსმა.

## ტიმოშჩუკი "ბაიერნს" ივლისში შეუერთდება

სანკტ-პეტერბურგის "ზენიტისა" და უკრაინის ნაკრების 29 წლის ნახევარმცველი ანატოლი ტიმოშჩუკი 1 ივლისიდან მიუნხენის "ბაიერნს" შეუერთდება. ეს ტრანსფერი გერმანულ ბობოლას 11 მილიონი ევრო დაუჯდა. ტიმოშჩუკი, რომელსაც 81-ჯერ დაუცავს უკრაინის ნაკრების ღირსება, "ბაიერნთან" კონტრაქტს გააფორმებს ფორმულით "3+1 წელი".

## კრჟინოვეკი "ვოლფსბურგიდან" "ჰანოვერში" გადავიდა

32 წლის პოლონელი ნახევარმცველი იაცეკ კრჟინოვეკი "ვოლფსბურგიდან" "ჰანოვერ 96-ში" გადავიდა.

გამოცდილმა გამთამაშებელმა, რომელმაც პოლონეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 88 მატჩი ჩაატარა და 15 გოლი გაიტანა, ახალ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულამდე გააფორმა. "ჰანოვერში" ის სანკტ-პეტერბურგის "ზენიტში" გადასულ უნგრელ შაბოლჩ ჰუშტს შეცვლის.

# The New York Times offers a "window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



*საფრანგეთის ალპებში, ამ შემთხვევაში ვალ დ'იზარში მიმდინარე სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატი ვისთის წარმატებულია და ვისთვის წარუმატებელი. ასე მაგალითად, ბელგიელმა იზაბელ ვან ბაინდერმა სუპერგიგანტში ასპარეზობისას წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და დამცავ ბადესთან აიჩოჩნჩხლა. წარმატებას კი ამერიკელმა ლინდსეი ვონმა მიაღწია, რომელსაც ფეხდაფეხ მიყვნენ მასპინძელი მარი მარშან-არვიე და ავსტრიელი ანდრეა ფიშბახერი.*

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

SLT-ლაზერი
გლაუკომის ქირურგია

ოფთალმოქირურგიაში

ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად
დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი

# უძრავი ქონების შეფასება
# უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული სერტიფიცირების და მომზადების პროგრამები

USAID
ამერიკელი ხალხისგან

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია აცხადებს მიღებას უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული სერტიფიცირებისა და მომზადების პროგრამებზე.

უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული სერტიფიცირებისა და მომზადების პროგრამები შემუშავებულია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ხელშეწყობით მაღალკვალიფიციური ექსპერტების მიერ, საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით.

*პროფესიული სერტიფიცირება*

უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული სერტიფიცირების მიზანია უძრავი ქონების ბაზრის კვალიფიციური სპეციალისტებით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფა. სერტიფიცირების პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტის - ISO/IEK 17024:2008 „ზოგადი მოთხოვნები ორგანოებისადმი, რომლებიც პერსონალის სერტიფიკაციას ახორციელებენ“ - მოთხოვნების სრული დაცვით. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პროფესიული სერტიფიკაციის ორგანო აკრედიტებულია საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ. სერტიფიცირების მსურველნი პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში მიიღებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სერტიფიკატს. სერტიფიცირება ორეტაპიანია და მოიცავს ტესტირებისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების ეტაპებს.

სერტიფიცირების საფასური შეადგენს 295 ლარს (დღგ-ის გარეშე).

**სერტიფიცირების მსურველ პირებს შეუძლიათ გაიარონ პროფესიული მომზადების კურსი.**

*პროფესიული მომზადება*

უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული მომზადების პროგრამა საშუალებას მისცემს მსმენელებს, მიიღონ თეორიული ცოდნა უძრავი ქონების შეფასების საკითხებში და გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მოემზადონ სერტიფიცირებისათვის და დაეუფლონ შემფასებლის პროფესიას. პროგრამას წარმართავენ უძრავი ქონების სფეროს მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტები და ექსპერტები. სწავლების პერიოდში გამოყენებული იქნება ინტერაქტიული ლექციები, პრაქტიკული სავარჯიშოები და კონკრეტული სიტუაციების ანალიზი.

პროფესიული მომზადების პროგრამის საფასური შეადგენს 990 ლარს (დღგ-ის გარეშე).

***პროგრამა განკუთვნილია:***

- უძრავი ქონების სფეროში დასაქმებული და ამ სფეროში საქმიანობის დამწყები პირებისათვის
- საბანკო-საფინანსო, სამშენებლო, დეველოპერული, სადაზღვევო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის
- უძრავი ქონების სააგენტოების, საბროკერო კომპანიების თანამშრომელთათვის
- აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების კომპანიების თანამშრომელთათვის
- ნებისმიერი პირისათვის, ვისაც სურს დაეუფლოს უძრავი ქონების შემფასებლის პროფესიას.

***პროგრამის ხანგრძლივობა:*** სწავლება გრძელდება 3 თვის განმავლობაში, ლექციები ტარდება კვირაში სამი დღე.

*სერტიფიცირებისათვის პროფესიული მომზადების პროგრამის გავლა სავალდებულო არ არის.*

დაინტერესებულმა პირებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა (პროფესიული მომზადების განაცხადის ფორმა იხილეთ: www.aplr.org სერტიფიცირების განაცხადის ფორმა იხილეთ: www.certification.org.ge) და წარუდგინონ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:**

**APLR პროფესიული სერტიფიცირების ორგანოს სერტიფიცირების ცენტრი**
თბილისი 0102
წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქუჩა N1, 1-ლი სართული
ელ.ფოსტა: certification@aplr.org
საკონტაქტო პირი: ნათია მახარობლიძე
ელ.ფოსტა: natia@aplr.org
ტელ: 899 219 199

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

გასაწევის მომსახურების ჩამონათვალი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წითელწყაროს თავისუფლების, მეგობრობის და აღმაშენებლის ქუჩების, ქალაქ დედოფლისწყაროს შირაქის, რუსთაველის, სტალინის და აღმაშენებლის ქუჩების გადაკვეთებით, სოფელ ჯაფარიძის შრომის და სტალინის ქუჩების გადაკვეთებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის, ქ. დედოფლისწყაროს კულტსახლის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სახანძრო უსაფრთხოების დაცვის სამსახურის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიების და ქალაქ დედოფლისწყაროში, სოფელ წითელწყაროში და სოფელ ჯაფარიძეში მდებარე მინი სპორტული მოედნების (სულ 5 ერთეული) დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.

ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფელ წითელწყაროში მდებარე სასაფლაოების მოვლა-პატრონობ (დარაჯებით უზრუნველყოფა).

1. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

2. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო მოსაკრებლის (200) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 25 თებერვლის 18 საათამდე, ყოველდღიურად 10 სთ-დან 18 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №42. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მე-3 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

3. სატენდერო მოსაკრებლის, 200 (ორასი) ლარის გადახდა შესაძლებელია შემდეგ რეკვიზიტებზე: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა ს/კ 228542413, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში №33030330, მიმღები სს სახალხო ბანკის დედოფლისწყაროს ფილიალი მფო 220101453, ბიუჯეტის შემოსავლების სახაზინო კოდი 100533174, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 26 თებერვლის 9 სთ-დან 12 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №42. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მე-3 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. სატენდერო წინადადებები გაიხსნება შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №42. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მე-3 სართული, სატენდერო კომისია.

6. სატენდერო წინადადებები გაიხსნება შემდეგ დროს: 2009 წლის 26 თებერვალს, 12 საათზე.

7. დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში (განცხადების მე-2 პუნქტში მითითებულ მისამართზე).

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

**8.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, ტელეფონის ნომერი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ ხორციელდება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აგრეთვე ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისა და დღგ-ს გადამხდელთა რეგისტრაციის შესახებ;

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ვ) ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზის შესახებ;

ზ) ცნობა უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში იდენტური მომსახურების შესრულების შესახებ, წლების მიხედვით და მათი ჩვენებით;

თ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან).

**8.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეხღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

გ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

დ) ცნობა უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში იდენტური მომსახურების შესრულების შესახებ, წლების მიხედვით და მათი ღირებულების ჩვენებით;

ე) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე ძირითადი ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

ვ) ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ტექნიკური ბაზის შესახებ.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

11. სატენდერო წინადადების მომზადებისას ტენდერში მონაწილე პირის მიერ დათვალიერებული და დეტალურად შესწავლილი უნდა იქნეს ჩასატარებელი სამუშაო ადგილი.

12. სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო წინადადებების საგარანტიო უზრუნველყოფა.

13. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია).

14. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვების ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

15. ტენდერი ტარდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №42. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მე-3 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. ალექსანდრე ჯიბლაშვილი. საკონტაქტო ტელეფონი: 895 30 87 29.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ტენდერს ავტომანქანების საწვავ-საცხები მასალების შესყიდვის განსახორციელებლად. (ორი ლოტი)

| ლოტი №1 | | | |
|---|---|---|---|
| № | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
| 1 | საწვავი (ბენზინი) პრემიუმი | ლიტრი | 240 000 |
| 2 | საწვავი (ბენზინი) სუპერი | ლიტრი | 30 000 |
| 3 | საწვავი „ევრო დიზელი“ | ლიტრი | 70 000 |

საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს ტალონური სისტემით ეტაპობრივად, 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წინასწარი შეკვეთის შესაბამისად.

საწვავის ტალონების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. მიმწოდებლის ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის განაღდება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ საწვავის ტალონის წარდგენისთანავე.

ლოტი №1-ით მოთხოვნილ საქონელზე, სატენდერო წინადადებაში სერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა გადასახადების გათვალისწინებით, ამასთანავე იგი უნდა მოიცავდეს შემსყიდველისათვის საწვავის გადაცემის ხარჯებსაც მიმწოდებლის ბენზინგასამართი სადგურებიდან.

| ლოტი №2 | | | |
|---|---|---|---|
| რიგითი № | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
| 1 | ძრავის ზეთი 15W-40 (მინერალი) ძრავის ბრუნთა რიცხვი, 6000 ბრ/წთ-ზე მეტი API CF-4/CF/SJ | ლიტრი | 100 |
| 2 | ძრავის ზეთი 20W-50 (მინერალი) ძრავის ბრუნთა რიცხვი, 5000 ბრ/წთ-ზე მეტი API SG/CE | ლიტრი | 100 |
| 3 | ძრავის ზეთი 15W-40 (მინერალი) ძრავის ბრუნთა რიცხვი მაქს. 6000 ბრ/წთ API CF-4/CFSL | ლიტრი | 1500 |
| 4 | ძრავის ზეთი 20W-50 (მინერალი) ძრავის ბრუნთა რიცხვი, მაქს. 5000 ბრ/წთ API SF-4/CC | ლიტრი | 3000 |
| 5 | სატრანსმისიო ზეთი SAE 85/90 | ლიტრი | 300 |
| 6 | სატრანსმისიო ზეთი ATF | ლიტრი | 50 |
| 7 | სატრანსმისიო ზეთი SAE 140 | ლიტრი | 300 |
| 8 | ზეთი ჰიდრავლიკის 68 | ლიტრი | 500 |
| 9 | საპოხი “ლიტოლი-24” | ლიტრი | 200 |
| 10 | სამუხრუჭე სითხე DOT-4 | ლიტრი | 100 |
| 11 | ანტიფრიზი “ტოსოლი 40” | ლიტრი | 600 |
| 12 | ძრავის ზეთი (სინთეთიკური) 5W40 API SM/CP | ლიტრი | 100 |
| 13 | ძრავის ზეთი (ნახევრად სინთეთიკური) 10W40 API SL/CF | ლიტრი | 400 |

ლოტი №2-ით მოთხოვნილი საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის სასაწყობო მეურნეობამდე, მის: ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №29, შემსყიდველის მიერ განხორციელებული შეკვეთის მიხედვით, DDP პირობით (incoterms 2000). მიწოდების სასურველი ვადა არის შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 20 კალენდარული დღე. მოთხოვნილ საქონელზე, სატენდერო წინადადებაში სერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა გადასახადების გათვალისწინებით.

შესასყიდი საქონლის ტექნიკური სპეციფიკაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში (ტექნიკურ პირობებში).

მისაწოდებელ საქონელზე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

**აუცილებელი პირობა:**

შესყიდვის განხორციელებისას ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი **200 (ორასი) ლარის** ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ანგარიშზე: **ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101502, ა/ა 283534100, საიდ. კოდი 204995176** მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და ტენდერის ნომერი **T-0109-G-001.**

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 23 თებერვლის 17:00 საათამდე.

დაფინანსების წყარო – შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”-ს სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 24 თებერვალს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე (თბილისის დროით), შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების სამსახურში. ოთახი №311.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2009 წლის 24 თებერვალს 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სათაო ოფისის შენობა სააქტო დარბაზი.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის;**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. ცნობა ვალების არ არსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ერთვნული სააგენტო).
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება გაკოტრების ან სანაციის საქმე.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლების სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის სახით.

ყველა საჭიროებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სატენდერო კომისიას. ტენდერი № **T-0109-G-001.**

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა საკვალიფიკაციო მონაცემებს ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი, ასევე თუ პრეტენდენტის მიმართ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

აღნიშნულ ტენდერში სატენდერო წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება თითოეულ ლოტში ცალ-ცალკე.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს თითოეული ლოტის შესაბამისად ერთი სატენდერო წინადადება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2. ტელ: (+995) 98 98 16; მობ. 899 90 94 97 შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი გიორგი გიორგაძე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ქ. მარნეული 4 თებერვალი 2009 წ.**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2009 წლის ბოლომდე დაგვა-დასუფთავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. კერძოდ:

**ლოტი N1** - ქუჩების, ტროტუარების, სკვერების, გზების სავალი ნაწილის დასუფთავება; დასახლებული ადგილებიდან და სხვადასხვა დანიშნულების პუნქტებიდან ნაგვის დატვირთვა-გატანა; სკვერების, ქუჩების და ბაღების ნარგავების მოვლა-პატრონობა.Aსევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ამოღებაზე "დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის".

**Lლოტი N2** - ნაგავსაყრელზე ტრანშეების ამოთხრა, ნაგვის ჩაყრა და გადაფარვა.

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. სატენდერო მოსაკრებელი შეადგენს **200 ლარს**. (რეკვიზიტებზე: "მიმღები" - რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მარნეულის განყოფილება ს/ნ 216403229. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, თბილისი, ბანკის კოდი N220101222, ა/ა N 200122900. მარნეულის მუნიციპალიტეტის სახაზინო კოდი 300103174, **გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, დაგვა-დასუფთავების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის**) ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. N71, II სართული, მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამდასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას.

3. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2009 წლის 25 თებერვლის 18.00 სთ-მდე**.

4. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში **2009 წლის 26 თებერვლის 1000 - 1700 სთ-მდე**. შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. N73, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შენობა (III სართული - გამგეობის კანცელარია).

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს 4-ე პუნქტში აღნიშნულ ვადაში 6-ე ან 7-ე პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს:

6. **საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
- არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

7. **საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
- ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

8. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

Aსევე, პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები **მე-5 მუხლის** შესაბამისად. ***შენიშვნა:*** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

9. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის **1%**-იანი საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია.

10. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, ყალბი ან არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში ტენდერში მონაწილე პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას.

11. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება **2009 წლის 26 თებერვლის 17.00 სთ-ზე**.

12. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეთათვის ინსტრუქციის **მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემთა ნუსხით** განსაზღვრულ დოკუმენტებს.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. N71, II სართული, მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება. სატენდერო კომისიის აპარატის წევრი მაკა ნავერიანი. ტელ: (8 257) 2-13-14

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე ქუჩის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

ქუჩის საყრდენი კედელი მოსაწყობია კონდოლის ქ. N21-23 მიმდებარედ; ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 1 ნოემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 25 თებერვლის 11:00 საათიდან - 2009 წლის 25 თებერვლის 16:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, V სართული, საბინაო-კომუნალური განყოფილება.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:**

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- ცნობას იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს;
- საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს.
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- ცნობას ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ.

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 04 თებერვლის 11:00 საათიდან - 2009 წლის 24 თებერვლის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N1, V სართული, საბინაო-კომუნალური განყოფილება.

7. თანხა გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - სახელმწიფო ხაზინა; სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300773174;

დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი კონდოლის ქ. N21-23 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1%-ის ოდენობით საბანკო გარანტიის ფორმით;

10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 4%-ის ოდენობით, საბანკო გარანტიის ფორმით.

11. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შესმსყიდველ ორგანიზაციაში. ასევე, დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო კიკვაძე - საკონტაქტო ტელეფონი: 65-25-13, ნანა ლომჯარია - საკონტაქტო ტელეფონი: 65-58-58, მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

12. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა 4.3-ის პირველი პუნქტის მოთხოვნისა.

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

- სუბ-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები განცხადების მე-4-ე პუნქტის მიხედვით.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. **საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური** აცხადებს ტენდერს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები), დაზღვევის მომსახურების ორწლიან (სავარაუდო ვადები: 2009 წლის მარტიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. შესყიდვის ობიექტია: ჯამრთელობის დაზღვევის მომსახურება

**ლოტი №1**

ჯამრთელობის დაზღვევის მომსახურება 70 კაცზე (15 – დაუოჯახებელი და 55 – დაოჯახებული).

| **პოლისით გათვალისწინებული მომსახურებები** | **სადაზღვეო ლიმიტი** | **თანაგადახდა** |
|---|---|---|
| 24 საათიანი ცხელი ხაზი | ლიმიტის გარეშე | 100% |
| სასწრაფო სამედიცინო დახმარება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| ოჯახის ექიმის მომსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმება | წელიწადში ორჯერ | |
| ამბულატორიული მომსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| მედიკამენტების ანაზღაურება | GEL 800 | 100% |
| ჰოსპიტალური მომსახურება | GEL 10000 | 100% |
| გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| სტომატოლოგიური მომსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| ორთოდონტია/ორთოპედია | 10-30% ფასდაკლება | |
| სამკურნალო მასაჟი | 10-15% ფასდაკლება | |
| ორსულობა/მშობიარობა | GEL 1000 | 100% |
| სამოგზაურო დაზღვევა | 2 თვიანი USD 50000 | |
| უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა | GEL 5000 | |

**შენიშვნა:**

1. ლიმიტები ეხება ოჯახის თვითოეულ წევრს (მეუღლე და არასრულწლოვან შვილს და/ან შვილებს).

**ლოტი №2**

ჯამრთელობის დაზღვევის მომსახურება 90 კაცზე (25 – დაუოჯახებელი და 65 – დაოჯახებული).

| **პოლისით გათვალისწინებული მომსახურებები** | **სადაზღვეო ლიმიტი** | **თანაგადახდა** |
|---|---|---|
| 24 საათიანი ცხელი ხაზი | ლიმიტის გარეშე | 100% |
| სასწრაფო სამედიცინო დახმარება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| ოჯახის ექიმის მომსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმება | წელიწადში ორჯერ | |
| ამბულატორიული მომსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| მედიკამენტების ანაზღაურება | GEL 800 | 100% |
| ჰოსპიტალური მომსახურება | GEL 7000 | 100% |
| გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| სტომატოლოგიური მომსახურება | GEL 1000 | 100% |
| ორთოდონტია/ორთოპედია | 10-30% ფასდაკლება | |
| სამკურნალო მასაჟი | 10-15% ფასდაკლება | |
| ორსულობა/მშობიარობა | GEL 1000 | 100% |
| სამოგზაურო დაზღვევა | 1 თვიანი USD 25000 | |
| უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა | GEL 3000 | |

**შენიშვნა:**

1. ლიმიტები ეხება ოჯახის თვითოეულ წევრს (მეუღლე და არასრულწლოვან შვილები).
2. გარდა ამ პაკეტით გათვალისწინებული პირობებისა, სავალდებულოა პირებს მიეცეთ შესაძლებლობა (სურვილის შემთხვევაში) საკუთარი სახსრებით დამატებით განსაზღვრონ სადაზღვევო პირობების ნუსხა. მონაწილე კომპანიამ უნდა უზრუნველყოს დაზღვეულები დამატებითი შესაძლებლობით თავისთვისა და თავისი ოჯახისათვის (მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები) თავისი სურვილით, ინდივიდუალურად, საკუთარი ხარჯით გაიზარდონ (გაიუმჯობესონ) სადაზღვეო მომსახურების პაკეტი ლოტი №1-ით განსაზღვრული პაკეტის შესაბამისად.

ეს მოქმედება (დამატებითი პაკეტის უზრუნველყოფა) დაზღვეულებთან უნდა გაფორმდეს ცალკე ინდივიდუალური ხელშეკრულებით, მაგრამ ზემოხსენებული სახით წინასწარ, მოწოდებული პირობით.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 24 თებერვალს 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ.№4. ოთახი 104.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ სადამფუძნებლო დოკუმენტები (შესაბამისი სამსახურიდან);

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

დ) ცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);

ე) ცნობას, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროდან);

ვ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტისა და კრედიტორების წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ზ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარატია მთლიანი წარმოდგენილი თანხის 1%.

**5.** ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

**6.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**7.** საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2009 წლის 24 თებერვალს 15.00 საათზე. წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

**8.** ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2009 წლის 4 თებერვლიდან 2009 წლის 24 თებერვლის 15.00 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (*სახელმწიფო ხაზინა 220101222, ანგარიში №200122900. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სახაზინო კოდი: 1712, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 302003000) სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ №.4. ოთახი №104.*

**9.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე 2009 წლის 4 თებერვლიდან 2009 წლის 24 თებერვლის 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქთბილისი, კეკელიძის ქ. №4, ოთახი № 104.

**10.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება 2009 წლის 4 თებერვლიდან 2009 წლის 24 თებერვლის 15.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი, კეკელიძის ქ. №4, ოთახი №104.

11. ტენდერში შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან ორი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან **იოსებ ოქრომელიძე, მობ: 877119988. სამსახური 284139.**

**საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სატენდერო კომისია**

## განცხადება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოსახლეობის მიერ მოხმარებული სასმელი წყლის და საკანალიზაციო მომსახურების შესყიდვაზე ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით ხელშეკრულება გააფორმა ექსკლუზიურ მიმწოდებელთან - შპს „თერჯოლის წყალკანალიზაციის მეურნეობასთან“.

ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 200000 (ორასი ათასი) ლარი.

**United Nations Development Programme**

**UNDP Georgia**

გაეროს განვითარების პროგრამა

## აცხადებს ტენდერს

**გაეროსა და საქართველოს მთავრობის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტების აუდიტის ჩასატარებლად**

სატენდერო წინადადება და სამუშაოს აღწერილობა შეგიძლიათ იხილოთ გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge. წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 13 თებერვალი 18:00 საათი.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 31 იანვარს გაზეთ „24 საათ“-ში გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე, რედაქციული შეცდომის გამო გამოტოვებულ იქნა შემდეგი ტექსტი:**

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

ნ. ბოჭორიშვილი, ლ. გვაზავა, მ. ფალიაშვილი, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 43-88-24, ოთახი N126 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქუჩა N1 აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის შესასყიდად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად, კერძოდ:

**ლოტი N1**

- 139 000 ლიტრი პრემიუმი A - 95 ტიპის.

**ლოტი N2**

- 6000 ლიტრი ევრო დიზელი.

ტენდერის შედეგად თვითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა და მიწოდების ადგილი: ხელშეკრულების დადებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

3. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა და მიღება ქართულ ენაზე შეუძლიათ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულებამდე, მისამართზე: ქეთევან წამებულის ქუჩა N1, მესამე სართული ოთახი N302.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა მხოლოდ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა სატენდერო მოსაკრეებლი უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220 101 222 ანგარიშის ნომერზე N200122900, სახაზინო კოდი 302004000 იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილებოსათვის.

4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის და სატენდერო წინადადების მიღების ვადაა 2009 წლის 24 თებერვლიდან 25 თებერვლის 17:00 საათამდე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორამციას.

5.1. **იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრება ან სანაციის საქმის წარმოება.

ბ) ცნობას რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) სატენდერო წინადადების ღირებულების 1 %-ის ოდენობის საბანკო/სადაზღვეო გარანტია.

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2. **ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე.

ბ) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

გ) სატენდერო წინადადების ღირებულების 1 %-ის ოდენობის საბანკო/სადაზღვეო გარანტია.

5.3 **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5.4 მე- 5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობის საბანკო/სადაზღვეო გარანტია, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლარად. (ერთი დედანის და ერთი - ქსეროასლის სახით) შემდეგ მისამართზე: ქეთევან წამებულის ქუჩა N1, მესამე სართული ოთახი N302. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება ორ კონვერტად.

სუბკონტრაქტორთა მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ტენდერის შედეგად თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე დამატებითი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შემდეგი პირებისაგან ვლადიმერ ღუდუშაური, ლევან ბაიდოშვილი, ბესიკ ქობალავა ტელეფონი: 74-92-61, მისამართზე ქეთევან წამებულის ქუჩა N1, მესამე სართული ოთახი N302

**სატენდერო კომისია**

---

**სს მედეა აცხადებს კონკურსს (აუქციონს)**
**გაკოტრების საქმეთა წარმოების პირველი**
**ეტაპის დასრულების შემდეგ დარჩენილი ქონების რეალიზაციაზე**
**სარეალიზაციოდ გამოდის შემდეგი ქონება:**

1. მიწის ნაკვეთი 67589 კვ.მ.
2. მიწაში არსებული რეზერვუარი ბეტონის მონოლითი - 9 ცალი.
3. რკინის კარადა - 74 ცალი;
4. გათბობის ქსელის რკინა-ბეტონის არხი - 1600 გრ.მ.
5. საფეიქრო სალებავი - 9,287 ტონა;
6. საერთო მისასვლელი გზა - 1100 კმ.
7. ტერიტორიის ფილების შემოღობვა - 110 მ.
8. რკინა-ბეტონის ელექტრო ანძა - 20 ც.
9. ლიფტი (დიდი, პატარა) - 2 ც.
10. კონტესატის ბაკი - 2 ც.
11. რკინის კარები - 6 ც.
12. რკინის გისოსები - 5 ც.
13. შუალედური რეზერვუარი - 2 ც.
14. მიწისქვეშა და შიგა ძალოვანი ქსელი -

ქონების საწყისი ღირებულება - 3017731 ლარი.
ქონების რეალიზაციის აუქციონი დანიშნულია 2009 წლის 18 თებერვალს.
მისამართზე: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის №23, 11.00 საათზე.

მსურველებმა ინტერესი უნდა დააფიქსირონ განცხადებით.

განცხადება მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 11.00 საათიდან 16.00 საათამდე მისამართზე: ირაკლი აბაშიძის №23, 2009 წლის 16 თებერვლის 16.00 საათამდე.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია ბეს გადახდა. ბეს ოდენობა განისაზღვრება შესაძენი ქონების საწყისი ღირებულებიდან 5%-ის ოდენობით. ბე უნდა ჩაირიცხოს: ს/ს საქართველოს ბანკი , ქუთაისის ფილიალი ანგ. №003467593 ბ.კ. 220101502 არაუგვიანეს 2009 წლის 16 თებერვლისა.

დამატებითი პირობების გაგება და ქონების ვიზუალური დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას №12, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10.00 სთდან 16.00 საათამდე. ტელ: 8(231) 9-44-74; 899 54-08-58.

1. აუქციონზე იურიდიულმა პირებმა უნდა წარადგინონ:
1.1. რწმუნების დამადასტურებელი მინდობილობა;
1.2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
1.3. გადასახადის გადამხდელის დამადასტურებელი დოკუმენტი;
1.4. ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
2.1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2.2. ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**სს მედეა -ს გაკოტრების**
**მმართველი: /დ. ფრუიძე/**

---

## საარბიტრაჟო დადგენილება
### იურიდიული კომპანია „ბარისტერის“ „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ სახელით

*(საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ)*

„02“ „თებერვალი“ 2009 წელი ქ. თბილისი

იურიდიული კომპანია „ბარისტერი“-ს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს არბიტრმა ***ნათია ჩაჩანიძემ*** იურიდიული კომპანია „ბარისტერი“-ს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს დებულების 6.17 მუხლის შესაბამისად ***ერთპიროვნულად, მხარეთა მონაწილეობის*** გარეშე, განვიხილე ***პრეტენდენტის გიორგი გულბათაშვილის წარმომადგენელის ხათუნა ფულერიანის განცხადება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გამოცხადების*** შესახებ.

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:**

2009 წლის 13 იანვარს პრეტენდენტმა გიორგი გულბათაშვილმა საარბიტრაჟო პრეტენზიით მომართა იურიდიული კომპანია „ბარისტერი“-ს „საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟ“-ს და მოითხოვა მოპასუხე შპს იბერია სითი“-ზე 2008 წლის 09 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან (სანოტარო აქტი, დამოწმებული ქ. თბილისის ნოტარიუსის ლელა გაზდელიანის მიერ, რ/რ N1-2343) გამომდინარე თანხის დაკისრება. მოპასუხე შპს იბერია სითი“-ს საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართული დოკუმენტებით და საარბიტრაჟო უწყება სხდომის დროის და ადგილის შესახებ გაეგზავნა კანონით და არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესით, თუმცა ვერ ჩაბარდა, იმ მიზეზით, რომ პრეტენზიაში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია - მოპასუხე შპს იბერია სითი“ ვერ მოიძებნა. 2009 წლის 02 თებერვალს პრეტენდენტის გიორგი გულბათაშვილის წარმომადგენელმა ხათუნა ფულერიანმა განცხადებით მომართა იურიდიული კომპანია „ბარისტერი“-ს „საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟ“-ს და პრეტენდენტის ხარჯებით მოითხოვა საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელება გაზეთში: „24 საათი“.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

ვიხელმძღვანელე რა იურიდიული კომპანია „ბარისტერი“-ს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“ს დებულების 6.17 მუხლით და

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:**

**1.** დაკმაყოფილდეს პრეტენდენტის გიორგი გულბათაშვილის წარმომადგენელის ხათუნა ფულერიანის განცხადება;

**2.** პრეტენდენტის გიორგი გულბათაშვილის საარბიტრაჟო პრეტენზია, მოპასუხე შპს იბერია სითი“-ს მიმართ 2008 წლის 09 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან (სანოტარო აქტი, დამოწმებული ქ. თბილისის ნოტარიუსის ლელა გაზდელიანის მიერ, რ/რ N1-2343) გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე განხილული იქნას 2009 წლის 11 (თერთმეტი) თებერვალს 15-00 საათზე იურიდიული კომპანია „ბარისტერი“-ს „საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟში“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N89/24, III სართული, ოთახი N2;

**3.** ეცნობოს მოპასუხე შპს იბერია სითი“-ს, რომ თუ მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ვერ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს არბიტრაჟს. საარბიტრაჟო სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში არბიტრაჟი დებულების (WWW.BARRISTER.GE) მე-13-ე მუხლის თანახმად უფლებამოსილია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა თუ სხდომაზე გამოცხადებული მხარე ითხოვს საქმის განხილვის გადადებას;

**4.** მოპასუხე შპს იბერია სითი“-ს განემარტოს, რომ საარბიტრაჟო უწყება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს;

**5.** დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში: „24 საათი“;

**6.** დადგენილების გამოქვეყნება დაევალოს პრეტენდენტის გიორგი გულბათაშვილის წარმომადგენელს ხათუნა ფულერიანს;

**7.** საარბიტრაჟო დადგენილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

**8.** საარბიტრაჟო დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება, თუ მხარეები სხვა რამეს არ დაადგენენ;

**არბიტრი: ნათია ჩაჩანიძე**

*Gგანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ*

**1. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო** (მის: საქართველო, ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N6; მე-5 სართული), სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, აცხადებს ორ ეტაპიან ტენდერს, ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტის სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი:**

ნაკრძალი მდებარეობს წყალტუბოს რაიონში, თბილისიდან 260 კმ, ხოლო ქუთაისიდან 7 კმ-ის დაშორებით. იგი რაჭის ქედის სამხრეთ- დასავლეთ კიდეს წარმოადგენს, ნაკრძალის საერთო ფართობია 354 ჰა.

პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული შენობის, შენობის ეზოს გამწვანების, დინოზავრის ნაკვალევის კონსერვაციის შენობის, ვიზიტორთა ცენტრის (საგამოფენო დარბაზი, კაფეტერია, სასტუმრო, საკონფერენციო დარბაზი) შენობის, ცენტრალური შესასვლელისა და ავტოპარკინგის ადგილის მოწყობა, დინოზავრის ნაკვალევთან არსებული ამორტიზებული ნაგებობის (სუვენირების მაღაზიის) მოწყობა, ადმინისტრაციის ზონაში არსებული გზისა და განათების რეაბილიტაცია, პეტრე ჭაბუკიანის სასაფლაოს მოპირკეთება, სწრაფი კვების ობიექტის, სან-კვანძების დაგეგმვა, მღვიმეში ჩასავლელი და გამოსასვლელი ბილიკების და სანათი ბოძების მოწყობა, მღვიმის ჰერმეტულობის შენარჩუნების მიზნით შესასვლელი და გამოსასვლელი კარების მოწყობა, მღვიმის შესასვლელში შესვლის კონტროლის, მღვიმეში არსებული ბილიკების რეაბილიტაცია, ვიდეო და მღვიმის ტემპერატურული რეჟიმის კონტროლის დაგეგმვა, გადასახედის და მისი მიდამოების არქიტექტურული დაგეგმვა, წრიული ბილიკის (კოლხური ტყე) დაგეგმვა, საინტერპრეტაციო დაფებისა და ნიშნულების, საბავშვო გასართობი მოედნის დაგეგმვა, გენერატორისა და ელეტრო ჯიხურის შენობის პროექტის, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის დიზაინ-პროექტის მომზადება.

ობიექტების გაადგილების სქემის მომზადება (გენ-გეგმა);

**3. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა:**

ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღისა.

**4. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალი:**

**იურიდიულ პირთათვის:**

-ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

-ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

-ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

**პიზიკურ პირთათვის:**

-პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

-ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

- ცნობა მომსახურე ბანკიდან, საბანკო ანგარიშზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

-სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) სახელს, გვარს

პრეტენდენტების მიერ, განცხადების მე-4 პუქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

**5.** სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარის) გადახდა უნდა განხორციელდეს ტენდერის პირველ ეტაპზე. ქართულ ენაზე შედგენილი პირველადი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 4 თებერვლიდან 24 თებერვალს 16 საათამდე. განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილ უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302005500 (სატენდერო მოსაკრებელი) 5508-სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

**6.** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე პირველადი სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლია განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**7.** პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე (ქართულ ენაზე) უნდა წარმოადგინონ განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 24 თებერვალს 16 საათამდე, მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N6; მე-5 სართული)

**8. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადებების შედგენის წესის შესახებ**

პირველადი სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული უნდა იყოს ზოგადი მონაცემები გასაწევი მომსახურების შესახებ (თუ როგორ განხორციელდება აღნიშნული მომსახურება) რომლის საფუძველზე შემდგომში შესაძლებელია, სატენდერო დოკუმენტაციებისა და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

პირველ ეტაპზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გაადგილების სქემა (გენ-გეგმა), მე-2 პუნქტით განსაზღვრული ინფრასტრუქურის ობიექტებისათვის ესკიზური პროექტების ნახაზები.

ამ ეტაპზე პირველადი მოსაზრებები უნდა იქნას წარმოდგენილი გეგმების გამოხაზვით, ესკიზური პროექტი სასურველია იყოს დამუშავებული archicach ან ჩანახატის ვარიანტით (თანდართული ელექტრონული ვერსია):

1. 1/500 მასშტაბის გენერალური გეგმა;
2. 1/500 მასშტაბის ადმინისტრაციული სენობის სიტუაციური გეგმა;
3. 1/100 მასშტაბის ფასადები;
4. 1/100 მასშტაბის სართულის გეგმა;
5. 1/100 მასშტაბის სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების და ობიექტების სიტუაციური გეგმები.

**9**. პირველად სატენდერო წინადადებებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის გამოცდილება მსგავს პროექტებში და შესაბამისი სარეკომენდაციო წერილები.

ბ) მომსახურებაში ჩართულ პირთა ბიოგრაფიული მონაცემები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობები და გამოცდილება.

გ) ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ;

**10.** ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის **საბანკო გარანტია** პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომელიც უნდა აღემატებოდეს 30 დღით სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ტენდერის მეორე ეტაპზე.

**11.** ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი - **საბანკო გარანტია** ხელშეკრულების ჯამური **ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით**.

***შენიშვნა;*** *პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს დედნის სახით. Aარარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა ერთვოდეს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.*

**12**. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

13. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: პლატონ ფეიქრიშვილი და ანა ჯაფარიძე

ტელ: (+995 32) 752355; (+995 32) 752352

## განცხადება
## ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (მის: ქ. თბილისი 0102, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს სააგენტოს საჭიროებისათვის საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მისაწოდებელი საქონელი:

ბენზინი სუპერი - 20 400 ლიტრი;

ბენზინი პრემიუმი - 76 000 ლიტრი.

3. საქონლის მიწოდების სავარაუდო ვადები - 2009 წლის მარტიდან 2009 წლის 15 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურებზე.

5. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე, 2009 წლის 24 თებერვლის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

5. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, კოდი N220101222, ანგარიშის N200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N302006300. გადახდის დანიშნულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს: სატენდერო მოსაკრებელი, საავტომობილო საწვავის სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, სოციალური მომსახურების სააგენტო.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 25 თებერვლის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**7.1. იურიდიული პირისათვის:**

a) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი), რომელიც აღებული უნდა იყოს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე არაუდრეს 2 კვირისა;

b) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

g) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**7.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბენზინგასამართი სადგურების შესახებ (ადგილმდებარეობის მითითებით).

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 1 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით. (ნოტარიულად დამოწმებული ასლის შემთხვევაში, დამოწმება განხორციელებული უნდა იყოს არაუადრეს 2009 წლის 1 იანვრისა).

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შერჩევის დროს დაზუსტებას არ ექვემდებარება.

11. ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

12. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

14. ტენდერში გამოყენებული არ იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმები.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მარინე კერესელიძე მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51 (მე-2 სართული, ოთახი 232, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 96 27 21. **mail: ssa.gov.ge**

# განცხადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამცხადებული იქნა ტენდერი ავტომანქანების შესყიდვის შესახებ. ინფორმაცია ტენდერის ჩატარების თაობაზე გამოქვეყნებული იქნა 2009 წლის 13 იანვრის გაზეთში 24" საათი, N4.

გაცნობებთ, რომ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით დაზუსტებული იქნა მოთხოვნილი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები. შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამასთან, სატენდერო დოკუმენტაციის გატანისა და სატენდერო წინადადებათა წარმოდგენის ვადები გადაიწია.

კერძოდ, გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1. განცხადების პირველი პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს: ძარა - პიკაპი, 2.5 ლ მოცულობის ბენზინის ძრავა, ხუთადგილიანი, მექანიკური გადაცემათა 6 სიჩქარიანი კოლოფით, 2 კაბინიანი, გამოშვების წელი არანაკლებ 2008, ახალი. სავარაუდო რაოდენობა 13 ერთეული."

2. განცხადების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით;

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებიდან არა უმეტეს 5 თვემდე პერიოდი.

3. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდისა (აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახაზინო სამსახური, ს.ს. საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშის N897293000) და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან 10 თებერვლის 18:00 საათამდე პერიოდში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, IV სართული, კაბინეტი N19.

4. პრეტენდენტებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 თებერვლის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6 IV სართული კაბინეტი N19"

3. განცხადების მე-8 პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

8. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 10 თებერვალს 18 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, IV სართული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში.

**სატენდერო კომისია**

# საკონკურსო განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1. მცენარეთა კვების დიაგნოსტიკისა და აგროეკოლოგიური ტექნოლოგიების განყოფილება:
ა) განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი)
ბ) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1.0 განაკვეთი-1 ადგილი)

2. ნიადაგმცოდნეობისა და ნიადაგების მელიორაციის განყოფილება:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ( 1.0 განაკვეთი- 1 ადგილი)

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მასთან ერთად მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

საბუთების მიღება იწარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

მისამართი 0125, თბილისი, (ზაჰესი)

ტელ: 65-67-50; 65-67-51.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ზემოთ ხსენებულ მისამართზე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 2009 წლისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო – საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

2. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე დაცვის პოლიციის დეპარტამენტში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: „ბანკი რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიში №345919, ბანკის კოდი 220101757 **გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, ავტო-სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა,** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის **3 თებერვლის 12:00 საათიდან** 2009 წლის **23 თებერვლის 19:00 საათამდე,** ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

3. შესყიდვის საგანი:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მსუბუქი კლასის ავტომობილი A ტიპის | ცალი | 25 | ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი | 2009 წლის მანძილზე მოთხოვნიდან 30 კალენდარულ დღეში |
| 2 | მსუბუქი კლასის ავტომობილი B ტიპის | ცალი | 13 | | |
| 3 | მსუბუქი კლასის ავტომობილი C ტიპის | ცალი | 5 | | |
| 4 | მსუბუქი კლასის მაღალი გამავლობის ავტომობილი | ცალი | 7 | | |
| 5 | ბურანი | ცალი | 1 | | |
| 6 | სატვირთო ავტომობილი | ცალი | 1 | | |
| 7 | კვადროციკლი | ცალი | 1 | | |

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ შესყიდვის ობიექტის ცალკეული ნაწილების (ლოტების) შესრულების უფლება. საქონლის მიწოდება გამარჯვებულმა პრეტენდენტებმა უნდა განახორციელონ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკების შესაბამისად.

5. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ან დაზღვევა მისი ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას 30 კალენდარული დღით. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

6. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 30 კალენდარული დღე სატენდერო წინადადების წარმოდგენის დღიდან.

7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ფორმით და ოდენობით: საბანკო გარანტია ან დაზღვევა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას

8. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში **2009 წლის 24 თებერვლის 10:00 საათიდან 2009 წლის 24 თებერვლის 12:00 საათამდე** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.**

9. საკვალიფიკაციო მონაცენები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულმა პირებმა:**

ა) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

**ფიზიკურმა პირებმა:**

ა) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ

10. **შენიშვნა:** ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში

11. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

9. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით **2009 წლის 24 თებერვალს 12:00 საათზე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

10. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტაქტო პირი – რევაზ ბერძენიშვილი ტ: **51-75-06**.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს საფოსტო (საფოსტო გზავნილები) მომსახურეობის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი:** საფოსტო მომსახურება საქართველოსა და საზღვარგარეთის ტერიტორიაზე;

პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. შეტყობინების, ამანათების, დოკუმენტების და სხვა სახის სწრაფი დოკუმენტაციის გადაგზავნა საქართველოს ნებისმიერ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში უსწრაფეს ვადაში;
2. საერთაშორისო გადაზიდვები;
3. უფასო კურიერული მომსახურეობა;
4. გზავნილების მიწოდება 1-3 დღეში;
5. საერთაშორისო გადაზიდვების მეთვალყურეობის სისტემა;
6. ადრესატის მიერ ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა გამგზავნისთვის;
7. არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

**ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შესაძლო მომსახურების სრული პაკეტი.**

**მომსახურეობის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე;**

**2.** სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 25 თებერვლის 11:00 საათიდან 2009 წლის 25 თებერვლის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების N32, მეორე სართული, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

ზ) შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდეტების და მიმწოდებლების სიაში;

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

ე) შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდეტების და მიმწოდებლების სიაში;

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

4. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N 302005300

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, საფოსტო (საკურიერო) მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

7. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 4 თებერვლიდან 2009 წლის 24 თებერვლის 18:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ტატა კაპანაძე, ნათია თელია, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი). ტ. 93.56.96;

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“ (მისამართი: თბილისი, აბასთუმნის ქ. N8ა, მე-5 სართული) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის N10-54 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ“ დებულების საფუძველზე

**აცხადებს აუქციონს**

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-ს ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი სატრანსპორტო საშუალებების ჯართის აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე.

**სარეალიზებო ქონების სავარაუდო ოდენობა:** - 8 (რვა) ტონა (სავარაუდო წონა);

**სარეალიზებო ქონების საწყისი ფასი:** - ერთ ტონაზე გაანგარიშებით 100 (ასი) ლარი (ლოტის ღირებულება 800 ლარი).

**ბიჯის ოდენობა:** - ერთ ტონაზე გაანგარიშებით 10 ლარი.

**„ბე“-ს ოდენობა:** - სარეალიზებო ქონების საწყისი სარეალიზებო ღირებულების 40 % - 320 ლარი.

გადახდილი „ბე“-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში.

**აუქციონში მონაწილის ბილეთის** ღირებულებაა 100 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად საწარმოს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგიტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

**თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:**

სს „საქართველოს ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: N220101502
ანგარიშსწორების ანგარიში: N200467165
საიდენტიფიკაციო კოდი: N202168359
შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“

აუქციონში გამარჯვებულმა ოპერატიულად უნდა უზრუნველყოს სარეალიზებო ქონების საბოლოო დაზუსტებული წონის დადგენა, რომელიც განხორციელდება შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-სა და აუქციონში გამარჯვებულის მიერ შეთანხმებული მეთოდოლოგიით და/ან სასწორის გამოყენებით. აუქიონზე შეძენილი ქონების დასუფთავების, დატვირთვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს გაიღებს აუქციონში გამარჯვებული. აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას საჭირო სანოტარო ხარჯები ასევე უნდა უზრუნველყოს აუქციონში გამარჯვებულმა.

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდაწარმოადგინონ:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვითშევსებული განაცხადი;
- „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა(პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება:** 2009 წლის 5 მარტის 12 საათამდე.

**აუქციონი გაიმართება:** 2009 წლის 5 მარტს 1430 საათზე.

**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია**

აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფაროს შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულება, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე“ დაუბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის საფუძველზე.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: თბილისი. აბასთუმნის ქ. N8ა მე-5 სართული. ტელ.: 20 43 00; 899 19 47 47.

CHF International Georgia

## ვიწვევთ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობებისა და დანადგარების მომწოდებლებს თანამშრომლობისთვის

CHF International-ი იწვევს სასოფლო სამეურნეო პროექტებისთვის სპეციფიკური მოწყობილობებისა და დანადგარების მომწოდებლებს და კონტრაქტორებს მონაწილეობა მიიღონ USAID/OFDA -ის მიერ დაფინანსებულ პროექტში **"საქართველოში საგანგებო სიტუაციაში თვშესაფრებისა და საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფის პროგრამა" (GELS)** მომწოდებელთა პრიორიტეტულ სიაში შესარჩევად.

დაინტერესებულმა მომწოდებლებმა და კონტრაქტორებმა უნდა წარმოადგინონ ფასები, წარმომავლობა, საგარანტიო პირობები და მოწოდების ვადები იმ სპეციფიკურ მოწყობილობებსა და დანადგარებიზე, რომლებიც გამოიყენება ისეთი სახის სოფლის მეურნებაში, როგორიცაა:

- ყველის წარმოება (პასტერელიზატორი, რძის გამაცივებელი, რძის ხარისხის ანალიზატორი და სხვ);
- საკვების წარმოება მეცხოველეობისთვის (სათიბი, შემრევი, საცეხი აპარატი და სხვ);
- მარცვლეულის, კარტოფილისა და ბოსტნეულის სათესი, საფარცხი, სასუქის შემტანი, მოყვენისა და ასაღები მექანიზმები;
- სასათბურე მეურნეობა;
- რძის შემგროვებელი ცენტრის აღჭურვილობა;
- ხილისა და ბოსტნეულის დახარისხება და შრობა.

აგრეთვე უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. სარეგისტრაციო დოკუმენტები და მათი იურიდიული სტატუსი;
2. საგადასახადოს სარეგისტრაციო კოდი და გადამხდელის სტატუსი "დღგ"-ს გადამხდელი, "შეღავათების მქონე გადამხდელი";
3. მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია;
4. მინიმუმ სამი სარეკომენდაციო წერილი ყოფილი კლიენტებისაგან (ტელეფონის ნომრის მითითებით);
5. ინფორმაცია USAID-ის ან სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ;
6. მოკლე ინფორმაცია კომპანიის სხვა პროფილის შესახებ *(არსებობის შემთხვევაში)*;
7. ბანკის მიერ გაცემული წერილი საბანკო რეკვიზიტების შესახებ;
8. საქმიანობის ამსახველი ბროშურები *(არსებობის შემთხვევაში)*.

**განაცხადების ჩაბარების ბოლო ვადა:** 2009 წლის 7 თებერვალი.
**განაცხადების ჩაბარება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:** მცხეთის ქ. №3 თბილისი 0179, საქართველო ტელ: (+995 32) 22 69 02, **ბაქარ ჭელიძე** ან **გამოგვიგზავნეთ ფაქსით:** (+995 32) 204477

შემოწმდება პრიორიტეტული სიისთვის შერჩეული კომპანიების კვალიფიკაცია და რეკომენდაციები.

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

### შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ აცხადებს ტენდერს

შემდეგი სახის მომსახურებაზე:
შპს „საქცემენტის“ ქარხნებში ღუმელებზე, წისქვილებზე და ნახშირის წისქვილზე სხვადასხვა ტიპის სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე.

დაინტერესებულ კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“

წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.ge
თამარ დარახველიძე

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 18 თებერვალი.

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

### შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ აცხადებს ტენდერს

შემდეგი სახის მომსახურებაზე:
შპს „საქცემენტის“ ქარხნებში სამშენებლო სამუშაოებზე.

დაინტერესებულ კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.
შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.ge
თამარ დარახველიძე
წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 16 თებერვალი.

## განცხადება

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“ (მისამართი: თბილისი, აბასთუმნის ქ. N8ა, მე-5 სართული) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის N10-54 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ“ დებულების საფუძველზე

**აცხადებს აუქციონს**

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-ს ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი ტრამვაის ხაზების და საკონტაქტო ხაზების დემონტაჟის შედეგად მიღებული რელსის ზესადებისა და ქვესადების ჯართის და საკონტაქტო ხაზის არმატურის (ბაგირი, კონსოლი) ჯართის აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე.

**სარეალიზებო ქონების სავარაუდო ოდენობა:** - 40 (ორმოცი) ტონა (სავარაუდო წონა);

**სარეალიზებო ქონების საწყისი ფასი:** - ერთ ტონაზე გაანგარიშებით 100 (ასი) ლარი (ლოტის ღირებულება 4000 ლარი).

**ბიჯის ოდენობა:** - ერთ ტონაზე გაანგარიშებით 10 ლარი.

**„ბე“-ს ოდენობა:** - სარეალიზებო ქონების საწყისი სარეალიზებო ღირებულების 40 % - 1600 ლარი.

გადახდილი „ბე“-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში.

**აუქციონში მონაწილის ბილეთის** ღირებულებაა 100 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად საწარმოს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგიტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

**თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:**
სს „საქართველოს ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: N220101502
ანგარიშსწორების ანგარიში: N200467165
საიდენტიფიკაციო კოდი: N202168359

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“

აუქციონში გამარჯვებულმა ოპერატიულად უნდა უზრუნველყოს სარეალიზებო ქონების საბოლოო დაზუსტებული წონის დადგენა, რომელიც განხორციელდება შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“-სა და აუქციონში გამარჯვებულის მიერ შეთანხმებული მეთოდოლოგიით და/ან სასწორის გამოყენებით. აუქიონზე შეძენილი ქონების დატვირთვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს გაიღებს აუქციონში გამარჯვებული. აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას საჭირო სანოტარო ხარჯები ასევე უნდა უზრუნველყოს აუქციონში გამარჯვებულმა.

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდაწარმოადგინონ:**
- დამტკიცებული ფორმის მიხედვითშევსებული განაცხადი;
- „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა(პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება:** 2009 წლის 5 მარტის 12 საათამდე.

**აუქციონი გაიმართება:** 2009 წლის 5 მარტს 1400 საათზე.

**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია**

აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფაროს შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულება, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე“ დაუბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის საფუძველზე.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: თბილისი. აბასთუმნის ქ. N8ა მე-5 სართული. ტელ.: 20 43 00; 899 19 47 47

## შპს „საქართველოს ფოსტა“ აცხადებს
## ღ ი ა  ა უ ქ ც ი ო ნ ს

საფოსტო განყოფილებებში თავისუფალი ფართების იჯარით გაცემის მიზნით

| № | გასაიჯარებელი ფართები | კვ. მ | საწყისი საიჯარო ფასი თვეში 1კვ.მ-ზე დღგ გარეშე (ლარი) | ბიჯი (1 კვ.მ) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფილიალ ქუთაისის ფოსტის №8 ს/გ მის: რუსთაველის ქ.№154 | 46 | 24 | 0.5 |
| 2 | ფილიალ ზესტაფონის ფოსტის ადმინისტრაციული შენობა I სართ. | 12 | 6.0 | 0.5 |
| 3 | ფილიალ ბოლნისის ფოსტის ადმინ.შენობა I სართ. | 13.2 | 6 | 0,5 |
| 4 | ფილიალ ხაშურის ფოსტის ადმინ. შენობა I სართ. | 13 | 12 | 0.5 |
| 5 | ფილიალ ოზურგეთის ფოსტის ადმ. შენობა I სართ | 24.60 | 8 | 0.5 |
| 6 | ფილიალ ოზურგეთის ფოსტის ადმ. შენობა I სართ | 18.44 | 8 | 0.5 |
| 7 | ფილიალ მარნეულის ფოსტის ადმ. შენობა I სართ. | 120 | 12 | 0.5 |
| 8 | ფილიალ თბილისის ფოსტამტის №37 ს/გ მის მოსკოვის გამზ.№44 | 15 | 30 | 1 |

– ღია აუქციონში მონაწილე პირთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა:

- განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, ინდ.მეწარმე დამატებით წარმოადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
- საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი წარმოადგენს: ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, ან შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან, წესდების ასლს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს.
- ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.
- მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით
- გადახდის ქვითარი (გამოცხადებული ყოველთვიური იჯარის თანხის 10%-ს პრეტედენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის სალაროში, ან საბანკო დაწესებულებაში, მითითებულ ანგარიშზე).

დამატებითი პირობები:

- აუქციონი ტარდება ღია წესით და გამარჯვებული გამოვლინდება იმავე დღეს.
- სავალდებულოა პრეტენდენტის ან მისი წარმომადგენლის დასწრება აუქციონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეს და ბილეთის თანხა უკან არ დაბრუნდება.
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური იჯარის თანხა ფასის განცხადება;
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.
- ხელშეკრულების ფორმდება 3 (სამი) წლამდე ვადით;
- მოიჯარე ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რეალიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობებშია.

განაცხადების მიღების ადგილი: თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

განაცხადების მიღების ვადაა 2009 წლის 4 თებერვლიდან 2009წლის 19 თებერვლის ჩათვლით 10.00 სთ.-დან 16.00 სთ.-მდე (შაბათ-კვირის გარდა).

ღია აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი: 2009 წლის 19 თებერვალი 17:00 სთ. თბილისი, ვაგზლის მოედანი№2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი 123286800. ბანკის კოდი 220101502. ს.კ 203836233

საკონტაქტო ტელეფონი: 340735.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო" (მისამართი: თბილისი, აბახიძის ქ. №8ა, მე-5 სართული) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესების დამტკიცების შესახებ" დებულების საფუძველზე

### ა ც ხ ა დ ე ბ ს  ა უ ქ ც ი ო ნ ს

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული გამოუყენებელი სატრანსპორტო საშუალების აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე.

**სარეალიზებო ქონების სავარაუდო ოდენობა:** – ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება.

| რიგ. № | ლოტის№ | ავტომანქანის მარკა | სახ. № | გამოშვ წელი | რაოდ. (ცალი) | საწყისი ფასი ლარებში | "ბე"-ს ოდენობა ლარებში | ბიჯი ლარებში | მონაწილის ბილეთის ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | 1 | სპეც. ამწე გაზ-3307 | DIN-781 | 2004 | 1 | 8000 | 800 | 50 | 50 |

გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში.

**აუქციონში მონაწილის ბილეთის** ღირებულებაა 50 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად საწარმოს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოსყიდვისას არ ექვემდებარება.

**თანხის ("ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:**

სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: №220101502
ანგარიშსწორების ანგარიში: №200467165
საიდენტიფიკაციო კოდი: №202168359
შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდაწარმოადგინონ:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა(პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება:** 2009 წლის 5 მარტის 12 საათამდე.
**აუქციონი გაიმართება:** 2009 წლის 5 მარტს $15^{00}$ საათზე.

**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია**

აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფაროს შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულება, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების სანოტარო და საპატრულო პოლიციაში ავტომანქანის გადაფორმებისას საჭირო ხარჯებს უზრუნველყოფს აუქციონში გამარჯვებული.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე" დაუბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის საფუძველზე.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: თბილისი. აბახიძის ქ. №8ა მე-5 სართული. ტელ.: 20 43 00; 899 19 47 47.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (მისამართი: ქ. გარდაბანი ინდ. 1300 დ. აღმაშენებლის ქ. №127) აცხადებს ტენდერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს შემდეგ ლოტებზე:
- ლოტი №1 — პურ-ფუნთუშეულის მიწოდება;
- ლოტი №2 — ხორც-პროდუქტების მიწოდება;
- ლოტი №3 — მზა პროდუქტის მიწოდება;
- ლოტი №4 — ხილ-ბოსტნეულის მოწოდება.

| № | პროდუქტის დასახელება | ზომის ერთეული | სატენდერო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მისაწოდებელი რაოდენობა |
|---|---|---|---|
| I ლოტი | პური | კგ | 38000 |
| | ფქვილი | კგ | 2290 |
| | ფუნთუშა | ცალი | 57000 |
| | ორცხობილა | კგ | 1150 |
| | მანანის ბურღული | კგ | 2280 |
| | ლაფშა | კგ | 3450 |
| | ვერმიშელი | კგ | 3430 |
| | მაკარონი | კგ | 3430 |
| II ლოტი | ხორცი | კგ | 2850 |
| | თევზი | კგ | 2290 |
| | ხაჭო | კგ | 1150 |
| | არაჟანი | კგ | 1150 |
| | შესქელებული რძე | კგ | 6000 |
| | კვერცხი | ცალი | 30000 |
| | | | |
| III ლოტი | ზეთი | ლიტრი | 5700 |
| | ბრინჯი | კგ | 2285 |
| | კარაქი | კგ | 2860 |
| | საფუარი | კგ | 57 |
| | შაქრის ფხვნილი | კგ | 10000 |
| | ჩაი | კგ | 345 |
| | შაქარი | კგ | 17000 |
| | კაკაო | კგ | 120 |
| | კისელი | კგ | 1715 |
| | კამფეტი | კგ | 1000 |
| | წიწიბურა | კგ | 3430 |
| | ჰერკულესი | კგ | 2285 |
| | | | |
| IV ლოტი | კარტოფილი | კგ | 25350 |
| | სტაფილო | კგ | 2285 |
| | ჭარხალი | კგ | 2285 |
| | ხილი | კგ | 9000 |
| | ხახვი | კგ | 3000 |
| | მწვანილი | კგ | 850 |
| | კომბოსტო | კგ | 5800 |
| | ტომატი | კგ | 1600 |
| | მარილი | კგ | 1450 |
| | ბარდა | კგ | 1720 |
| | ლობიო | კგ | 1880 |

2. სკოლამდელი აღზრდის 27 დაწესებულებისათვის მისაწოდებელია სხვადასხვა სახის პროდუქტი. თითოეული დაწესებულებისათვის მისაწოდებელი პროდუქტების კონკტექული რაოდენობა დაზუსტდება ყოველკვირეული განაცხადის საფუძველზე.
3. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 24 თებერვლის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი ინდ. 1300, დ. აღმაშენებლის ქ. №127, მე-3 სართული, ოთახი №35. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.
5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში №200122900, გარდაბნის სახაზინო შიფრი №300113092. გადახდის დანიშნულება — სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სატენდერო მოსაკრებელი.
6. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 25 თებერვლის 10.00-დან 16.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი ინდ. 1300, დ. აღმაშენებლის ქ. №127, მე-3 სართული, ოთახი №35.
7. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, ლოტების მიხედვით.
8. ტენდერში მონაწილის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

**8.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**8.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფლოიაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
10. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს — ნანა თარალაშვილს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

სატენდერო კომისიის აპარატი 9-272-2-2476

ტელ: (899) 62 40 54
(824) 14 11 30

# მოწვევა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

1. საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი *მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის* დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი სამუშაოების ხარჯების დასაფარავად:

პაკეტი N4 **„ასპინძა-ოთის სოფლის გზის რეაბილიტაცია“, *ADPCC/RDPMHA/CW-2008/4***

პაკეტი N5 **„ასპინძა-ჭობარეთის სოფლის გზის რეაბილიტაცია“, *ADPCC/RDPMHA/CW-2008/5***

პაკეტი N6 **„შუახევის რაიონში სხეფი-გომარდულის სოფლის გზის რეაბილიტაცია“, *ADPCC/RDPMHA/CW-2008/6***

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC) ოფისში, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის N6, ოთახი N307 (საქართევლოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო) წერილობითი მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე. დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია იმავე მისამართზე. (ელ.ფოსტა: vakhtang.jaliashvili@adpcc.org. ან office@adpcc.org.ge). სატენდერო მოსაკრებელი შეადგეს 100 ლარს, რომელიც უნდა იქნას ჩარიცხული შემდეგ ანგარიშზე:

თი-ბი-სი ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი. ბანკის კოდი: 220101850 ა/ა: 115714714

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს 60 დღე წინადადებების გასხნის დღიდან და უნდა წარდგენილ იქნეს საკოორდინაციო ცენტრის ოფისში შემდეგ მისამართზე: მარშალ გელოვანის N6, ოთახი 307, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2009 წლის 10 მარტის 15:00 საათამდე, როდესაც მოხდება მათი გახსნა იმ კონკურსანტების თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ დასწრების სურვილს.

5. წინადადებას თან უნდა ახლდეს საბანკო გარანტია, რომლის ღირებულება იქნება წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-სა; გარანტია უნდა იყოს საკოორდინაციო ცენტრის სახელზე.

6. კონკურსანტი, რომელიც გაითხოვს თავის წინადადებას მისი მოქმედების ვადის პერიოდში და/ან უარს განაცხადებს კონტრაქტის მინიჭებაზე მისი გამარჯვების შემთხვევაში და/ან ვერ წარმოადგენს საჭირო დაზღვევის სერთიფიკატებს დიკვალიფიცირებულ იქნება მომავალი კონკურსიდან 1 წლის პერიოდით.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# ტენდერის ჩატარების შესახებ

I. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0102, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.№2) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სააგენტოს საჭიროებისათვის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე 3 ლოტად. შემდეგი ლოტების მიხედვით:

| I ლოტი | |
|---|---|
| შესყიდვის ობიექტის აღწერილობა | რაოდენობა |
| კომპიუტერი | |
| Intel Core2 Quad 2,66 / FSB 1333/ 4Gb / 500Gb 7200rpm / Standard Keyboard With RUS; Optical USB Mouse DVD+/-RW / Free DOS / 3Years Warranty | 20 |
| მონიტორი | |
| 19" LCD 0,294 / 1280 x1024 60Hz / min 8 ms / min 500:1/DVI/USB/ 3Years Warranty | 20 |
| უწყვეტი კვების წყარო | |
| UPS Output Power Capacity 390 Watts / 650 VA, Typical Backup Time at Half Load min 10.1 minutes (195 Watts), Typical Backup Time at Full Load min 1.8 minutes (390 Watts) With 3 Power Cords(UPS to Monitor , UPS to Computer, UPS to Power) , Min 2 Years warranty | 50 |
| UPS Output Power Capacity 280 Watts / 450 VA450VA/280W , BACKUP TIME:Time at Half Load min19.8minutes(140W) & Full Load: min 5.9minutes(280W) 1U RACKMOUNT<br>Min 2 Years warranty | 45 |
| პრინტერი | |
| A4, 16ppm, fpo: 9sec; 1200dpi; 5,000 p/month,Paper input: 150 sh, output: 100 sheets paper tray; 8MB RAM; USB 2.0; With USB cable for connect to pc | 30 |
| A4, 23ppm 1200dpi 2mb 8000p/m; USB 2.0, LAN | 5 |
| Print speed: Up to 21 ppm, First page out (black) As fast as 17.2 sec, First page out (color)<br>max 18 sec, Monthly duty cycle: Up to 40,000 pages, Print quality: Up to 600 x 600 dpi, Cartridges: 4 (1 each black, cyan, magenta, yellow), Duplex printing (printing on both sides of paper), Memory, min 128 MB (upgradebale to 384), Processor speed: 540 MHz<br>Connectivity, standard: Hi-Speed USB port; built-in Fast Ethernet 10/100Base-TX | 5 |
| მყარი დისკო | |
| External Storage 1TB 7200 RPM USB 2.0 | 6 |
| External Storage min 320Gb format 2.5" USB 2.0 portable, max weght 220 gram, max dimention 80 x 18 x 138 mm | 20 |
| SATA HDD 320GB/7200rpm/16MB Buf | 10 |
| SATA HDD 750GB/7200rpm/32MB Buf | 10 |
| SATA HDD 1TB/7200rpm/32MB Buf | 25 |
| Network Storage Enclosure:<br>Standards: IEEE 802.3 10 Base-T Ethernet, IEEE 802.3u 100Base-TX Fast Ethernet, IEEE 802.3ab 1000Base-T Gigabit.<br>Support Hard Drive Type: SATA<br>Ports: 1 10/100/1000 Gigabit Ethernet Port, Jumbo Frame support up to 9000 Bytes,1 USB Print Server Port, Power.<br>Drive Management: Four Different Hard Drive Configurations, Scandisk,E-mail Alerts,Drive Quotas,Power Management<br>LEDs: Power, LAN, HDD 1, HDD 2<br>RAID 1 possibilities.<br>Max Dimensions (W x D x H)= 102mm x 199mm x 127mm | 5 |
| აქსესუარები | |
| USB cabels for Printer | 50 |
| Optical Mouse PS/2 with scroll/min 800pi | 30 |
| Optical Mouse USB with scroll/min 2000dpi | 80 |
| Multemedia Keyboard PS/2 | 40 |
| USB Flash drive 2 GB | 50 |
| Power Supply (450 W Real) | 20 |
| Product Type: External Slim CD-RW Drive<br>Maximum Write Speed: 8x DVD/24x CD<br>Maximum Rewrite Speed: 8x DVD/24x CD<br>Maximum Read Speed: 8x DVD/24x CD<br>Media Support: Double-layer - DVD-RAM/±R/±RW<br>Interfaces/Ports: USB 2.0 - USB<br>Max Dimensions 12.0x9.7x5.8 | 40 |
| External Blu-ray writer, Possibility to write dual later Blu-ray discs, and recordable BD-R and rewriteable BD-RE discs | 10 |
| SD card 4 GB | 6 |
| memory stick duo pro 4GB | 4 |
| პროექტორი | |
| ANSI lumens: 1200Contrast 15,000:1 Light Engine: 1920x1080, native 16:9, 0.7" three-panel inorganic LCD with 160W lamp. Video Compatibility: 1080p/60/50/24, 1080i, 720p, 576p, 576i, 480p, 480i.Connection Panel: Two HDMI 1.3 ports, one YPbPr component input, one VGA port, s-video, component video, one serial port, and a 12V trigger.Lens and Throw Distance: 1.6x powered zoom/focus lens with powered vertical and horizontal lens shift. Throws a 100" diagonal 16:9 image from 10' 2" to 16' 6". | 2 |
| ასლგადამღები ტექნიკა | |
| Copy Sizes Cassette: A5 - A3, Stack Bypass: A5R - A3, Envelopes,<br>Copying: 600dpi x 600dpi, 1200dpi (PCL, UFRII LT), 1200dpi x 1200dpi (UFRII LT), 256 Gradations,<br>Copy Speed: min15cpm<br>Magnification Zoom: 50-200%, Fixed: 50%, 70%, 100%, 141%, 200%<br>First Copy Time 6.9 sec<br>CPU: min 192 MHz.<br>Memory: min 128 mb | 5 |
| Copy Sizes A4<br>Performance: min 22 cpm<br>Print Quality: 1200dpi equivalent x 600dpi (PCL, UFRII LT)<br>256 Gradations<br>CPU: min 192 MHz<br>Memory min 128<br>Capacity 500 sheets x 1 cassetteStack<br>Bypass 100 sheets<br>Warm-up time Approx. 4.5 seconds<br>First copy 8.0 sec or less<br>Max Dimension 520 x 457 x 453 mm | 5 |
| საკომუნიკაციო კარადა | |
| Universal Rack 42U<br>With<br>Two 16A High Voltage Modular PDU<br>Two 40A HV Core Only Corded PDU<br>3.6m 16A C19 EU Pwr Cord<br>Ballast Option Kit<br>Sidepanel Kit<br>600W Stabilizer Kit<br>Four Carbt 1U Universal Filler Panel<br>Rack Grounding Kit<br>Rack Airflow Optimization Kit | 1 |
